ლელო

№083 (12 153) 11 აპრილი ოთხშაბათი 2007 გამოდის 1934 წლიდან ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდგზის დამარხული



7:1

ერთი გუნდის სპექტაკლი ოცნებების თეატრში. ჰორიზონტზე ინგლისური ნახევარფინალია... შეიძლება, ფინალიც

CHAMPIONS LEAGUE

"რომას" ერთი კვირის წინანდელი თამაში რომ არ მოეგო, იქნებ, "ოლდ ტრეფორდზე" სხვა განწყობით გასულიყო. იმ მატჩის შემდეგ მთელი იტალიური პრესა "ჯალორროსის" ქება-დიდებაში დაილვარა. ისე, ლუჩანო სპალეტის ბიჭებმა მართლაც ჩინებულად ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს, მაგრამ წააგეს ფსიქოლოგიაში. რატომღაც, ტოტი და კომპანია მანჩესტერში დამშვიდებული ჩავიდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა წინასამატჩო განცხადებებიდან და ეს დავინახეთ თამაშის პირველივე წუთებზე. არადა, რა მიხვედრა უნდოდა იმას, რომ "მანჩესტერი" თავიდანვე ებდღვნებოდა "რომას" კარს. ჰოდა, ვნახეთ კიდეც პირველ 20 წუთში სამი გოლი და მერე კიდევ ოთხი (დე როსის გოლი გახსოვთ?), საბოლოოდ კი, ზოგადად ერთობ სიმპათიური გუნდის უმოწყალო რბევა. სერ ალექს ფერგიუსონმა გააკეთა ის, რასაც სპალეტი, ლოგიკას თუ მივყვებით, ვერ შეძლებდა და აკი ასეც მოხდა. ფერგიმ ლაშქარი გამარჯვებისთვის განაწყო, ხოლო თავხოტორა სპალეტი ტოტით აშინებდა მეტოქეს. ეს ტოტი კი ისეთივე მოტეხილი იყო, როგორც მთელი "რომა". თან, ტოტი ხომ ნახევარი "რომაა"...

ერთი სიტყვით, ფერგის ბიჭებმა დაუვიწყარი სპექტაკლი დადგეს "ოცნებების თეატრში" და ახლა, ნახევარფინალისთვის, "ბაიერნი"-"მილანის" გამარჯვებულს დაელოდებიან. ასევე ცხადია კიდევ ერთი რამ: ეს "მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის მზადაა!

"ჩელსიმ" და ჟოზე მოურინიომ ურიცხვი კრიტიკოსები "მესტალიაზე" გამარჯვებით დაადუმეს. ორივე გუნდმა მაღალი დონის, ტაქტიკურად კარგად გამართული ფეხბურთი ითამაშა და გულახდილად რომ ვთქვათ, ნახევარფინალში გასვლის ღირსი იყო ერთიც და მეორეც, მაგრამ ფორტუნამ მაინც ქუდბედიან მოურინიოს გადმოხედა. ის იყო, გუნდები დამატებითი დროის სათამაშოდ განეწყვნენ, როცა მიკაელ ესიენი მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში და გამარჯვებისა დასცხო. მანამდე, პირველ ტაიმში, მორიენტესმა ხოაკინის დახმარებით გახსნა ანგარიში, მეორე ნახევრის სტარტზე კი შევჩენკომ ვალენსიელთა საჯარიმოში შექმნილი პანიკით ისარგებლა და გააყაიმა. მერე რაც მოხდა, უკვე ვთქვით...

ასე რომ, ნახევარფინალში ინგლისური დერბი გველოდება. ვერ ვიჯერებთ, რომ დღეს "ენფილდზე" შეიძლება სასწაული მოხდეს და "ლივერპულმა" 3:0 ქარს გაატანოს. მოურინიოს ხომ რაფა ბენიტესთან ორი წლის წინანდელი ანგარიში აქვს გასასწორებელი. საერთოდ კი, რეალურია, რომ თვით ფინალიც ინგლისური იყოს...

ტექნიკური შედეგები 15



ვალენსია-ჩელსი. ესიენის გადამწყვეტი დარტყმა



**გვაქვს თუ არა განგაშის საფუძველი?**
ლომაიასა და აშვეთიას წელი. სალეგიონო ამბები და ტრავმები

**ხიზანეიშვილი რეაბილიტაციას შეუდგა** 2

**არ ენდოთ არენდას**
რას გვიძადის მიშელ პლატინის ახალი პროექტი? 3

**ყენია: ლევანტე ისევ საეჭვოა**
შალკე და ვერდერი ხაზზე არიან 3



**კალაძე: ვიბრძოლებთ, როგორც გლადიატორები**
ჩემპიონთა ლიგა. დღეს ბაიერნი-მილანია. საპასუხო მატჩების წინ 6

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები და ტრავმები

# გვაქვს თუ არა განგაშის საფუძველი?

## ლომაია და აშვეთია წელმა შეაწუხა

პირველი წრის შემდეგ, მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "კარლ ცაისი" გასავარდნ ზონაში აღმოჩნდა. ზამთრის არდადეგებისას კლუბის ხელმძღვანელობა შეიცვალა. საკადრო გადაადგილებები უშუალოდ გუნდსაც შეეხო. იენელებმა, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, ერთბაშად 8 ახალი ფეხბურთელი დაიმატეს. ამ ოქტეტში გახლდნენ საქართველოს ნაკრების წევრები - მეკარე **გიორგი ლომაია** და თავდამსხმელი **მიხეილ აშვეთია**. სხვების რა გითხრათ და, ქართველთა ფაქტორმა "კარლ ცაისი" საგრძნობლად გააძლიერა. გუნდს საიმედო მეკარე და სახიფათო ფორვარდი რომ დაემატნენ, ამას გერმანელი მიმომხილველებიც აღნიშნავდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ **ჰაიკო ვებერის** გუნდმა ამით ყველა პრობლემა მოაგვარა. გასულ უქმეებზე "კარლ ცაისი" "ფიურტთან" სტუმრად 2:0 დამარცხდა. ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ, მაგრამ თამაში არც ლომაიას ჩაუმთავრებია და არც აშვეთიას. მიზეზი ტრავმები იყო.

22-ე წუთზე ლომაია დაშავდა და ის **კრაუსმა** შეცვალა. გერმანული წყაროების მტკიცებით, მოედნიდან გასვლამდე ქართველმა კიპერმა ორი რთული ბურთის აღება მოახერხა, რითიც თავისიანები აშკარა გოლებისგან იხსნა. ლომაიას ნაცვლად კარში ჩადგარმა კრაუსმა შეფასებად 2.5 ბალი ("კიკერის" ვერსია) კი დაიმსახურა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ორივე გოლი მან გაუშვა. რაც შეეხება აშვეთიას, ის მე-60 წუთზე შეცვალეს. ბუნებრივია, ნაკრების წევრთა მდგომარეობით დავინტერესდით და გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით.

*"წელის არეში ტკივილი ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე, მოთელვისას ვიგრძენი. "ფიურტი" თამაშის დასაწყისშივე შეეცადა ანგარიშის გახსნას და თამაშშიც არაერთხელ მომიწია ჩართვა. დატვირთვისას ტკივილი უკვე აუტანელი გახდა და შეცვლა ვითხოვე"* - გვითხრა ლომაიამ.

გერმანული წყაროების ცნობით, ლომაიას გამოჯანმრთელებისთვის რამდენიმე დღე დასჭირდება. ჩვენებურმა კი უფრო დაგვაიმედა: *"არა, რამდენიმე დღე ნამდვილად არ მინდა. ისე, თავდაპირველად, ტრავმა უფრო სერიოზული ჩანდა, მაგრამ საბედნიეროდ, მდგომარეობას საგანგაშო ნამდვილად არ ეთქმის. უფრო მეტიც, წესით ვარჯიში 11 ან 12 აპრილს უნდა განვაახლო".*

ახლა აშვეთიაზეც ვთქვათ. მანაც თავად ითხოვა შეცვლა. როგორც გერმანული პრესა წერს, მან კოჭლობით დატოვა მოედანი: *"რთული თამაში იყო. ჩვენც შეგვეძლო გოლის გატანა, მეც მქონდა შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენე. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ტკივილმა ძალიან შემაწუხა და მწვრთნელს შეცვლა ვთხოვე. დამეჭიმა გვერდითი კუნთი, რომელიც წელსაც უკავშირდება. ანალოგიური ტრავმისას, რუსეთში ორი კვირით მიწევდა დასვენება. აქ კი კლუბის ექიმმა მითხრა, მომავალი მატჩისთვის ფეხზე დაგაყენებო და ვნახოთ, მეც ამის იმედი მაქვს. მომდევნო ტურში, ორშაბათს, დათო სირაძის "აუეს" ვმასპინძლობთ და ალბათ, მეც ვითამაშებ და ლომაიაც"* - თქვა აშვეთიამ "ლელოსთან" საუბარში.

ამ წაგებით, "კარლ ცაისი" ბოლოსწინა მე-17 ადგილზე დაეშვა და კვლავაც გასავარდ ოთხეულშია. სეზონის დასრულებამდე 6 ტურით ადრე, იენელები 4 ქულით ჩამორჩებიან საშიშ ზონას მოშორებულ "კიკერსს" (ოფენბახი). საინტერესოა, რას ფიქრობენ "კარლ ცაისის" ქართველები გადარჩენისთვის ბრძოლაზე:

*"ამ ბოლო ხანს, ლიდერებთან და ცხრილში ზემოთ მყოფ გუნდებთან გვქონდა მატჩები და სამწუხაროდ, ქულები დავკარგეთ. ვფიქრობ, დარჩენილ თამაშებში შევძლებთ ქულათა იმ რაოდენობის დაგროვებას, რომელიც ლიგაში ადგილს შეგვანარჩუნებინებს"* - ეს აშვეთიას სიტყვებია.

*"მომდევნო ტურში კიდევ ერთი რთული მატჩი გველის "აუესთან". წესით, ბოლო ტურში წაგებამ უნდა გამოგვაფხიზლოს და მე მგონი, ასეცაა. ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს. მთელი გუნდი მობილიზებულია და მჯერა არ გავვარდებით"* - ოპტიმისტურადაა განწყობილი ლომაიაც.

ქართველებს სეზონის ბოლოს უმთავრდებათ კონტრაქტი. საინტერესოა, მერე რას აპირებენ: *"კლუბის ხელმძღვანელობას ჩვენი შენარჩუნება უნდა. ცოტა ხნის წინათ, კონტრაქტის გაგრძელებაზეც ჩამოგვიგდეს სიტყვა, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. უნდა გაირკვეს, ვრჩებით თუ არა მეორე ბუნდესლიგაში. შესაბამისად, "კარლ ცაისთან" ახალი ხელშეკრულების საკითხზეც მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებთ და ვისაუბრებთ"* - განაცხადა გიორგი ლომაიამ.



გიორგი ლომაია

ჩვენი ინფორმაციით, აშვეთიას გადაბირებით პირველი და მეორე ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. **დავით სირაძის** "აუემ" უკვე მიმართა კიდეც წინადადებით, მაგრამ ქართველი ფორვარდისგან უარი მიიღო. ეს ინფორმაცია თავად აშვეთიამაც დაგვიდასტურა:

*"მართალი ხართ. "აუეს" ჩემი გადაბირება სურს და წინასწარი კონტრაქტიც შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. სად გავაგრძელებ კარიერას? ეს ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი. აგენტი მეუბნება, რომ ჩემით პირველი და მეორე ბუნდესლიგის კლუბები არიან დაინტერესებულნი და ვნახოთ... მოლაპარაკებები მაისში დაიწყება. გუნდების ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ... ისე, რუსეთის პრემიერლიგაში დაბრუნების შანსიც მაქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ თუ "კარლ ცაისი" ლიგაში დარჩება, იენაში გავაგრძელო კარიერა. ერთი სიტყვით, მოვლენათა განვითარებას უნდა დაველოდო. ახლა ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ისაა, რომ არ გავვარდეთ".*



მიხეილ აშვეთია

### ხიზანეიშვილი რეაბილიტაციას შეუდგა

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი მატჩები ივნისის დამდეგს (2-ში ლიტვაში, 6-ში საფრანგეთში) ელის. აქედანვე საინტერესოა, რა მდგომარეობაში არიან დღეისთვის ნაკრების წევრები. შოტლანდიასთან და ფარერებთან მატჩებში რამდენიმე საკვანძო მოთამაშე დააკლდა - **კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ოთარ ხიზანეიშვილი, მათე ღვინიანიძე**. იმედია, მომავალი მატჩებისთვის ისინი მწყობრში იქნებიან. აგერ, კალაძე უკვე დაუბრუნდა მოედანს, ასათიანიც ნელ-ნელა ეჩვევა ბურთს, ღვინიანიძე კი ორი კვირის წინ გამოჩნდა "მიუნხენის" რიგებში. თუმცა, როგორც გავიგეთ, ის სრულად ჯერ კიდევ არაა გამოჯანმრთელებული და ამიტომ, ექიმები მწვრთნელს ურჩევენ, ქართველი მცველი დიდ დატვირთვებს თანდათანობით შეაჩვიონ. სწორედ ამის გამო, გასულ უქმეებზე ღვინიანიძეს "კარლსრუესთან" შეხვედრაში არ უთამაშია, თუმც კი სათადარიგოთა შორის იყო. ფაქტი ისაა, რომ მათე ბიჭს უკეთესობა ეტყობა და წესით, მალე უნდა ვიხილოთ "ლომების" სასტარტო შემადგენლობაში.

რაც შეეხება ხიზანეიშვილს. მენისკის ოპერაციის შემდეგ, ოთარი სარეაბილიტაციო კურსს გადის. პროცესი კარგად მიდის და თუ ასევე გაგრძელდა, ხიზანეიშვილი მეორე ბუნდესლიგის ტურის მატჩებსაც ჩაატარებს და ნაკრებსაც დაეხმარება.

**დავით ცაბაძე**

17-წლამდელთა ნაკრები

# მეორეზე დავრჩით

გუშინ, პორტუგალიაში, ოთხთა საერთაშორისო ტურნირი დასრულდა. დასკვნით დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები კასტელო ბრანკოს რეგიონის 18-წლამდელთა კრებულს დაუპირისპირდა და 1:0 მოუგო. თამაში (40-წუთიანი ტაიმებით) ქართველების კარნახით წარიმართა. **ჰერბერტ ცანკერის** ფეხბურთელებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ მხოლოდ ერთის გამოყენება მოახერხეს. მე-60 წუთზე, 25-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით, გამარჯვების გოლი **გიორგი გორდეზიანმა** გაიტანა. ბოლო შეხვედრა ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს:

**ნიორაძე (20. მეფარიძე), მამულაძე (41. ბოლოთაშვილი/65. ძალამიძე), ჭანკვეტაძე, ახალბედაშვილი, ხაჩიძე, რიგვავა, კვანტალიანი (41. ვაშაკიძე), გორდეზიანი, ფილია, ბაგალიშვილი (55. ქარდავა), შეყილაძე (55. მელიქიშვილი).**

ბოლო ტურის მეორე შეხვედრაში პორტუგალიისა და დანიის გუნდებმა 2:2 ითამაშეს. შესაბამისად, ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. საბოლოო სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 4-7 | 6 |
| 3. დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 4. კასტელ. ბრანკო | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

ქართველი 17-წლამდელები სამშობლოში დღეს გამოემგზავრებიან. მიუხედავად პორტუგალიასთან პირველ მატჩში განცდილი სასტიკი (0:5) მარცხისა, ცანკერი, საერთო ჯამში, კმაყოფილი დარჩა ტურნირით, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ტაქტიკური მომზადების მხრივ გუნდს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო.

### ჯერ სლოვენია, მერე იტალია, ზაფხულში თურქეთსა და ლიტვაშიც...

როგორც იცით, ჰერბერტ ცანკერის გუნდი, შემოდგომაზე, ევროპის ჩემპიონატს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს. მანამდე, ამ კრებულს კიდევ რამდენიმე მოსამზადებელი ეტაპი ელის. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 17-წლამდელები 25 აპრილიდან "ევროპა უნიტას" საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს გარდა, შეჯიბრებაში კიდევ 7 ნაკრები იასპარეზებს. წილისყრის შედეგად, ტურნირის მონაწილენი ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. აი, ეს ჯგუფებიც:

**A - იტალია, სლოვენია, საქართველო, გორიცია (იტალიის ერთ-ერთი რეგიონის ნაკრები).**

**B - ხორვატია, ლიტვა, რუმინეთი, სერბეთი.**

A ჯგუფის მატჩებს სლოვენია უმასპინძლებს, B ჯგუფისას კი, ავსტრია, ნახევარფინალური და ფინალური მატჩები კი იტალიაში გაიმართება. ფლეიოფის სისტემა ჩვეულებრივია. ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში ითამაშებენ და ასე შემდეგ.

ამას გარდა, საქართველოს 17-წლამდელები კიდევ ორ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას: 2-8 ივლისს თურქეთში, ხოლო 20 აგვისტოდან ლიტვაში, პალანგის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ცანკერის შეგირდთა მეტოქეები ბულგარეთის, ხორვატიისა და უნგრეთის 17-წლამდელები იქნებიან. ჯგუფური ტურნირის მატჩებს შემოდგომაზე ბულგარეთი უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**



ცანკერი კმაყოფილია

გამოძახილი

# პროტესტი არ განიხილება

"ჩიხურა"-"ზესტაფონის" ყბადაღებული მატჩის შესახებ საუბარი, როგორც ჩანს, მალე დასრულდება. შეგახსენებთ, "ქართლის" სტადიონის კარის ძელების არასტანდარტული ზომების გამო, "ზესტაფონი" ტექნიკური გამარჯვების ჩათვლას ან შეხვედრის გადათამაშებას ითხოვს.

როგორც გახსოვთ, ფეროელებმა პროტესტი პროფესიული ფეხბურთის ლიგაში შეიტანეს, მაგრამ პროფლიგის ხელმძღვანელთა განცხადებით, ეს დაგვიანებით გააკეთეს. მას შემდეგ კვირაზე მეტი გავიდა, ზესტაფონში კი ოფიციალურ პასუხს ელიან.

*"ბუნებრივია, ჩვენი მოთხოვნა ძალაში რჩება, "ჩიხურამ" მატჩი სათანადო პირობებში ჩატარება ვერ უზრუნველყო, რისთვისაც ჩვენს გუნდს გამარჯვება უნდა მიეკუთვნოს. უკიდურეს შემთხვევაში, თანახმანი ვართ, შეხვედრა გადავითამაშოთ. პროფლიგისგან ოფიციალურ პასუხს ველით, თუ პასუხმა დააგვიანა, კლუბის ხელმძღვანელობა თავად შეეცდება სიტუაციის გარკვევას"*, - ამბობს "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსი **სერგო ფუტკარაძე**.

პროფლიგა კი თავის პოზიციას კიდევ ერთხელ აფიქსირებს. პფლ-ის პრესატაშის, **პაატა ბურჯალიანის** თქმით, "ზესტაფონის" პროტესტი საერთოდ არ განიხილება: *"ყველაფერი უცვლელად დარჩება, არც შედეგი გაუქმდება და არც მატჩი გადათამაშდება. ეს საკითხი დახურულია, გარდა იმისა, რომ კლუბმა განცხადება დაგვიანებით შემოიტანა, არც დებულებით გათვალისწინებული თანხა გადაუხდია. აპელაციისთვის 1 000 ლარის გადახდაა საჭირო. განცხადების განხილვაზე ოფიციალური უარი "ზესტაფონს" აუცილებლად გაეგზავნება".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

# პლატინიმ არენდას შლაგბაუმი დაუდო

## რა გავლენას მოახდენს უეფას პრეზიდენტის ახალი იდეა საქართველოს ჩემპიონატზე?

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ**, პოსტზე არჩევისთანავე, არაერთი ახალი იდეა გამოამზეურა. მცირე ხნის წინათ, ერთ-ერთ მათგანზე ყურადღება დონეცკის "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტმა **დმიტრი სელიუკმა** შეაჩერა. როგორც ცნობილია, "მეტალურგსა" და კიევის "დინამოს" შორის, ლეგიონერთა ლიმიტის გამო, ნამდვილი ომია ატეხილი. სელიუკმა ხელიდან არ გაუშვა შანსი და **იგორ სურკისის** ბოსტანში კენჭები ისროლა.

*"კიეველები დიდი მონდომებით ცდილობენ ჩვენი კლუბის სახელის შებღალვას. თუმცა, იმედია, პლატინი თავის დანაპირებს შეასრულებს და შიდა ჩემპიონატებში გუნდიდან გუნდში ფეხბურთელის არენდას აკრძალავს. ეს პლატინის ერთ-ერთი საინტერესო პროექტია და უკრაინულ ფეხბურთს ის უდავოდ წაადგება. ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ კიევის "დინამომ" 60-დე მოთამაშე უკრაინის სხვადასხვა გუნდში გაანათხოვრა და ამას რაც მოჰყვება, ყველამ იცის".*

სელიუკის მინიშნება გასაგებია: იჯარით გაშვებული მოთამაშეები კიევის "დინამოს" ხელში ერთგვარი იარაღია, რითიც სასურველი ქულების მოპოვებას ეცდება. თუმცა არენდით ფეხბურთელებს მარტო კიეველები როდი უშვებენ, მსგავსი პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიცაა აპრობირებული. პოზიტიური კი ისაა, რომ პლატინი პრობლემას ხედავს და მის გადაწყვეტას ცდილობს.

**რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში და როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს კლუბებს პლატინის ახალი იდეისადმი? რას შეცვლის ეს ნოვაცია ეროვნულ ჩემპიონატში?**

**ბადრი ბრეგვაძე,**
**ჩიხურის სპორტული დირექტორი:**

- ცალსახად მისასალმებელი იდეაა. სხვათა შორის, დიდი ხანია ვამბობ, რომ არ შეიძლება მოთამაშის 3-6 თვით დამატება. ესაა ჩვენი ფეხბურთის სირცხვილი. საერთოდ, სასურველია, რომ კლუბმა მოთამაშეებთან 2-3 წლიანი კონტრაქტები გააფორმოს, ან უარეს შემთხვევაში ერთწლიანი მაინც.

**- ასეთ შემთხვევაში, "ჩიხურა" არ დაზარალდება? მაგალითად, ლამის მთელი დღევანდელი შემადგენლობა "დინამოსგან" არენდით გყავთ აყვანილი...**

- ეს მეც ძალიან მაღელვებს. უკვე გადავწყვიტეთ, რომ ახალი სეზონიდან 2-3 წლიანი კონტრაქტები გავაფორმოთ, რადგან გუნდის ფორმირებას სწორედ ეს დრო სჭირდება. ქასრაშვილამდე ორი წელი "ჩიხურას" მე ვწვრთნიდი და შემადგენლობა ოთხჯერ მთლიანად შეიცვალა. ასე, გუნდის ჩამოყალიბება და გაძლიერება შეუძლებელია.

**- მოთამაშეთა არენდის დროს, გუნდებს შორის ქულებზე გარიგება იშვიათობა არაა. უკრაინაში ამაზე დიდი ამბებია ატეხილი...**

- საქართველოში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ალბათ, გარიგებებიც არის. ასეთი ბინძური მოვლენების წინაალმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად არენდის აკრძალვა მესახება.

**მამუკა გუგეშაშვილი,**
**რუსთავის ოლიმპის დამფუძნებელი:**

- ერთი მხრივ, ეს ძალიან კარგი აზრია, რადგან გუნდების მოძლიერებას შეუწყობს ხელს. მეორე მხრივ, ეს პროექტი მოთამაშეებისთვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავს. კლუბების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძლიერი ფეხბურთელების დიდი ნაწილი მდიდარ კლუბებში ხვდებიან, მაგრამ ყველას ძირითადში არ ათამაშებენ, რაც შემდეგ მათი კლასის დეგრადაციას იწვევს. ასეთებისთვის, კლასისა და ფორმის შესანარჩუნებლად, არენდა საუკეთესო საშუალებაა. მაგალითად, "დინამოს" დღეს უამრავი, საკმაოდ ძლიერი მოთამაშე ჰყავს განათხოვრებული. რა ხეირი იქნებოდა მოთამაშეებისთვის, არენდით წასვლა რომ არ შეეძლოთ? სამწუხაროდ, ჩვენთან არაა ისე აწყობილი საქმე, როგორც ევროპის ძლიერ ლიგებში. იქ კლუბების დონე მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. არენდის აკრძალვის რა გითხრათ და, აქაც გამოსავალი ქართული კლუბების ფინანსური მოღონიერებაა.

**ზურაბ ფოცხვერია,**
**ამერის პრეზიდენტი:**

- სიმართლე გითხრათ, ამ ნოვაციის შესახებ დღემდე არაფერი მსმენია და აქედან გამომდინარე, არც მიფიქრია. არც ის ვიცი, არენდის ასაკრძალად პლატინის რა არგუმენტები გააჩნია. რა თქმა უნდა, ფეხბურთზე არენდაც გავლენას ახდენს და ამინდიც. ამ აკრძალვითაც რაღაც შეიცვლება. მაგრამ, ახლა რომ მოვისმინე ამ პროექტის შესახებ, ცოტა გამიკვირდა.

**გურამ რუხაძე,**
**ვიტ ჯორჯიის პრეზიდენტი:**

- პლატინის იდეას დადებითად ვუყურებ, რადგან ბოლო დროს, საქართველოში, მოთამაშეთა განათხოვრების პროცესი უმართავ სახეს იღებს. არენდაც გარკვეულ ჩარჩოში უნდა მოექცეს. კლუბისთვისაც და თავად მოთამაშეებისთვისაც, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება აჯობებს. დღეს სოლიდური კლუბები ასე იქცევიან, ან ერთწლიანი არენდაზე ნაკლებს არ თანხმდებიან. 3-4 თვით განათხოვრება ევროპაში აზრად არავის მოსდის. ვფიქრობ, თავად კლუბისთვის აჯობებს ეგრეთწოდებული გამოუსადეგარი მოთამაშეების გაყიდვა. ამით მისი ბიუჯეტიც გაიზრდება, სხვა კლუბებიც გაძლიერდებიან და, რაც მთავარია, ამ გზით მოთამაშეები უმაღლეს ლიგაში შედარებით თანაბრად გადანაწილდებიან. საერთო ჯამში კი, ეს დადებითად ისევ ჩვენი ჩემპიონატის დონეს დაეტყობა, რადგან სტაბილური, უფრო ძლიერი შემადგენლობებით გუნდების დონე ამაღლდება.

**მერაბ მამულაშვილი**



რონალდინიო და დათო დარციმელია

მომავალი

# ქართველი ბავშვი ბარსაში

თბილისის "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის გაზრდილი, 12 წლის **დათო დარციმელია** "ბარსელონის" ტალანტების მოძიების პროგრამის კოორდინატორმა **იაგო აგილარმა** შეარჩია და კატალონიურ გრანდში რეკომენდაციაც გაუწია. როგორც ცნობილია, ამ პროგრამაში საქართველოს მხარეს "სილქროუდი" და მისი საფეხბურთო კლუბი, "ლოკომოტივი" წარმოადგენენ.

ორი კვირის განმავლობაში, დათო კატალონიის დედაქალაქში იმყოფებოდა და მსოფლიო გრანდის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. **ლევან ყენიას** შემდეგ, დარციმელია მეორე ქართველია, რომელსაც ამხელა კლუბში ვარჯიშის ბედნიერება წილად ხვდა. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული - თუკი სიზარმაცე არ სძლევს და ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში მძიმე ვარჯიშებს გაუძლებს, იქნებ, "ბარსელონაში" ეს ორკვირიანი ვარჯიში მერე ყოველდღიურ სიხარულად ექცეს. ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერის მოლოდინში

# ყენია: ლევანტე ისევ საეჭვოა, შალკე და ვერდერი ხაზზე არიან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიაში გასამართი ელიტრაუნდისთვის (მაისში) ემზადება. როგორც იცით, **ჰაინც ტოპმიოლერის** მიერ დამოძღვრილმა გუნდმა, მარტის ბოლოს, გერმანიაში შეკრება ჩაატარა და სამი საკონტროლო შეხვედრაც გამართა: გერმანიის 19-წლამდელებთან (0:2), ლუქსემბურგის "ვიქტორია-როსპოტთან" (2:1) და ლუქსემბურგის 21-წლამდელებთან (2:1). სამწუხაროდ, ამ ბოლო შეხვედრაში, ნაკრებისა და თბილისის "ლოკომოტივის" 17 წლის ფლეიმეიქერი **ლევან ყენია** დაშავდა და თავის გუნდს საჩხერის "ჩიხურასთან" ამიტომაც ვერ დაეხმარა.

*"ლუქსემბურგელებთან შეხვედრის დროს მუხლში ისე ჩამარტყეს, ტრავმა დღემდე ვერ მოვირჩინე. ნაკრები თბილისში 1 აპრილს დაბრუნდა, მე კი კვლავ ვერ ვვარჯიშობ. "ლოკომოტივს" ვერც "ბათუმთან" 13 აპრილს დავეხმარები. 21 აპრილს კი, თბილისის "დინამოსთან" სათამაშოდ, ალბათ, მოედანზე გასვლას შევძლებ"* - გვითხრა ყენიამ.

"ლოკომოტივის" ნახევარმცველს ესპანეთის " ლევანტეში" გადასვლის შესახებაც ვკითხეთ. ზამთარში დაგეგმილ ტრანსფერს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ისევ აბრკოლებს. იქაური ჩინოსნები ქართველისთვის თამაშის უფლების გაცემას არ ჩქარობენ.

*"სიმართლე გითხრათ, უკვე აღარ ვიცი, "ლევანტეში" თამაშის უფლებას საერთოდ მომცემენ თუ არა. გერმანიაში ყოფნის დროს, "შალკე" და "ვერდერი" ისევ დამიკავშირდნენ. 18 წლამდე უცხოეთში წასვლას არც ვჩქარობ, თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოში დიდხანს დარჩენაც არ მინდა. იმედი მაინც მაქვს, რომ ესპანელები ჩემს საკითხს დროულად მოაგვარებენ და ზაფხულიდან "ლევანტეში" ვარჯიშს შევძლებ".*

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა ხაზილიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ფანკლუბი. მინი-ფეხბურთის ტურნირი

# ლიტვაში წამსვლელი გაირკვა

ეროვნული ნაკრების ფანკლუბის მიერ ორგანიზებული მინი-ფეხბურთის ტურნირი, რომელიც სპორტკომპლექს "ირაოში" მიმდინარეობდა, დასრულებულია. ტურნირის გენერალური სპონსორი კომპანია" ყაზბეგი" იყო, სპონსორი კი "ტექს ჯგუფი". ნახევარფინალში, "თელიანი ველისა" და "რაზმაძის" მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა, ხოლო პენალტების სერია "თელიანმა ველმა" 4:3 მოიგო. მეორე წყვილში "ირაომ" "ფანკლუბი" 5:1 დაამარცხა. ბოლოს კი, ფინალში, "თელიანმა ველმა" "ირაოს" 3:2 მოუგო და ტურნირის მთავარ ჯილდოს დაეუფლა. როგორც გამოცხადებული იყო, გამარჯვებული გუნდი, 2 ივნისს, ლიტვა-საქართველოს მატჩს დაესწრება და ჩვენს ნაკრებს უქომაგებს. ყველა აუცილებელ ხარჯს ეროვნული ნაკრების ფანკლუბი გაიღებს.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

### სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 19 | 15 | 3 | 1 | 45-6 | 48 |
| 2. დინამო | 19 | 15 | 0 | 4 | 39-15 | 45 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 12 | 6 | 1 | 37-6 | 42 |
| 4. ამერი | 19 | 12 | 4 | 3 | 34-12 | 40 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 19 | 11 | 5 | 3 | 38-23 | 38 |
| 6. სიონი | 19 | 10 | 2 | 7 | 25-16 | 32 |
| 7. ტორპედო | 19 | 8 | 4 | 7 | 18-17 | 28 |
| 8. ბათუმი | 19 | 6 | 4 | 9 | 19-22 | 22 |
| 9. ბორჯომი | 19 | 5 | 5 | 9 | 17-29 | 20 |
| 10. მერანი | 19 | 4 | 6 | 9 | 14-30 | 18 |
| 11. ლოკომოტივი | 19 | 4 | 5 | 10 | 12-26 | 17 |
| 12. ჩიხურა | 19 | 3 | 6 | 10 | 11-27 | 15 |
| 13. დილა | 19 | 1 | 3 | 15 | 10-48 | 6 |
| 14. კახეთი | 19 | 0 | 1 | 18 | 15-57 | 1 |

### შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 10 | 9 | 1 | 0 | 27-3 | 28 |
| 2. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 19-5 | 24 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 7 | 3 | 0 | 22-1 | 24 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 9 | 7 | 2 | 0 | 23-9 | 23 |
| 5. ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 17-3 | 23 |
| 6. სიონი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-5 | 19 |
| 7. ტორპედო | 10 | 5 | 2 | 3 | 11-10 | 17 |
| 8. ლოკომოტივი | 10 | 4 | 2 | 4 | 9-12 | 14 |
| 9. ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 10. ბორჯომი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-14 | 12 |
| 11. ჩიხურა | 9 | 2 | 4 | 3 | 6-10 | 10 |
| 12. მერანი | 10 | 1 | 4 | 5 | 5-16 | 7 |
| 13. დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-21 | 4 |
| 14. კახეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 9-25 | 1 |

### სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 7 | 0 | 3 | 20-10 | 21 |
| 2. ოლიმპი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-3 | 20 |
| 3. ზესტაფონი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-5 | 18 |
| 4. ამერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-9 | 17 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 15-14 | 15 |
| 6. სიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-11 | 13 |
| 7. ტორპედო | 9 | 3 | 2 | 4 | 7-7 | 11 |
| 8. მერანი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-14 | 11 |
| 9. ბათუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 9 |
| 10. ბორჯომი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-15 | 8 |
| 11. ჩიხურა | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |
| 12. ლოკომოტივი | 9 | 0 | 3 | 6 | 3-14 | 3 |
| 13. დილა | 10 | 0 | 2 | 9 | 7-27 | 2 |
| 14. კახეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 6-32 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 13 |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 12 |
| 3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| 4 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 5-8 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| 9-10 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 6 |
| 11-16 | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბოზოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმ./ბათ.) | 5 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 5 |
| 17-29 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | სავჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 4 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 4 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 4 |
| 30-44 | გენაძე (ოლიმპი) | 3 |
| | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 3 |
| | კობახიძე (დინამო) | 3 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 3 |
| 45-72 | გ. თოდუა (ოლიმპი) | 2 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 2 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 2 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 2 |
| | ვაჩეიშვილი (დილა/ამერი) | 2 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 2 |
| | ნ.დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 2 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 2 |
| | კობაიძე (კახეთი) | 2 |
| | ნკემი (ბორჯომი) | 2 |
| | გუმარაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | ყენია (ლოკომოტივი) | 2 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 2 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 2 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 2 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბოიომო (სიონი) | 2 |
| | ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | დარასელია (სიონი) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| | ხუბუა (ოლიმპი) | 2 |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | სავჯაია (ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| 5-6 | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| 7-18 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბოზოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტ.ი/ტორპედო) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |

### გასუდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| 2-9 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტ.) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | გონჩაროვი (დილა) | 1 |

### მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-7 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | მამალაძე (სიონი) | 1 |
| | გ. იაშვილი (კახეთი) | 1 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ფიფია (ზესტაფონი) | 16 (12+4) |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 16 (13+3) |
| 3 | ფეიქრიშვილი (ვიტ/დინ) | 13 (6+7) |
| 4 | გელაშვილი (ვიტ ჯ.) | 12 (10+2) |
| 5-6 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| 7-11 | ტატანაშვილი (ამერი) | 9 (7+2) |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 9 (5+4) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 9 (5+4) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 9 (6+3) |
| | აფციაური (ოლიმპი) | 9 (4+5) |
| 12 | იონანიძე (ზესტაფონი) | 8 (7+1) |
| 13-14 | ბოზოხიძე (დინამო) | 7 (5+2) |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 7 (6+1) |
| | დილმელაშვილი (ვიტ./დინ.) | 7 (1+6) |
| 15-20 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 (4+2) |
| | ჩასემი (სიონი) | 6 (5+1) |
| | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 6 (4+2) |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 6 (2+4) |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 6 (3+3) |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 (4+2) |
| 21-34 | გაგუა (მერანი) | 5 (3+2) |
| | სირბილაძე (ოლიმ./დინ.) | 5 (4+1) |
| | ხუციშვილი (დინამო) | 5 (4+1) |
| | გენაძე (ოლიმპი) | 5 (3+2) |
| | გამეზარდაშვილი (ტორ.) | 5 (4+1) |
| | სავჯაია (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 (5+0) |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 5 (3+2) |
| | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 5 (5+0) |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 5 (4+1) |
| | კობახიძე (დინამო) | 5 (3+2) |
| | ბერიაშვილი | 5 (3+2) |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯ.) | 5 (4+1) |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| 35-46 | ჯელაძე (ამერი) | 4 (0+4) |
| | ჩომახიძე (ჩიხ./ლოკომ.) | 4 (0+4) |
| | გურული (ტორპედო) | 4 (1+3) |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 4 (3+1) |
| | ევოჩე (სიონი) | 4 (3+1) |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 (4+0) |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯ.) | 4 (4+0) |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 4 (2+2) |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 4 (3+1) |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 4 (1+3) |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 4 (3+1) |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 4 (3+1) |
| 47-60 | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 3 (2+1) |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 (3+0) |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 3 (2+1) |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 (3+0) |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 3 (1+2) |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | გ. თოდუა (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 3 (2+1) |
| | ლ. მანჭკავა (მერანი) | 3 (1+2) |
| | გუმარაშვილი (ლოკომოტ.) | 3 (2+1) |
| | ლუქაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 (0+3) |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 3 (1+2) |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 (3+0) |

### შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 2-4 | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 3 |
| | ბოზოხიძე (დინამო) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| 5-12 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ.) | 2 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| 12-32 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ხუბუა (ოლიმპი) | 1 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფეიქრიშვილი (ვიტ./დინამო) | 7 |
| 2 | დილმელაშვილი (ვიტ/დინ.) | 6 |
| 3 | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| 4-11 | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 4 |
| 12-19 | ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| | გურული (ტორპედო) | 3 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ლუქაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| | რ. ონიანი (ოლიმპი/ზესტაფ.) | 3 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| 20-40 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 2 |
| | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | ბოზოხიძე (დინამო) | 2 |
| | ლ. ნოზაძე (დინამო) | 2 |
| | განუგრავა (ზესტაფონი) | 2 |
| | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | გველესიანი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბავჯელიძე (სიონი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 2 |
| | გაგუა (მერანი) | 2 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 2 |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 2 |
| | ლ. მანჭკავა (მერანი) | 2 |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 2 |
| | კერესელიძე (ბათუმი) | 2 |
| | გ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | 2 |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-24 | გ. ქელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლ./დინ.) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუმარაშვილი (ლოკ.) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 1 |
| | ბოზოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტ./ტორ.) | 1 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 1 |

### ჰეთ-თრიკი

| | | |
|---|---|---|
| 1-7 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ტულუში (ბათუმი) | 1 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 1 |

### ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2 | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:6 | (XII ტური) |
| 3-7 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტაფ.-ვიტ ჯ. | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |

### უხვგოლიანი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-4 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| | ბორჯომი-მერანი | 3:4 | (IV ტური) |
| | ვიტ ჯორჯია-ამერი | 4:3 | (XIII ტური) |

## XIX ტურის სიმბოლური ნაკრები




### მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 270 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 207 |
| 3 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 196 |
| 4 | სეფიაშვილი (მერანი) | 151 |
| 5 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 141 |
| 6 | გლუნჩაძე (მერანი) | 125 |
| 7 | ქვაჩახია (ამერი) | 105 |
| 8 | გვარამაძე (ლოკომოტივი) | 98 |

### ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 0:0 | 17 |
| 2 | 1:0 | 16 |
| 3 | 0:1 | 14 |
| 4 | 2:0 | 11 |
| 5 | 3:0 | 10 |
| 6 | 2:0 | 8 |
| 7-8 | 3:1 | 6 |
| | 1:1 | 6 |
| 9 | 0:3 | 5 |
| 10-12 | 0:2 | 4 |
| | 1:3 | 4 |
| | 4:0 | 4 |

### წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1-27 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელბაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 1 |
| | გუმარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | ჰ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორპედო/ბორჯომი) | 1 |

### მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 5 | კოდალაევი (ტორპ./ბორჯ.ი) | 342 |
| 6 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 7 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |
| 8 | ბათიაშვილი (სიონი) | 305 |
| 9 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 302 |
| 10 | სომხიშვილი (ბათუმი) | 264 |
| 11 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 260 |
| 12 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 256 |

### არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვადაჭკორია | 12 |
| 2-4 | ფანიაშვილი | 11 |
| | კვარაცხელია | 11 |
| | ხარიტონაშვილი | 11 |
| 5-8 | სილაგავა | 10 |
| | მაისურაძე | 10 |
| | კრიჭაშვილი | 10 |
| | ბეუქლიშვილი | 10 |
| 9 | სანაია | 9 |
| 10 | კიკაჩეიშვილი | 7 |
| 11-12 | პ. დოგრაშვილი | 6 |
| | ხეცაძე | 6 |
| 13-15 | ჭაჭუა | 5 |
| | ნონიკაშვილი | 5 |
| | ბუიშვილი | 5 |
| 16 | ელისაბედაშვილი | 4 |

### ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 8 |
| 2-4 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 6 |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ლ. გრიგალაშვილი (მერანი) | 1 |

### გასულ ტურში

15 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.14)

14 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.00)

0 წითელი ბარათი

### ჩემპიონატში

334 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.51)

412 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 3.09)

27 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.20)

ქართული ლეგიონის უქმეები

# დარტყმა... არის!



ცენტრალური სათასო ნახევარფინალი. ზიმბრუ-შერიფი

**გუშინდელ მიმოხილვაში ევროპის სოლიდურ ლიგებში მოთამაშე ქართველებზე გიამბეთ, ახლა კი დანარჩენ ლეგიონერთა ჯერია...**

## ნეფთჩიმ ლიდერობა დაკარგა

**აზერბაიჯანი.** აქაურ ჩემპიონატში XXI ტურის მატჩები გაიმართა. რაკი გათამაშებაში კლუბების კენტი რაოდენობა მონაწილეობს, ამ უიქენდზე დასვენება ბაქოს "ნეფთჩის" მოუწია. ჰოდა, დაკარგა კიდეც ლიდერობა, რადგან ლენქორანის "ხაზარმა" შინ "ქარვანი" 3:1 დაამარცხა. გამარჯვებულთა შორის არ უთამაშია **ვალერი აბრამიძეს**, რომელმაც ამით ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. სტუმართა ქართული ტრიოდან, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მხოლოდ ცენტრალურმა მცველმა **ალექსანდრე ინნკირველმა** ითამაშა. ის 83-ე წუთზე შეცვალეს. მატჩის შემდეგ მან განაცხადა: *"პირველ ტაიმში საშინლად გამოვიყურებოდით, თუმცა შემდეგ თამაში გავათანაბრეთ. მივიჩნევ, რომ საოცარად არ გაგვიმართლა".*

სხვათა შორის, ამ მატჩში გოლები ვერ გაიტანეს **გიორგი ადამიას** კონკურენტებმა ბომბარდირობისთვის დავაში - **ზაურ რამაზანოვმა** და **იაკუბუ ბამბამ**.

თაუზის "თურანი" შინ 0:1 დამარცხდა "არაზთან". მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა **ირაკლი ვაშაკიძემ** სრულად ითამაშა. ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი "გილანი" ზამთარში სამი ქართველით კი გაძლიერდა, მაგრამ შედეგი ჯერ არ აქვს. "გილანმა" ზაქათალაში "სიმურგთან" 1:3 წააგო. **გიორგი კრასოვსკიმ** 90 წუთი დაყო მოედანზე. ფოთის "კოლხეთის" ყოფილ ფორვარდს აზერბაიჯანის ჩემპიონატში გოლი ჯერ არ გაუტანია. **დიმიტრი დიდმარხვაშვილი** 55-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **დიმიტრი კაპანაძე** თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო. "ბაქომ" "შაჰდაღი" დაამარცხა - 3:1. მასპინძელთა რიგებში მხოლოდ **ამირან მუჯირმა** ითამაშა (გააფრთხილეს), **გიორგი მეგრელაძე** და **ალეკო გოგობერიშვილი** ტრავმირებულები არიან. "ოლიმპიკი"-"ყარაბაღის" მატჩში კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშა: სტუმართა რიგებში **გოგა ბერაია** 78-ე წუთზე შეცვალეს.

ქართველთა გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: 1. ხაზარი - 37 ქულა; 2. ნეფთჩი - 36; 5. ბაქი - 33; 6. ქარვანი - 30; 9. ყარაბაღი - 20; 10. თურანი - 18; 11. გილანი - 9.

## პირველი მარცხი ვაჟას გარეშე, ახალაია ისევ მოლდოვაში

**მოლდოვა**. გაიმართა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები. ბრმა წილისყრამ ქვეყნის ორი უძლიერესი კლუბი - დედაქალაქური "ზიმბრუ" და ჩემპიონი "შერიფი", ერთმანეთს ნახევარფინალში შეახვედრა. პირველი მატჩი, კიშინიოვში, 2:1 დასრულდა "ზიმბრუს" სასარგებლოდ. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **მამუკა ლომიძემ**. "შერიფში" კი არ გამოჩენილა გუნდის კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი**, რომელიც კვლავ ტრავმირებულია. მიმომხილველთა მტკიცებით, "შერიფს" კაპიტნის ხელი აშკარად აკლდა. ტირასპოლელებმა "ზიმბრუსთან" ბოლოს 3 წლის წინათ წააგეს, ამ სეზონში კი ეს "შერიფის" პირველი მარცხია. თამაშს სკანდალიც ახლდა. ტრიბუნებზე, "შერიფის" ფეხბურთელის **სიმიონ ბულგარუს** მამა პოლიციელებმა იმის გამო სცემეს, რომ შვილის კლუბს შეძახილებით ამხნევებდა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში "ნისტრუმ" "ტირასპოლს" 1:0 სძლია. სტუმართა რიგებში არ უთამაშია 19 წლის მცველ **ვალტერ ხორგუაშვილს**. საპასუხო მატჩები 22 და 23 აპრილს გაიმართება.

თბილისის "დინამოს" ყოფილი შემტევი ნახევარმცველი **ლადო ახალაია** გასულ თვეში რუმინეთის ჩემპიონატის ლიდერ ბუქარესტის "დინამოში" ისინჯებოდა. როგორც ჩანს, ამან შედეგი ვერ გამოიღო - ანუ, ჩვენი თანამემამულე რუმინეთიდან ისევ მოლდოვაში აღმოჩნდა. როგორც თავად ახალაიამ განაცხადა, მას ყოფილ კლუბ "ზიმბრუში" დაბრუნება სურდა, თუმცა ამ კლუბის ხელმძღვანელობამ ქართველის აყვანა არ ისურვა. ახალაიამ კიშინიოვის მეორე კლუბ "დაჩიას" მიაკითხა და კონტრაქტიც გააფორმა. მან იქ ერთ-ერთი ლიდერი **ვლადიმირ ჟეპელეუ** უნდა შეცვალოს.

## მხოლოდ ხოჯავა და ჯინჭარაძე

**რუსეთი.** პირველ დივიზიონში III ტურის მატჩები გაიმართა. **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის "დინამო" ხაბაროვსკს ესტუმრა და "სკა-ენერგიასთან" 1:1 ითამაშა. შორეულ აღმოსავლეთში მატჩს 12 ათასი (!) მაყურებელი დაესწრო. ვეტერანმა ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა. ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა **ომარ თეთრაძის** "ანჟიმ". დაღესტნელებმა შინ "ტექსტილშჩიკი" დაამარცხეს - 1:0. "ანჟიში" კვლავ მხოლოდ ერთი ქართველი, **გოჩა ხოჯავა** თამაშობს, რომელიც თეთრაძემ 75-ე წუთზე შეცვალა. "ბალტიკა" "კამაზს" დაუზავდა - 0:0. **ლავრენტი მიქაძეს** არ უთამაშია. "ტორპედომ" 4:0 დაამარცხა "მორდოვია". **გედევან დარასელია** მოსკოველთა ძირითად გუნდში ჯერჯერობით არ თამაშობს.

## სად გაქრა ორი ქართველი?

**ლატვია**. დაიწყო უმაღლესი ლიგის (ვირსლიგა) გათამაშება და პირველივე ტურში სენსაციაც დაფიქსირდა: "რიგამ" შინ ქვეყნის ჩემპიონი "ვენტსპილსი" დაამარცხა - 1:0. ერთადერთი გოლი 43-ე წუთზე **დორომ ორესტმა** გაიტანა. სტუმართა მეათე ნომერი **ზურაბ მენთეშაშვილი** მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა. მან **დენის სოკოლსკი** შეცვალა. თუმცა მისთვის სადებიუტო მატჩში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ვერაფერი გააწყო, თან 59-ე წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო. "ვენტსპილსმა" მატჩი 10 კაცით და უმწვრთნელოდ (მენთეშაშვილის ყვითელ ბარათს აპროტესტებდა) ჩაამთავრა. ისე, ჩვენებურს შეეძლო ქულის გადარჩენა, მაგრამ მესამე დამატებულ წუთზე გოლკიპერისთვის ბურთის თავზე გადაგდება ვერ მოახერხა.

"ვენტსპილსის" კონკურენტმა "სკონტომ" კი პირველი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში, დაამარცხა რა "ოლიმპსი" - 1:0. გამარჯვების გოლი 51-ე წუთზე **კალნინშმა** გაიტანა. მასპინძელთა რიგებში სრულად ითამაშეს **ზაალ ელიავამ** და **დავით გამეზარდაშვილმა**. ამ უკანასკნელმა, 78-ე წუთზე, აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები, როცა კარის ხაზიდან ბურთი თავურით კუთხურზე მოიგერია.

ტურის კიდევ ერთი მატჩი დასრულდა მასპინძელთა მოკრძალებული გამარჯვებით: "იურმალამ" "დინაბურგს" 1:0 მოუგო. იურმალელთა შორის სათადარიგო იყო **ოთარ გოგბერაშვილი**. "დინაბურგში" ორი ქართველი - **ბაქარ გიორგაძე** და **როლანდ სვანიძე** ირიცხებოდა, თუმცა კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ისინი იქ აღარ არიან. ბოლოს, მათ შეკრების დასკვნით დღეს, 1 აპრილს, ორმხრივ მატჩში ითამაშეს. იგივე ვებგვერდის მიხედვით, "დინაბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი პოპკოვმა** ისინი 25-კაციან საერთო სიაშიც არ შეიყვანა.

## გოგინაშვილი, დარტყმა... არის!

**ბელარუსი**. აქ თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა და იმ ოთხი კლუბის ვინაობა გაირკვა, რომლებიც პრესტიჟული ჯილდოსთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ბრესტის "დინამომ" შინაც მოუგო სოლიგორსკის "შახტიორს", ოღონდ, უფრო დიდი სხვაობით - 4:1 (პირველი მატჩი 2:0). ჩვენებურმა **რომან გოგინაშვილმა** (ნახევარმცველი) მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა, თუმცა ქართული გოლის გასატანად ესეც საკმარისი აღმოჩნდა: 68-ე წუთზე მან ანგარიში 3:1 გახადა. ნახევარფინალში ბრესტის "დინამო" შეხვდება "ნემანს", რომელმაც გათამაშებიდან სენსაციურად გამოთიშა მინსკის "დინამო". მეორე ნახევარფინალური წყვილი კი ასეთია: "მინსკი" "ბატეს" წინააღმდეგ.

## ქართველებმა მძიმედ დაიწყეს

**ლიტვა**. აქაურ A ლიგაში 10 კლუბი ასპარეზობს. მოგებით გახსნა სეზონი ჩემპიონმა "კაუნასმა", თუმცა გასვლაზე "ინტერასის" ძლევა ერთობ გაუჭირდა - 3:2. სტუმართა საყრდენი ნახევარმცველი **ნუკრი მანჩხავა** განაცხადშიც არ ყოფილა, **გივი კვარაცხელია** კი მოედანზე მხოლოდ 65-ე წუთზე გამოჩნდა (იმ დროისთვის უკვე 3:2 იყო). თასის მფლობელმა "სუდუვამ" "შილიუტე" გაანადგურა - 4:1. სტუმართა გუნდში 90 წუთი ითამაშა "კაუნასიდან" განათხოვრებულმა **აკაკი ხუბუტიამ**. "სუდუვას" რიგებში არ ყოფილან ძმები **ჭილლაძეები**, რომლებიც გუნდიდან წავიდნენ.

## სასტარტოში ჯერ ვერ ჩაჯდა

**ყაზახეთი**. გაიმართა სუპერლიგის მესამე ტურის მატჩები. ყარაღანდის "შახტიორი", რომლის ღირსებას **გიორგი გაბიდაური** და **ლევან მელქაძე** იცავენ, "აქტიობეს" ესტუმრა და დაუზავდა (0:0). გაბიდაურმა შეუცვლელად ითამაშა, მელქაძე კი, რომელმაც წინა ტურში გოლით გამოიჩინა თავი, თამაშში მხოლოდ 86-ე წუთიდან ჩაება. **ზურაბ არჩვაძის** "ეკიბასტუზეცმა" 3 ათასი გულშემატკივრის გასახარად 2:0 მოუგო "თარაზს". ქართველმა შეუცვლელად ითამაშა. **ზვიად ჯელაძისა** და **კახა ჟვანიას** "ვოსტოკი" შინ 1:2 დამარცხდა "ორდაბასისთან". ჯელაძემ 90 წუთი ითამაშა, ჟვანიამ კი ოდენ ბოლო სამი წუთი. **გიორგი გოგიაშვილის** ახალმა კლუბმა "კაისარმა" საკუთარ მოედანზე 0:0 ითამაშა "ოკჟეტპესთან". გიორგი 58-ე წუთზე შეცვალეს. "შახტიორს" და "კაისარს" 5-5 ქულა აქვთ, "ეკიბასტუზეცს" 3, "ვოსტოკს" კი მხოლოდ 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კაუნასელი გია კვარაცხელია მოედანზე შესვლის წინ მწვრთნელისგან მითითებებს იღებს



დავით მუჯირი

ფეხბურთი და პოლიტიკა

# გამოგვიქეთებს მუჯირი რუსეთთან ურთიერთობას?

## მამინაშვილს კუზბასში დირექტორობა შესთავაზეს

**დავით მუჯირმა** სამარის "კრილია სოვეტოვში" დაბრუნება რამენსკოეს "სატურნის" კარში გატანილი გოლით აღნიშნა. მატჩის შემდეგ "სპორტ-ექსპრესმა" ქართველ ნახევარმცველს ინტერვიუ ჩამოართვა და ერთ-ერთი კითხვა პოლიტიკაზეც დაუსვა:

**- თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დიპლომი გაქვთ. პროფესიული შეფასება რომ გააკეთოთ, თქვენ თავს გადამხდარ ამბებს შეუძლია, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გააუმჯობესოს?**

- გარკვეულწილად, შეუძლია. საქართველოში ამ პრობლემას სერიოზული ყურადღება დაუთმეს და ამის თაობაზე ქართულ პრესას ბევრი ვესაუბრე. ყველას აზრია, რომ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს... მივხვდი, რომ ჩემი დაბრუნების შემდეგ, "კრილია" აქცენტს შემტევ ფეხბურთზე გადაიტანდა. "სატურნთან" იმდენი მომენტი შევქმენით, არც ერთ წინა მატჩში რომ არ გვქონია. - ასეთი იყო მუჯირის კომენტარი.

სხვათა შორის, ანალოგიური პრობლემა ბათუმის "დინამოს" ყოფილ მეკარე **იური მამინაშვილსაც** შეექმნა. ის რუსეთის პირველ ლიგაში დაბრუნებულ ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასის" მეკარეთა მწვრთნელი იყო. მამინაშვილი გუნდს ანთალიის შეკრებაზეც ახლდა და კლუბის სპორტული დირექტორის პოსტი შესთავაზეს. მაგრამ, რად გინდა, პირველ ლიგაში უკვე ოთხი ტური გაიმართა და მამინაშვილი გუნდს ვერ ეხმარება - რუსეთში შესვლის უფლება საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა მისცეს. როგორც მან გუშინ გვითხრა, ეს პრობლემა მალე მოგვარდება, რადგან შრომის ვიზა მიღებული აქვს და ნოვოკუზნეცკელებს მალე შეუერთდება. ბარემ, იმასაც შეგახსენებთ, რომ მუჯირის საკითხის მოსაგვარებლად, "კრილია სოვეტოვის" პრეზიდენტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან აუდიენცია დასჭირდა.

მამინაშვილზე საუბარი კი იმით დავასრულოთ, რომ "მეტალურგ-კუზბასში" კარიერას მისი ვაჟი, შოთა გააგრძელებს. ის 20 წლისაა და მამასავით მეკარე გახლავთ. **სერგო კუტივაძის** ხელმძღვანელობის დროს, შოთას საქართველოს 17-წლამდელებშიც უთამაშია. თუმცა უმცროსი მამინაშვილი, პირველი წრის დასრულებამდე, მხოლოდ ვარჯიშს თუ შეძლებს, რადგან ნოვოკუზნეცკელთა განაცხადში არ შეუყვანიათ. ეს საკითხი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში უნდა გადაწყდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ბარსელონა. ტრანსფერები

# ვის დარჩება ჯანლუკა ძამბროტა?

## მილანი და იუვენტუსი გააქტიურდნენ, ბარსელონა ძმები მილიტოების სანაცვლოდ 20 მილიონ გირვანქას ამზადებს...

რამდენიმე დღის წინ **ჯანლუკა ძამბროტას** ვრცელი ინტერვიუ შემოგთავაზეთ. იტალიელი მცველი გარკვევით ამბობდა, რომ "ბარსელონიდან" აზარგებაზე არ ფიქრობს და კატალონიურ გრანდში კონტრაქტის ამოწურვამდე აპირებს დარჩენას. ამ განცხადების მიუხედავად, ესპანურ პრესაში ძამბროტას შესაძლო აზარგების შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გაჩაღდა. პირენეელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ჯანლუკა "ბარსაში" თავს კომფორტულად ვერ გრძნობს და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. ინფორმაციის გასამყარებლად ისინი "მილანისა" და "იუვენტუსის" შეფების განცხადებებს იშველიებენ.

"დიარიო ასში" დაიწერა, რომ მილანური და ტურინული კლუბები მზად არიან **ჩიკი ბეგირისტაინთან** მოლაპარაკებები დაიწყონ. ისინი კონკრეტულ სატრანსფერო თანხასაც ასახელებენ. "ბებერი ქალბატონი" 15 მილიონ ევროს იმეტებს. "ნერაძური" კი სულაც 18 მილიონს იხდის. "ბარსას" შეფებსა და თავად ფეხბურთელს ზემოთ თქმულთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

"დიარიო სპორტის" ცნობით, კატალონიელები "სარაგოსას" **დიეგო** და **გაბრიელ მილიტოების** სანაცვლოდ 20 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. ტრანსფერი იმ შემთხვევაში გაადვილდება, თუ არაგონელები ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩებიან. 29 ტურის შემდეგ ისინი მეოთხე ადგილს "ვალენსიასთან" ერთად იყოფენ. კლუბებს 50-50 ქულა აქვთ დაგროვებული. მაგრამ რა მოხდება, თუ პირველად მრავალი ათწლეულის განმავლობაში "სარაგოსა" ჩემპიონთა ლიგაში გავა? კლუბი საუკეთესო ფეხბურთელების შენარჩუნებას შეეცდება, მაგრამ გასათვალისწინებელია მისი საბიუჯეტო დეფიციტიც. პრეზიდენტმა **აგაპიტო იგლესიასმა** დაადასტურა, რომ დეფიციტი 18 მილიონ გირვანქას აჭარბებს. "ბარსელონის" მიერ შეთავაზებული თანხა ფინანსური პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, მილიტოები ზუსტად იმ პოზიციებზე თამაშობენ (გაბრიელ დაცვის ცენტრში, ხოლო დიეგო თავდასხმაში), რომელთა გაძლიერება **ფრანკ რიიკაარდს** ყველაზე მეტად სურს.

დატოვებს თუ არა **ეიდურ გუდიონსენი** "კამპ ნოუს"? ინგლისური სააგენტოები ისლანდიელ თავდამსხმელს ინგლისში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ. "სქაი სპორტსის" მტკიცებით, გუდიონსენის შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედს" სურს. *"მანჩესტერელთა დაინტერესების შესახებ არაფერი მსმენია,"* - განუცხადა ფეხბურთელმა ზემოხსენებულ სააგენტოს. საგანგებო კომენტარი გააკეთა ბეგირისტაინმაც. მან "ელ მუნდო დეპორტივოს" აუწყა, რომ "ბარსა" გუდიონსენთან გამოთხოვებას არ აპირებს: *"მართალია, ეიდური სისტემატურად არ თამაშობს, მაგრამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა. კლუბი მზადაა, მასთან თანამშრომლობა უპირობოდ გააგრძელოს."*

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# მილანი ინძაგის იმედად



ოტმარს უკვე ნახევარფინალი ესიზმრება?

### ბაიერნი-მილანი
#### პირველი მატჩი 2:2

"სან სიროს" 2:2-ის შემდეგ "მილანს" "ალიანს არენაზე" რაღაც განსაკუთრებული სჭირდება: გუნდი თითქოს საკუთარ თავს უნდა გადაახტეს, ანუ აღარ იყოს ის "მილანი", როგორიც ოქტომბერში დაწყებული კრიზისის შემდეგ არის – ნელი, პროგნოზირებადი თამაში, უყურადღებობა დაცვაში და ა.შ. თუმცა პატარა იმედს სულ ბოლო, შაბათის შეხვედრა იძლევა, რომელშიც "როსონერიმ" "ემპოლის" 3:1 მოუგო და მოუგო ლაღი, გააზრებული, შინაარსიანი თამაშით – ისეთით, როგორიც თვეების მანძილზე აღარ უჩვენებია. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ "ბაიერნი" არ არის "ემპოლი" და კიდევ ის, რომ იმ სამი გოლის ავტორიდან დღეს ვერცერთი ვერ ითამაშებს: **ჯილარდინო** დისკვალიფიცირებულია, **რონალდოს** ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლება არ აქვს, **ფავალი** კი ასეთი დონის შეხვედრებში მხოლოდ თადარიგისთვის არის მზად. არ არის ჯილარდინო, არ არის რონალდო, და რაღა თქმა უნდა, არჩევანი **ინძაგიზე** ჩერდება, კიდევ იმიტომ, რომ "ბაიერნთან" სუპერპიპო ბედნიერების მომტანი თილისმასავითაა. სტატისტიკას თუ გავიხსენებთ, პიპოგოლის მოედანზე გასვლა უკვე საკმარისი უნდა იყოს გერმანელების შესაშინებლად: 2002 წლის ჯგუფურ ეტაპზე ჯერ "ოლიმპიაშტადიონზე" შეასრულა დუბლი, მერე კი საპასუხო შეხვედრაშიც გაიტანა. შარშანდელი გათამაშების განმეორებით მერვედფინალში "სან სიროზე" კიდევ ერთი დუბლი გაახერხა (4:1) და "მილანი" მეოთხედფინალში გაიყვანა. ინძაგი უკვე არის ევროფეხბურთის ლეგენდა თავისი 55 გოლით, იტალიელებს შორის კი ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეგოლეა (39 გოლით).

გასაკვირი არ არის, რომ "ბაიერნის" დასამარცხებლად **ანჩელოტი** იმედს ინძაგის გოლებზე ამყარებდეს. მაგრამ აქაც არის პატარა პრობლემა: სუპერპიპოს ფიზიკური კონდიცია, რაც მილანელებში საკმაო შეშფოთებას იწვევს. 1-ლი თებერვლიდან დღემდე თავდამსხმელმა სულ 109 წუთი ითამაშა: 18 "სამპდორიასთან", 72 "სელტიკთან" და 19 "ბაიერნთან". "მილანის" ექიმები ამბობენ, რომ პიპო კარგად არის, მაგრამ არა იდეალურად. თუმცა დღეს მისი მოედანზე ყოფნა ჰაერივით საჭიროა და მილანში ჩატარებულმა ბოლო ვარჯიშმაც აჩვენა, რომ თუ რაიმე გართულებები არ იქნა, ინძაგი "ალიანს არენაზე" აუცილებლად ითამაშებს – საკითხავი რჩება, როგორ და რამდენ ხანს.

სხვა მხრივ კი "მილანი" იმავე შემადგენლობითა და იმავე ტაქტიკური სქემით (4-3-2-1) წარდგება მიუნხენში, როგორითაც პირველ შეხვედრაში ითამაშა. ჩემპიონატის ბოლო ტურში ანჩელოტიმ ოთხივე მცველი დაასვენა (**ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი**), დღეს ისინი მოედანზე იქნებიან, ახლადგამოჯანმრთელებული **კალაძე** და **შიმიჩი** კი თადარიგში. დაისვენა **ზეედორფმაც**, რომელიც **კაკასთან** ერთად დღეს ინძაგის მომარაგებაზე იზრუნებს. "ემპოლისთან" გამარჯვების შემდეგ ანჩელოტიმ ასეთი რამ თქვა: *"ჩემი გუნდი თანდათან იბრუნებს თავის საუკეთესო თამაშს, დღევანდელი გამარჯვება საუკეთესო საშუალებაა "ბაიერნისთვის" მოსამზადებლად. სიტუაციას ძალიან რეალისტურად ვაფასებ და მჯერა, რომ მიუნხენში წარმატების მიღწევა შეგვიძლია. კარგად ვიცნობ "მილანს" და ასევე "ბაიერნს", ვიცი, როგორ უნდა შევუქმნა პრობლემები ჩვენს გერმანელ მეტოქეს. ჩვენი მიზანია, რომ ვითამაშოთ ისევე, როგორც საშინაო შეხვედრაში. თუ ამ ამოცანას შევასრულებთ, მაშინ ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს".* პირველ შეხვედრაში "მილანმა" მართლაც კარგად ითამაშა, ყოველ შემთხვევაში, "ბაიერნზე" ბევრად კარგად, მაგრამ მხოლოდ 75 წუთის განმავლობაში. მერე კი გერმანელებმა თავი წამოყვეს, მილანელების დაცვასა და მეკარეს ორჯერ ჩაეძინათ და **ვან ბუიტენს** ორჯერ გათანაბრების საშუალება მიეცა. ახლა ფავორიტი "ბაიერნია", რომელსაც დისკვალიფიკაციამოხდილი ლიდერები უბრუნდებიან – კაპიტანი **ოლივერ კანი** და **მარკ ვან ბომელი**. მაგრამ მიუნხელებს დანაკლისი მაინც დიდი აქვთ **ვილი სანიოლის** სახით. ფრანგმა მცველმა პირველ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და უკვე სეზონიც დაასრულა. ბუნდესლიგის ბოლო ტურში "ბაიერნმა" სტუმრად "ჰანოვერს" 2:1 მოუგო **დემიკელისისა** და **შვაინშტაიგერის** გოლებით. ამ შეხვედრაში შვაინშტაიგერმა მუხლი დაიზიანა, თუმცა მისი დროული გამოჯანმრთელება



კარლო ანჩელოტის წარმატების იმედი აქვს

პრობლემა არ იქნება, ისევე როგორც მსუბუქად დაშავებული **ლუსიოს**, **ჰარგრივზისა** და **სალიჰამიჯიჩის**. ბავარიელების ძველ-ახალი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** თავისი გუნდის შანსებს ოპტიმისტურად უყურებს: *"ძალიან იმედიანად ვარ განწყობილი, "ჰანოვერთან" გამარჯვება დიდ სტიმულია ოთხშაბათის თამაშისთვის. ბრწყინვალე შანსი გვაქვს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრად 2:2 ვითამაშეთ, არამედ უფრო იმიტომ, რომ საუკეთესო ფორმაში ვართ".*

დღეს ორივე გუნდის კაპიტნები, კანი და მალდინი, ჩემპიონთა ლიგაში თავიანთ 103-ე შეხვედრას ჩაატარებენ, რითაც **დევიდ ბექჰემის** შედეგს გაიმეორებენ. ლიგაში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობით მათ მხოლოდ ორი რეალელი უსწრებს – **რობერტო კარლოსი** (107) და **რაული** (108). პაოლო მალდინიმ მე-100 შეხვედრა ერთი თვის წინ გლაზგოში, "სელტიკთან" გამართა, რის შემდეგაც ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მაინც არ მაქვს ისეთი განცდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში რაღაც განსაკუთრებულ ნიშნულს მივაღწიე. მე ჩემპიონთა თასზეც ვთამაშობდი, ასე რომ, 100-მატჩიანი ზღვარი დიდი ხანია გადავლახე".*

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** კანი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივზი, შვაინშტაიგერი, პოდოლსკი, მაკაი

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, ზეედორფი, ინძაგი

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

### ლივერპული-ეინდჰოვენი
#### პირველი მატჩი 3:0

რა უნდა დაუპირისპიროს "ეინდჰოვენმა" "ლივერპულს" "ენფილდზე" ისეთი, რომ სამბურთიანი უპირატესობით დაამარცხოს მერსისაიდული კლუბი? ერთი კვირის წინ, როცა **რაფა ბენიტესის** შეგირდებმა ეინდჰოვენში 3:0 იმარჯვეს, აბსოლუტურად ყველა ექსპერტი თუ მიმომხილველი შეთანხმდა იმაზე, რომ ინგლისური გრანდი უკვე ნახევარფინალშია. საპასუხო მატჩის წინ პსვ-ს ნახევარფინალში გასვლაზე მხოლოდ ის თუ ჩავაფსონს, ვისაც ზღაპრების სჯერა.

ფაქტი ის გახლავთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გუნდს ფლეი ოფში საკუთარ მოედანზე 0:3 წაეგო და მერე მაინც გაეღწია მომდევნო ეტაპზე. ფლეი ოფის პირველი მატჩი საკუთარ კედლებში სულ 114-მა გუნდმა წააგო ანგარიშით 0:3 და საპასუხო მატჩის შემდეგ 114-ივე გამოეთიშა ასპარეზობას. ზღაპრების არც ეინდჰოვენელ ფეხბურთელებს სჯერათ, ისინიც ხვდებიან, რომ პსვ ბოლო სამ წელიწადში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მეორედ ვერ გავა.

*"სათქმელი არაფერია, პირველი თამაში 0:3 წავაგეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის დამთავრებულია. "ენფილდზე" მხოლოდ პრესტიჟისთვის თუ ვიბრძოლებთ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სამბურთიანი უპირატესობით მოგება არ შეგვიძლია. ასე რომ, გავარდნას უკვე შევეგუეთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსაგებად არ ვიბრძოლებთ,"* - აცხადებს ეინდჰოვენელთა კაპიტანი **ფილიპ კოკუ**. თითქმის ყველა ჰოლანდიური გამოცემა ერთხმად იუწყება, რომ ფილიპსელთა მთავარი მწვრთნელი **რონალდ კუმანი** დღეს არაერთ წამყვან ფეხბურთელს დაასვენებს, რადგან მან მთელი აქცენტი ჰოლანდიის ჩემპიონატზე გადაიტანა. როგორც ხედავთ, კუმანიც შეეგუა იმ აზრს, რომ "ეინდჰოვენს" ნახევარფინალში გასვლა არ შეუძლია.

სხვათა შორის, კუმანს სხვა გზა არც აქვს - რომ არა ასეთი სიტუაცია, მის გუნდს ისედაც თითქმის მეორე შემადგენლობით მოუწევდა ასპარეზობა, რადგან **იბრაჰიმ აფელაი, იან კრომპამპი, ედისონ მენდესი, მიხაელ რაიციგერი** და **ალექსი** ტრავმირებულები არიან. ამასთან, ორშაბათის ვარჯიშზე დაშავდა თავდამსხმელი **დიეგო ტარდელიც** და "ენფილდზე" მისი თამაში უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

მიუხედავად იმისა, რომ კუმანი პირდაპირ ამბობს, გავარდნილები ვართო, მისი ვიზავი, "ლივერპულის" დამრიგებელი ბენიტესი მაინც ფრთხილობს. ესპანელი სპეციალისტი თავის შეგირდებს აფრთხილებს, ყურადღების მოდუნება არ შეიძლებაო. *"ვინ ვინ და ჩვენ ყველაზე უკეთ ვიცით, რომ ჩემპიონთა ლიგაში სამბურთიანი უპირატესობის აღმოფხვრა შესაძლებელია. ორი წლის წინ ამ ტურნირის ფინალში, "მილანთან" 0:3-ს ვაგებდით და ანგარიშის გათანაბრება მოვახერხეთ. ასე რომ, მაინც სიფრთხილე გვმართებს. ზერელე მიდგომა შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს. წარმოიდგინეთ, მეტოქემ ანგარიში რომ გახსნას და წნეხის ქვეშ მოგვაქციოს, განა შეუძლებელი იქნება, რომ კიდევ ორი გოლი გავუშვათ? ასეთ შემთხვევაში კი ყველაფერი თავიდან დაიწყება. იმისათვის, რომ ასეთი რამ არ მოხდეს, ფეხბურთელების მხრიდან 100 პროცენტიან კონცენტრაციას ვითხოვ,"* - აცხადებს ბენიტესი, რომელიც დღეს ტრავმირებულ **ფაბიო აურელიოსა** და დისკვალიფიცირებულ **დირკ კუიტს** ვერ დაიხმარს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, მასკერანო, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, მარკ გონსალესი, პენანტი, კრაუჩი.

**ეინდჰოვენი:** გომეში, ფეჰერი, მანუელ და კოშტა, სიმონსი, სალსიდო, კულინა, კოკუ, ვაირინენი, ქსიანგი, არუნა კონე, ფარფანი.

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია).



რაფა ბენიტესი ეინდჰოვენში დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას აპირებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი VS მილანი

# კალაძე: ვიბრძოლებთ, როგორც გლადიატორები!

## გატუზომ ბავარიელებს ომი გამოუცხადა!



ვან ბუიტენის მეორე გოლი ბაიერნისა და მილანის ერთი კვირისწინანდელ მატჩში

**"ბაიერნის" ფეხბურთელებს იმედი აქვთ, რომ დღეს საღამოს, როცა ისინი მიუნხენის "ალიანს არენაზე" "მილანთან" საბრძოლველად გამოვლენ, ტრიბუნებზე არანაკლებ საზეიმო განწყობა იქნება, ვიდრე "რეალთან" საპასუხო მატჩის დროს იყო. "სან სიროზე" მიღწეული ფრის შემდეგ ამ წყვილში ფავორიტად "ბაიერნი" იქცა და არცაა გასაკვირი, რეკორდმაისტერის ფეხბურთელები სეზონის უმნიშვნელოვანესი თამაშის წინ თავდაჯერებულები რომ არიან. და რას ფიქრობენ "მილანის" ფეხბურთელები?**

დავიწყოთ ფრაზით, რომელიც "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** ეკუთვნის. "მილანის" ბოსს ბევრი არ უსაბრია, მოკლედ და ყველასთვის გასაგებად თქვა: *"ჩვენ უბრალოდ, "ბაიერნზე" ძლიერები ვართ!"* გალიანიმ ამ სიტყვებით ხაზი გაუსვა იმას, რომ "მილანი" ვალდებულია, მიუნხენში მოიგოს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდეს.

კაკა ჯერაც პირველ თამაშზე ფიქრობს და დანანებით აღნიშნავს, *ყურადღება მოვადუნეთ და მოგება ხელიდან გავუშვითო. "ის, რომ დანიელ ვან ბუიტენმა ერთი კვირის წინათ ანგარიში გაგვითანაბრა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია. "სან სირო" თავჩაქინდრულებმა დავტოვეთ, მაგრამ მინდა ყველამ გაიგოს, რომ ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება. ვგრძნობ, რომ ეს "მილანისთვის" ისტორიული საღამო იქნება. რამდენადაც დიდ პატივს ვცემთ მეტოქეს, იმდენად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ მიუნხენში მოგება და ნახევარფინალში გასვლა შეგვიძლია. "ბაიერნი" კი მართლაც პატივსაცემი გუნდია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი წარსული და სახელი აქვს, არამედ იმის გამო, რომ მიუნხენელებს ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ. ვიცი, რომ მიუნხენელი გულშემატკივრები არ დამეთანხმებიან, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ პირველ მატჩში ჩვენ უფრო უკეთ გამოვიყურებოდით და მოგებასაც ვიმსახურებდით. მჯერა, რომ "მილანს" მიუნხენში მოგება შეუძლია,"* - ამბობს "როსონერის" ბრაზილიელი ფლეიმეიქერი.

მიუნხენურ გიგანტს ომს უცხადებს **ჯენარო გატუზოც** და საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ომი სწორედ "რინომ" წამოიწყო. *"ბაიერნელებს ჰგონიათ, რომ უკვე ნახევარფინალში არიან. იმედია, არ ფიქრობენ, რომ "მილანი" უკვე დანებდა - ჩვენ მიუნხენში საბრძოლველად მივდივართ,"* - განუცხადა გატუზომ ჩვენს იტალიელ კოლეგებს გერმანიაში გაფრენამდე და იქვე დაამატა, - *"იმედი მაქვს, რომ საპასუხო მატჩში უფრო უკეთესად ვითამაშებთ და ჩვენს შანსებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. ინძაგის იმედი მაქვს - პიპომ იცის, როგორ უნდა გაუტანოს კანს. ვატყობ, ჩვენი გულშემატკივრების დიდ ნაწილს აღარ სჯერა, რომ ნახევარფინალში გავალთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენ გვჯერა, გვჯერა მოგებისა და საკუთარი თავის."*

ჩვენებური **კახა კალაძე** გულშემატკივრებს ერთ რამეს ჰპირდება: *"მიუნხენში იმისთვის მივდივართ, რომ ვიბრძოლოთ, როგორც გლადიატორებმა! " ალიანს არენა" აუცილებლად გამარჯვებულებმა უნდა დავტოვოთ. ზუსტად ისე, როგორც ნამდვილ გლადიატორს შეეფერება!"*

*"ბაიერნი" ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ დაუმარცხებელი არავინაა. მიუნხენურმა გუნდმა წელს არაერთი თამაში წააგო და ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ ჰიტცფელდის კოლექტივის დამარცხება? ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ "ბაიერნი" "მილანს" არაფრით სჯობია,"* - ეს კი **ალესანდრო ნესტას** სიტყვები გახლავთ.

როგორც იცით, **ალბერტო ჯილარდინო** დისკვალიფიცირებულია. 24 წლის ფორვარდმა "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტთან საუბრისას ასეთი განცხადება გააკეთა: *"ბიჭებს ვთხოვე, ნახევარფინალში გამიყვანეთმეთქი. ვიცი, რომ ჩემი თანაგუნდელები მიუნხენში თავდაუზოგავად იბრძოლებენ და გამარჯვებულები დაბრუნდებიან. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა, რომ მათთან ერთად მოედანზე ვიყო და მეც ვიბრძოლო. სხვათა შორის, ის მომენტი, რომლის დროსაც მსაჯმა გაფრთხილება მომცა, რამდენჯერმე ვნახე და დავრწმუნდი, რომ ბასკაკოვი უსამართლოდ მომექცა."*

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ფილიპ ლამთან

# მალდინი? კერპი არა, მხოლოდ მისაბაძი მაგალითი

## ბაიერნის მცველს იმედი აქვს, რომ ჰარგრივსი მიუნხენში დარჩება



ფილიპ ლამი და მისი მეგობარი გოგონა ნიკოლა

**გასულ უქმეებზე "ბაიერნი" "ჰანოვერს" ესტუმრა და 2:1 გაიმარჯვა. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე ბავარიელებს მეოთხე ადგილი უჭირავთ და ლიდერი "შალკესგან" ექვსი ქულა ჰყოფთ. შედარებისთვის, ერთი თვის წინათ სხვაობა 11 ქულას შეადგენდა. დღეს "ბაიერნი" "მილანთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მეოთხედფინალს გამართავს. მიუნხენელებს მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვთ, რადგან მილანური შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. ტრადიციულად, "ბაიერნის" ძირითადში ვიხილავთ ფილიპ ლამს, რომელსაც ჰანოვერიდან დაბრუნებისთანავე ინგლისური "გარდიანის" მიმომხილველი გაესაუბრა...**

**- გამარჯობა, ფილიპ. ინგლისურად ხომ არ დაგველაპარაკებით?**

- არა, არა მგონია, რა, ბავარიული არ გესმით (იცინის)?

**- (იქვეა თარჯიმანი) თქვენი აზრით, ვინაა მსოფლიოს საუკეთესო მარცხენა მცველი? თქვენ, ეშლი კოული თუ ეჯიმი კარაგერი?**

- მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, უსიტყვოდ ჯანლუკა ძამბროტას დავასახელებდი, მაგრამ დღეს ძნელია ერთი ფეხბურთელის გამორჩევა.

**- ძალიან დიპლომატიური პასუხია. ეს მაინც გვითხარით, თქვენი ოცნების გუნდში დაცვის მარცხენა ფლანგზე პაოლო მალდინს დააყენებდით თუ გერმანელ ლეგენდას, პაულ ბრაიტნერს?**

- (იცინის) მალდინის. თითქმის ორი ათეული წელია, ის უმაღლეს დონეზე თამაშობს ნაკრებშიცა და კლუბშიც. პაოლოს ყოველთვის სამაგალითო ფეხბურთელად მივიჩნევდი.

**- ესე იგი, მალდინი თქვენი კერპი იყო?**

- არა, ბავშვობაში სხვა კერპები მყავდა. მე თავდამსხმელებსა და ნახევარმცველებს ვალმერთებდი. მალდინი კი ის ფეხბურთელია, რომელსაც ყველა მარცხენა მცველმა უნდა მიბაძოს. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

**- რა ტიპის მეტოქესთან გირჩევნიათ თამაში: შედარებით ნელთან, რომელსაც უზუსტესი პასები ეხერხება, ისეთთან, როგორიც დევიდ ბექჰემია, თუ აარონ ლენონის დარ სპრინტერთან?**

- ჩემთვის სწრაფ გარემარბებთან თამაში უფრო რთულია, გუნდისთვის კი - ალბათ, კარგ მეპასესთან გამკლავება. მატჩის ბედი ერთმა ზუსტმა პასმა, შეიძლება, გადაწყვიტოს.

**- რატომ ურტყამენ პენალტებს გერმანელები ინგლისელებზე ბევრად უკეთ? თუ არ ჩავთვლით ერთ გამონაკლისს, თქვენს თანაგუნდელ ოუენ ჰარგრივსს...**

- მგონი, ეს ძველი ამბების ბრალია. ყველა ინგლისელმა იცის, რომ პენალტებში განუწყვეტლივ აგებენ, კომპლექსდებიან და ამის შედეგია კიდევ ერთი წაგებული მატჩი. ინგლისის ნაკრებს პენალტებში არასოდეს მოუგია, ხომ მართალია?

**- არ არის მართალი. ევრო 96-ზე ესპანეთი პენალტებით დავამარცხეთ.**

- მართლა? არცკი ვიცოდი...

**- ჰარგრივსზე რამეს ხომ ვერ გვეტყვით ისეთს, რაც არ ვიცით?**

- (დიდი პაუზა, ლამი ინგლისურად სამ-ოთხჯერ იმეორებს კითხვას) ჰმ, ასე უცბად არაფერი მახსენდება.

**- კეთილი. სეზონის დასაწყისში თქვენმა გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა თქვა, რომ "ბაიერნი" ისეთსავე ფეხბურთს ითამაშებდა, როგორითაც გერმანიამ მსოფლიოს თასზე დაგვამახსოვრა თავი - სწრაფს, დინამიურსა და შემტევს. რა დაგემართათ?**

- ბუნდესნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე შვიდი კვირა ინტენსიურად ვარჯიშობდა. მაგრამ შეუძლებელია იმ ფორმის შენარჩუნება მთელი წლის განმავლობაში. ფეხბურთელთა უმრავლესობას დასვენების საშუალებაც კი არ ჰქონია. შედეგად, მივიღეთ სეზონის ნარუმატებელი პირველი ნახევარი, რაც მოსალოდნელი იყო.

**- ბუნდესლიგაში ბოლო წლების ყველაზე დაძაბული და საინტერესო სეზონი მიმდინარეობს. ამაზე რაღას გვეტყვით?**

- საინტერესო? შეიძლება, სხვა გუნდების ფანებისთვის იყოს საინტერესო. "ბაიერნის" წაგება ხომ ყველას სიამოვნებს. მაგრამ ჩვენთვის ძალიან რთული სეზონია. გეთანხმებით, დაძაბულობა დიდია. გასავარდნ ზონაში, უეფასა და ჩემპიონთა ლიგის საგზურებისთვის ყველგან კონკურენციაა. დიდი კონკურენციაა ტიტულისთვის ბრძოლაშიც.

**- ბაიერნს თუ აქვს ჩემპიონობის შანსი?**

- დიახ, აქვს, მაგრამ ის ჩვენს ხელში აღარაა. უმთავრესი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა.

**- ვინაა საუკეთესო მწვრთნელი, ვისთანაც გიმუშავიათ?**

- მე ფელიქს მაგათთან, მათიას ზამერთან, ოტმარ ჰიტცფელდთან, იურგენ კლინსმანსა და იოგი ლიოვთან მიმუშავია და ისინი ერთმანეთს სულაც არ ჰგვანან. ვერ გეტყვით, რომელი მათგანია უკეთესი. ვფიქრობ, იურგენი ბუნდესნაკრების შესანიშნავი მწვრთნელი იყო, მაგრამ არ ვიცი, რას მიაღწევდა ბუნდესლიგაში.

**- თუ იცით, იურგენს ისევ ჰყავს ის ძველისძველი "ფოლკსვაგენი", რომლითაც ლონდონში დადიოდა?**

- ამას წინათ ყური მოვკარი, რომ ვილაცამ ი-ბეიზე (ონლაინ-აუქციონი) მისი რომელიღაც ძველი მანქანა შეიძინა, რომელიღაც უჩვეულო ან ძველი მანქანა... მაგრამ არ მახსოვს, "ტრაბანტი" იყო თუ "ფოლკსვაგენი".

**- რა შესძინა მან ბუნდესნაკრებს, როგორც მწვრთნელმა?**

- პირველ რიგში, ამერიკული სამწვრთნელო შტაბი! თქვენ წარმოიდგინეთ, იმ შტაბში ნბა-ს კალათბურთელები და ნჰლ-ს ჰოკეისტებიც კი იყვნენ.

**- მართლა? გერმანიას უცნაური სამწვრთნელო შტაბი ჰყოლია...**

- თავიდან მეც უცნაურად მეჩვენებოდა, მაგრამ სხვა გერმანელებისგან განსხვავებულად ვფიქრობ. როცა გერმანელი სიახლეს ხედავს, მაშინვე ამბობს, რომ ის ცუდია. წარსულში გამარჯვებებს დიდი ბრძოლისა და სირბილის ხარჯზე ვაღწევდით. იურგენმა კი მთელი რიგი ინოვაციები დანერგა და ამ ინოვაციათა უმრევლესობამ შესანიშნავად იმუშავა.

**- გვითხარი რაიმე სახალისო ისტორია კლინსმანზე...**

- მართლა არაფერი მაქვს სათქმელი. ის ძალიან მშვიდი ადამიანია. მის დროს ბევრი თავისუფალი საღამო გვქონდა. გვეუბნებოდა, ნადით და შეჭამეთ რამე, მაგრამ შუაღამეზე სასტუმროში იყავითო. არავინ გვზღუდავდა. სასტუმროშიც უთვალავ გასართობ ღონისძიებას აწყობდა ხოლმე.

**- მოდით, უფრო მნიშვნელოვან რამეს გკითხავთ. გვითხარით, რა მოსწონთ ბავარიელ მამაკაცებს ლედერჰოზენში (ტყავის შარვალი, ბავარიელთა ეროვნული სამოსია)?**

- სხვათა შორის, თქვენს გვერდით დგას ქალბატონი, რომელსაც დირნდელქლაიდი აცვია (კაბა, ესეც ბავარიელთა ეროვნული სამოსია), ჩვენც ამიტომ ვიცვამთ ხოლმე ლედენჰოზენს.

**- ვის აიყვანდით "ბაიერნში", უეინ რუნისა და ლიონელ მესის?**

- მესის... მაგრამ, მოითმინეთ, ეს ინტერვიუ ინგლისურ ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს, არა? მაშ დაწერეთ, რომ რუნის ავიყვანდი.

**- ვინაა უკეთესი თავდამსხმელი, კარსტენ იანკერი თუ პიტერ კრაუჩი?**

- (იცინის) პიტერ კრაუჩი.

**- ვინ გაიმარჯვებს მარკ ვან ბომელისა და ოლივერ კანის ჩხუბში?**

- არ ვიცი, ალბათ, ფრედ დასრულდება.

**- ფრენკ ლემპარდი თუ მიხაელ ბალაკი?**

- (კორესპონდენტს ეჭვით უყურებს) მიხაელ ბალაკი.

**- კლაუდია შიფერი თუ ჰაიდი კლუმი?**

- (დაფიქრების გარეშე) ჰაიდი კლუმი.

**- ოუენ ჰარგრივსს დავუბრუნდეთ, ხომ არაფერი გაგახსენდათ?**

- შეიძლება, ინგლისში არ იცოდეთ, რომ ის გასახდელიდან ყოველთვის ყველაზე გვიან გამოდის... იმიტომ, რომ... (ფილიპი თავზე ხელს ისვამს, თმებს ისწორებს და იცინის)...

**- მიდის თუ არა ის მანჩესტერ იუნაიტედში?**

- არ ვიცი, აბა, რა უნდა გითხრათ. იმედია, ჩვენთან დარჩება.

**- გმადლობთ, ფილიპ, მომდევნო ინტერვიუ აუცილებლად ინგლისურად ჩავწეროთ, კარგით?**

- (იცინის) ვნახოთ, შეიძლება, მოვახერხო კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ერნან კრესპო მილანში რჩება

სატრანსფერო გარიგება

# კრესპო ჩელსიდან მიდის

## ინტერი არგენტინელს სრულფასოვან კონტრაქტს გაუფორმებს, მერე კი დეკუს შეუტევს...

**ერნან კრესპოსთვის** გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება. უახლოეს ორ დღეში "ჩელსიმ" არგენტინელ თავდამსხმელს შეიძლება, კონტრაქტისგან განთავისუფლების ფურცელი მისცეს, რასაც, წესითა და რიგით, "ინტერთან" სრულფასოვანი ხელშეკრულების გაფორმება (2009 წლამდე) უნდა მოჰყვეს. ფეხბურთელის აგენტი **ფერნანდო იდალგო** ლონდონში მიემგზავრება და "არისტოკრატული" კლუბის დირექტორებთან რამდენიმე შეხვედრას გამართავს. მილანური კლუბი და თავად კრესპო ამ ვიზიტს დიდი ოპტიმიზმით უყურებენ. ეჭვები მხოლოდ ვადებს უკავშირდება, ანუ ზოგიერთ ხელმძღვანელ პირთან შეხვედრა შეიძლება გადაიდოს. მაგრამ, "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, მთავარი უკვე გადაწყვეტილია: **რომან აბრამოვიჩი** აუცილებლად შეასრულებს კრესპოსთვის მიცემულ პირობას და დააკმაყოფილებს ფეხბურთელის თხოვნას, რომ "ჩელსისთან" 2008 წლამდე ხელმოწერილი კონტრაქტი ნაადრევად გაწყვიტოს. ზაფხულში, როცა კრესპომ "სტემფორდ ბრიჯი" მეორედ და ისევ იჯარის წესით დატოვა, მას უკვე მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ინგლისში აღარ დაბრუნებულიყო. "ინტერთან" ერთად განვლილი წარმატებული პერიოდის შემდეგ, მისი ეს სურვილი კიდევ უფრო გაძლიერდა, ამასობაში იტალიის მოქალაქეობაც მიიღო. მიმდინარე ჩემპიონატის 24 შეხვედრაში 31 წლის სამხრეთამერიკელმა ფორვარდმა 10 გოლი გაიტანა. 1996 წლიდან მოყოლებული, ევროპულ ჩემპიონატებში არგენტინელს უკვე 200 გოლი დაუგროვდა.

კრესპოს უფასოდ გამოსყიდვასთან ერთად "ინტერი" მეორე არგენტინელ ფორვარდთანაც აპირებს ხელშეკრულების გაგრძელებას. საუბარია **ხულიო რიკარდო კრუსზე**, რომელსაც მიმდინარე კონტრაქტის ვადა 2008 წლის ივნისში ეწურება, მაგრამ მილანურ კარიერას ერთი სეზონით გაიხანგრძლივებს. ამ სეზონში კრუსიც მეტად სასარგებლო იყო: 32 წლის ფორვარდმა 11 შეხვედრა ჩაატარა (აქედან ნახევარი ცვლილებაზე) და 5 გოლი გაიტანა. გაურკვეველი რჩება **ალვარო რეკობას** ბედი. ურუგვაელმა სეზონის ბოლოს გაშვება ითხოვა, რადგან თამაშის საშუალება არ ეძლევა. "ელ ჩინო" დარწმუნებულია, რომ **მასიმო მორატი** მის სურვილს გაგებით შეხვდება და წასვლაში ხელს არ შეუშლის. რეკობას შემცვლელზე "ინტერის" დირექტორები უკვე ფიქრობენ. კანდიდატურა სამია: **ანტონიო კასანო**, კალიარელი **დავიდ სუაზო** და სამპდორიელი **ფაბიო კუალიარელა**. დრო საკმაოდაა, ამიტომ "ნერაძური" არ ჩქარობს და საუკეთესო შანსს ელის.

რაც შეეხება კიდევ ერთ წამსვლელს, **ლუიშ ფიგუს**, კლუბმა გასულ კვირაში კიდევ ერთხელ სცადა, რომ მომავალ სეზონში დარჩენაზე დაეყოლიებინა, მაგრამ უშედეგოდ. შაბათს რეჯოკალაბრიაში ჩატარებული თამაშის (0:0) შემდეგ პორტუგალიელმა გარკვევით თქვა, ჩემი დარჩენა გამორიცხულია, მირჩევნია თამაში ისეთ ჩემპიონატში გავაგრძელო, სადაც ნაკლები სტრესი და დაძაბულობააო. ასე რომ, ფიგუსთან გამომშვიდობება გარდაუვალია. ფიგუს კი ღირსეული შემცვლელი სჭირდება და ამ საკითხზე "ინტერს" მუშაობა დაწყებული აქვს. "შავ-ლურჯების" მთავარი სამიზნე **დეკუა**, რომელსაც "ბარსელონასთან" კონტრაქტი 2009 წელს ეწურება. 30 წლის ნახევარმცველს ბოლო ხანს სულ უფრო მეტად ავიწროვებს **ლეო მესი**, რომელსაც კატალონიური კლუბის გეგმებში ცენტრალური ადგილი უკავია. გაპორტუგალიელებული ბრაზილიელის გადაბირების იდეა **რობერტო მანჩინის** ძალიან ხიბლავს. მწვრთნელი ყოველთვის განსაკუთრებულად აფასებდა ისეთ ნახევარმცველებს, რომელთაც გამთამაშებლობასთან ერთად ფლანგზე თამაშიც წარმატებით შეუძლიათ.

ჩელსი. სპეკულაციები

# სანდი თაიმსი: მოურინიო მორატის არ შეხვდება

## ბოლო ტურის შემდეგ, აბრამოვიჩი მწვრთნელის დათხოვნაზე აღარ ფიქრობს და ტექნიკურ დირექტორად ჰიდინკის მოყვანა უნდა...



ჟოზე მოურინიო

"სანდი თაიმსის" თანახმად, **მასიმო მორატის** კვლავაც არ ასვენებს **ჟოზე მოურინიოს** ჩამოყვანის იდეა, მაგრამ მოცდა მოუწევს. ბოლო პრემიერლიგური ტური საკმარისი აღმოჩნდა, რომ "ჩელსის" მწვრთნელთან დაკავშირებული სატრანსფერო გეგმები თავდაყირა დამდგარიყო. "ტოტენჰემთან" 1:0-ზე გამარჯვებისა და "მანჩესტერის" პორტსმუთში დაცემის (1:2) შემდეგ, მოურინიოს "წითელ ეშმაკებამდე" მხოლოდ სამი ქულალა აშორებს და თან ლიდერთან "სტემფორდ ბრიჯზე" აქვს სათამაშო. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტური რჩება და პორტუგალიელი პირობას დებს, რომ ამჯერადაც ჩემპიონი გახდება.

"სანდი თაიმსის" მიხედვით, მორატის შუამავლის საშუალებით უცდია, რომ მოურინოს პირისპირ შეხვედროდა. საიდუმლო შეხვედრაზე საუბარი, რაღა თქმა უნდა, "ინტერის" პერსპექტივებზე უნდა ყოფილიყო და ის ფაქტიც, რომ **მანჩინის** კონტრაქტი კიდევ არ გაუგრძელებია, სერიოზული არგუმენტი იქნებოდა პორტუგალიელის დასარწმუნებლად. მაგრამ, ინგლისურ გამოცემას თუ დავუჯერებთ, მოურინიომ არათუ შეხვედრაზე თქვა უარი, არამედ მორატისთან ტელეფონით გასაუბრებაც კი არ ისურვა.

ცნობილია, რომ პორტუგალიელს **რომან აბრამოვიჩთან** და მის თანამოაზრეებთან დაპირისპირება აქვს, მაგრამ "სანდი თაიმსის" აზრით, მისი ასეთი საქციელი შეიძლება, უბრალოდ მეტისმეტი წინდახედულების გამოხატულება იყო. მოურინიოს თანამდებობიდან საკუთარი ნებით წასვლა არ უნდა, მაგრამ არც ის უნდა, რომ აბრამოვიჩს პოსტიდან "სამართლიანად" დათხოვნის თუნდაც მინიმალური საბაბი მისცეს. რუს მილიარდერს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სეზონის ბოლოს, შედეგებისგან დამოუკიდებლად, მოურინიოსთვის კარისკენ მიეთითებინა, მაგრამ შაბათის მოვლენებმა, როგორც "სანდი თაიმსი" წერს, "ჩელსის" მეპატრონის გული ძალიან მოალბოო. "ჩელსი" არ ბრწყინავს, მაგრამ ერთი თასი უკვე მოგებული აქვს და დარჩენილ სამ ფრონტზეც იბრძვის. აბრამოვიჩი ძველებურად კატეგორიული აღარაა, შეიძლება, ჟოზე დაიტოვოს კიდეცო. ოღონდ, რუს მეპატრონეს მენეჯმენტის ახალი სტრატეგია აქვს შემუშავებული: უნდა, რომ გენერალური მენეჯერის პოსტი შემოიღოს და ეს საქმე **გუუს ჰიდინკს** (ან ისრაელის ნაკრების ექსმწვრთნელ **გრანტს**) ანდოს, რითაც ერთგვარ შუამავალ რგოლს შექმნის მოურინიოსთან ურთიერთობისთვის. ამასობაში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ პორტუგალიელი მწვრთნელი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ **სტივ მაკლარენის** მემკვიდრედ შეიგულა.



ფალკო გიოტცი

ჰერტა

# გიოტცი გააგდეს

## სეზონის ბოლომდე ბერლინელებს ვინმე ჰაინე უთავკაცებს...

ბერლინის "ჰერტას" ხელმძღვანელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი მწვრთნელი **ფალკო გიოტცი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან გუნდმა, რომელიც სულ რაღაც 2 თვის წინათ საუკეთესო ხუთეულში იყო და უეფას თასის საგზურისთვის იბრძოდა, იმდენი მოახერხა, რომ ზედიზედ 8 თამაში ვერ მოიგო (2 ფრე, 6 წაგება) და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა. შაბათს ბერლინელებმა ერთ-ერთ აუტსაიდერ "არმინიას" უმასპინძლეს და ისევ დაკარგეს 2 ქულა. ნიშანდობლივია, რომ ამ შეხვედრაში გუნდის მენეჯერი **დიტერ ჰიონესი**, რომელიც ჩვეულებისამებრ ყოველთვის მწვრთნელის გვერდით ზის ხოლმე, ამჯერად ტრიბუნაზე, საპატიო ლოჟაში იყო გამოჭიმული და ჩვენს გერმანელ კოლეგებს ეს ფაქტიც ცუდად ენიშნათ - ყველა მიხვდა, რომ გიოტცის საათები "ჰერტას" თავკაცის რანგში, დათვლილი იყო.

*"დიახ, მწვრთნელის გათავისუფლება გადავწყვიტეთ, რადგან აშკარაა, რომ ფალკოს სადავეები ხელიდან გაექცა. "არმინიასთან" მატჩის დასრულებისთანავე იმიტომ არ გავათავისუფლეთ, რომ გვსურდა, ყველაფერი კარგად მოგვეფიქრებინა. რაც არ უნდა იყოს, გიოტცს "ჰერტას" წინაშე დიდი დამსახურება აქვს. მან ორჯერ გაგვიყვანა უეფას თასზე,"* - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჰიონესმა.

გიოტცთან ერთად გათავისუფლებულია მისი ასისტენტი **ანდრეას ტომიც**. გადაწყვეტილია, რომ "ჰერტას" სეზონის ბოლომდე 52 წლის **კარსტენ ჰაინე** უთავკაცებს. ეს სახელი და გვარი ალბათ არაფერს გეუბნებათ (გარდა იმისა, რომ ეს კაცი ჰაინრიხ ჰაინეს მოგვარეა), რაც ნამდვილად არაა გასაკვირი: ჰაინე აქამდე "ჰერტას" მოყვარულთა გუნდს წვრთნიდა (ჩრდილოეთ რეგიონალლიგაში ბერლინელი მოყვარულები ბოლოდან მე-3 ადგილზე არიან). ჰაინეს ასისტენტი ყოფილი ფეხბურთელი და სკაუტი **სვენ კრეტშმერი** იქნება. ახალ მწვრთნელს დებიუტი შაბათს, "ბოხუმთან" ექნება.

ფაქტია, რომ ამ გადაწყვეტილებით ჰიონესმა დრო მოიგო - ზაფხულამდე ის მშვიდად მოძებნის ახალ, "ჰერტასთვის" ღირსეულ მწვრთნელს. შეგახსენებთ, რომ ფალკო გიოტცი ბერლინულ კლუბს 2004 წლიდან ედგა სათავეში, მანამდე კი "მიუნხენ 1860"-ის თავკაცი გახლდათ, საიდანაც ასევე დაიფრინეს. ფალკო "ჰერტას" 2001/02 წლების სეზონშიც წვრთნიდა (13 თამაში). გიოტცი უკვე მე-10 მწვრთნელია, რომელიც გერმანიის მიმდინარე პირველობამ შეიწირა...

### ლემპარდის აგენტი ჩელსის აფრთხილებს

**ფრენკ ლემპარდის** აგენტი, **სტივ კუტნერი** "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კენიონს შეხვდა. მხარეებმა ახალი კონტრაქტის საკითხი განიხილეს, მაგრამ საუბარი კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა. მოლაპარაკებები გრძელდება. კუტნერმა კი "არისტოკრატების" ერთ-ერთ ბოსს აუწყა, რომ მისი კლიენტით "რეალი" და "ბარსელონა" არიან დაინტერესებულნი და თუ "ჩელსის" თანამშრომლობის გაგრძელება სურს, უნდა იჩქაროს. ესპანური გამოცემა "დიარიო სპორტი" იუწყება, რომ ლემპარდის დარჩენა ჟოზე მოურინიოს დარჩენაზე იქნება დამოკიდებული. თუ მწვრთნელს შეცვლიან, ნახევარმცველმა შეიძლება ახალ სამსახურს მიაშუროს. შეგახსენებთ, სეზონის ბოლოს მის ხელშეკრულებაში ორი წელი იქნება დარჩენილი. ეს კი, ახალი სატრანსფერო კანონმდებლობით, კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებას მისცემს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვინ ჩაიგდებს ხელში გეკასს?

"შტუტგარტის" თავდამსხმელმა **მარიო გომესმა**, რომელიც გერმანიის პირველობის ბომბარდირთა დავას დიდხანს ლიდერობდა, ტრავმა მიიღო, რითაც ბოხუმელმა **თეოფანის გეკასმა** ისარგებლა და გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელს გადაასწრო. 26 წლის გეკასს მიმდინარე სეზონში უკვე 16 გოლი აქვს გატანილი (კვირას "ლევერკუზენს" დუბლი შეუსრულა) და ბომბარდირობის საუკეთესო შანსი მიეცა. პარადოქსია ის, რომ გეკასი "ბოხუმს" არ ეკუთვნის - რურელებმა ეს ფორვარდი "პანათინაიკოსიდან" სულ რაღაც 300 ათას ევროდ ითხოვეს. თუმცა, "ბოხუმს" მისი კონტრაქტის გამოსყიდვა შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდი ბუნდესლიგაში დარჩება, "პანათინაიკოსს" კი 750 ათას ევროს გადაუხდის, გეკასი ბოხუმელი გახდება.

მაგრამ თვითონ ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე არ საუბრობს და ამბობს, ჯერ მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ "ბოხუმი" ბუნდესლიგაში დავტოვო, გუნდის ბოსებს კი მხოლოდ მას მერე გავესაუბრები, როცა ამ მიზანს მივაღწევო. "ბოხუმის" მთავარი მწვრთნელი **მარსელ კოლერი** ხვდება, რომ 26 წლის ბერძენის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდი შანსია, რომ "ბოხუმმა" გეკასის კონტრაქტი გამოისყიდოს, მერე კი, მიმდინარე სეზონის აღმოჩენა რომელიმე გერმანულ კლუბს გაცილებით ძვირად მიჰყიდოს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გეკასის ყიდვა "ლევერკუზენს" უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერდერი

# მერტეზაკერი საოპერაციოა

## იუვენტუსი ფრინგსს წელიწადში 6.5 მილიონს სთავაზობს



პერ მერტეზაკერი სამი თვე დაისვენებს

"ვერდერი" "შალკეს" არ ჩამორჩა. ბრემენელებმა კვირას "ნიურნბერგს" რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც მოუგეს - 1:0 და ეს ერთადერთი გოლი **თომას შააფის** ჯოკერმა, **მარკუს როზენბერგმა** 75-ე წუთზე გაიტანა. მოკლედ, "ვერდერმა" დაგეგმილი 3 ქულა კი აილო, მაგრამ ეს გამარჯვება ძალიან ძვირად დაუჯდა. საქმე ის გახლავთ, რომ ფრანკებთან შეხვედრაში მძიმედ დაშავდა ცენტრალური მცველი **პერ მერტეზაკერი**. როგორც მატჩის შემდეგ გაირკვა, მერტეს მენისკის ოპერაცია სჭირდება. ამრიგად, უკვე ცნობილია, რომ მერტეზაკერი ბრემენულ კლუბს დაახლოებით 1 თვის განმავლობაში ველარ დაეხმარება.

ამით "ვერდერის" ლაზარეთი კიდევ უფრო გაფართოვდა. "ნიურნბერგთან" თამაში ვერ შეძლეს **კრისტიან შულცმა, პიერ ვომემ, ტიმ ბოროვსკიმ** და **დანიელ იენსმენმაც**. ერთადერთი, რაც პოზიტიურ სიახლედ უნდა ჩაითვალოს, "ვეზერშტადიონზე" **ივან კლასნიჩის** გამოჩენა გახლდათ. ხორვატმა თავდამსხმელმა "ვერდერის" გულშემატკივრებს მხურვალე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც იცით, კლასნიჩს ორჯერ გადაუნერგეს თირკმელი და ამ ხნის განმავლობაში, ბრემენული კლუბის ფანები კლასნიჩისადმი სიმპათიას სხვადასხვაგვარი აქციებით გამოხატავდნენ.

...და კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც **ტორსტენ ფრინგსის** "იუვენტუსში" ტრანსფერს უკავშირდება. ჩვენი გერმანელი კოლეგები გვამცნობენ, რომ "ნიურნბერგთან" თამაშის შემდეგ ფრინგსს "იუვენტუსის" თავკაცი **დიდიე დეშამი** დაუკავშირდა და კიდევ ერთხელ უთხრა, რომ ჩემთვის ყველაზე სასურველი ფეხბურთელი ხარო. ფრინგსი დეშამისთვის ის კაცია, ვინც სერია A-ში დაბრუნების შემდეგ "იუვეს" საყრდენი ნახევარმცველი უნდა გახდეს. თანაც, დიდიე თვითონ იყო საყრდენი შუამარბი და კარგად იცის, რა მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ფეხბურთელი, რომელიც ამ პოზიციაზე თამაშობს. ფრანგი მწვრთნელისთვის ფრინგსი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენია.

ტორსტენის მრჩეველი **ნორბერტ პფლიპენი** ხუთშაბათს ტურინში იმყოფებოდა და "იუვეს" ბოსებთან მორიგი, როგორც თვითონ ამბობს, ძალიან ნაყოფიერი მოლაპარაკებები გამართა. ცნობილი გახდა, რომ "ბებერი ქალბატონი" ფრინგსს წელიწადში 6.5 მილიონი ევროს სთავაზობს, რაც ტორსტენისთვის ზღაპრული ჯამაგირია. "ვერდერში" ის ყოველწლიურად მხოლოდ 2.5 მილიონს იღებს. ტურინელები ფრინგსს ასეთ დიდ ხელფასს იმიტომ სთავაზობენ, რომ "ვერდერს" დიდ ფულს არ გადაუხდიან. ტორსტენი დაახლოებით 13 მილიონი ღირს, მაგრამ "იუვენტუსს" შეუძლია, ის სულ რალაც 5 მილიონად იყიდოს. ამის მიზეზი ფიფას ერთ-ერთი კანონია, სადაც წერია, რომ ფეხბურთელს, რომელიც 28 წელს გადაცილებულია და რომელმაც 2 წელი ითამაშა რომელიმე გუნდში, შეუძლია კონტრაქტი გაწყვიტოს და მისი გუნდი იმ თანხას მიიღებს, რაც ფეხბურთელისთვის კონტრაქტის გათვალისწინებით უნდა გადაეხადა. ფრინგსს "ვერდერთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს და რაკი მისი ხელფასი 2.5 მილიონი ევროა, გამოდის, რომ "იუვენტუსს" შეუძლია, ის 5 მილიონად იყიდოს. სწორედ ამიტომაა, ტურინელები ტორსტენს ძალიან მაღალ ხელფასს რომ სთავაზობენ და რომ ფაქტობრივად, უკვე დაიყოლიეს "იუვეში" გადასვლაზე...

**გოტფრიდ ლენცი**



ხრისტო სტოიჩკოვი ესპანეთში ბრუნდება

სელტა

# სტოიჩკოვი ვასკესის ნაცვლად?

## გალისიურ კლუბში ბულგარელ სპეციალისტს ელოდებიან

გუშინ "სელტის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის შეხვედრა გაიმართა. გალისიური კლუბის შეფებმა დახურულ კარს მიღმა რამდენიმე საათი იმსჯელეს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. მათ მთავარი მწვრთნელი, **ფერნანდო ვასკესი** თანამდებობიდან დაითხოვეს. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ვიგოელთა მიერ ნაჩვენები კატასტროფული შედეგები გახდა, თუმცა დელიკატურობა და დიპლომატია მოითხოვდა, სენიორ ვასკესი ორწელიწადნახევრის განმავლობში გაწეული შრომისთვის მადლობით გაესტუმრებინათ.

52 წლის ფერნანდო ვასკესი "სელტაში" 2004-05 წლების სეზონში დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ ვიგოელები მაშინ სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობდნენ. მისი მეცადინეობით გუნდი უძლიერესთა ლიგაში დაბრუნდა. მოგვიანებით კი სენიორ ვასკესმა კლუბი მეექვსე ადგილზე გაიყვანა და უეფას თასის საგზური მოაპოვებინა.

მიმდინარე სეზონი კი ამ კაცისთვის უკიდურესად უიღბლო გამოდგა. "სელტა" უეფას თასს მერვედფინალიდან გამოეთიშა. ესპანელებს ბრემენის "ვერდერმა" აჯობა. პრიმერადივიზიონური მონაგარი კი, რბილად რომ ვთქვათ, შემაშფოთებელია. 29 ტურის შემდეგ გალისიელთა მარაქა მხოლოდ და მხოლოდ ექვს გამარჯვებასა და ცხრა ფრეს მოიცავს. მაშინ, როცა გუნდმა 14 მარცხი განიცადა. გასაკვირი არ არის, რომ ხელმძღვანელობა ამ ყველაფრის მიმართ გულგრილი არ აღმოჩნდა და რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო...

ამიერიდან მათი მთავარი საზრუნავი ახალი მთავარი მწვრთნელის სასწრაფოდ დანიშვნა და გუნდის პრიმერა დივიზიონში დატოვებაა. ესპანური ტელეარხების ღამის საინფორმაციო გამოშვებების ინფორმაციით, პრეზიდენტი **კარლოს მოურინიო ხრისტო სტოიჩკოვთან** აწარმოებს მოლაპარაკებას. ჟურნალისტების თქმით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლეგენდარული ბულგარელი თავისი ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს და ვიგოელებს გაუძღვება.

პორტრეტი

# როი კინი, უკვე ორგზის საუკეთესო მწვრთნელი

## მანჩესტერის ყოფილ კაპიტანს გარდაქმნილი სანდერლენდი პრემიერლიგაში მიჰყავს...

შაბათსა და ორშაბათს "სანდერლენდმა" "ვულვერჰემპტონსა" (2:1) და "საუთჰემპტონთან" (2:1) ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და ჩემპიონატის (ინგლისის ყოფილი პირველი დივიზიონი) ერთპიროვნული ლიდერი გახდა. შაბათის ტურამდე "შავი კატების" დამრიგებელ **როი კინს** ზედიზედ მეორედ თვის საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო გადასცეს. მარტში გუნდმა ხუთი მატჩი ჩაატარა და ოთხი მოგებისა და ერთი ფრის წყალობით 13 ქულა მოიხვეჭა.

**კრის კამარა**, საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელი: *"ზედიზედ ორჯერ თვის საუკეთესო მწვრთნელად აღიარება ადვილი არ არის, მაგრამ როი კინის მაგალითი ცხადჰყოფს, რომ ეს შესაძლებელია. მისი გუნდს 2007 წელს ერთი მატჩიც კი არ წაუგია. თუ "სანდერლენდი" ტემპს შეინარჩუნებს, კინის სამწვრთნელო დებიუტი პრემიერლიგაში აღზევებით დაგვირგვინდება."*

ფეხბურთელობისას ირლანდიელი ნამდვილი ლიდერი იყო. ის მინდორს მიღმაც ლიდერია. 35 წლის სპეციალისტი "სანდერლენდში" მოულოდნელად დაინიშნა. კლუბის თავმჯდომარემ, **ნაიალ ქუინმა** მოლაპარაკებები აგვისტოს მიწურულს წამოიწყო. კონტრაქტის გაფორმებისას "კატებს" ჩემპიონატში ოთხიდან ოთხი მატჩი ჰქონდათ წაგებული, ბოლო საფეხური ეკავათ და ინგლისის ლიგის თასიდანაც გავარდნილები იყვნენ (მეოთხე დივიზიონურ "ბერისთან" დამარცხების გამო). როის მისვლის შემდეგ "სანდერლენდმა" 39 თამაში ჩაატარა, 23 მოიგო, 8 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 7-ჯერ დამარცხდა. ორშაბათს ისინი პირველად აღმოჩნდნენ სატურნირო ცხრილის სათავეში. კინი საკუთარ მიღწევებზე ყურადღების გამახვილებას ზედმეტად მიიჩნევს: *"ფეხბურთელებს ყოველდღე ვეუბნები, რომ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია."* კითხვაზე, როგორ გრძნობს თავს ორგზის თვის საუკეთესო მწვრთნელის ამპლუაში, როი პასუხობს: *"ოდნავადაც კი არ მაღელვებს. ორსავე ჯილდოს გარაჟში მოვათავსებ. სეზონის შეჯამება მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ შეიძლება. თუ თვლით, რომ გუნდმა დაიმსახურა, მიეცით მას ჯილდო, მაგრამ ინდივიდების და მით უმეტეს, მწვრთნელის აღიარება არაფერ შუაშია."*

იმის მიუხედავად, თუ რას იტყვის ახალბედა მწვრთნელი, "სანდერლენდის" წარმატება მის მოღვაწეობასთან პირდაპირ კავშირშია. კინმა გუნდში ცამეტი ფეხბურთელი მიიყვანა და რვა გაუშვა. ის ირლანდიული კონსორციუმის, "დრამევილის" უპირობო ნდობით სარგებლობს. ამ კონსორციუმის ხელმძღვანელია "სანდერლენდის" ყოფილი ვარსკვლავი ნაიალ ქუინი, რომელმაც კლუბი გასულ ზაფხულს შეიძინა.

აღსანიშნავია ორი ტრანსფერი: "არსენალის" თინეიჯერი თავდამსხმელის, **ენტონი სტოუკსისა** და ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების გარემარბის, **კარლოს ედვარდსის**. "მანჩესტერ იუნაიტედთან" საუცხოო ურთიერთობამ მწვრთნელს საშუალება მისცა, ერთწლიანი იჯარით "ეშმაკების" სარეზერვო გუნდის ნახევარმცველი, ჩრდილოირლანდიელი **ჯონი ევანსი** აეყვანა.

მიმომხილველები კიდევ ერთ დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას. მწვრთნელის სკამზე ჯდომისას კინი განსაკუთრებული სიდინჯითა და თავდაჭერილობით გამოირჩევა. მისი სიმშვიდე გადამდებია. "სანდერლენდის" სამწვრთნელო შტაბში ნერვიულობა თითქოს არ იციან. ეს მდგომარეობა სრული კონტრასტია როის ფეთქებად ხასიათთან, რომლითაც ის ფეხბურთელობისას გამოირჩეოდა. არ ყოფილა არცერთი ჩხუბი და აყალმაყალი, რომელშიც ირლანდიელს მონაწილეობა არ მიეღოს. მანჩესტერული კარიერისას მას 11-ჯერ აუფრიალეს წითელი ბარათი.

კინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პუნქტუალობას. "ბარნსლისთან" კალენდარული მატჩის წინ ის არ დაელოდა სამ ფეხბურთელს, რომელთაც ნომრებიდან ჩამოსვლა დააგვიანეს და ავტობუსის მძღოლს სტადიონზე გამგზავრება უბრძანა. როიმ შეგირდების ფიზიკური მომზადება ყოფილ ოლიმპიელ მძლეოსანს, **სტივ სმიტს** ანდო.

კინი კატეგორიულად ითხოვს, რომ ყოველი მატჩის წინა დღე ფეხბურთელებმა და ტექნიკურმა პერსონალმა სასტუმროში გაატაროს. მისივე ინიციატივით, ფეხბურთელები ხშირად თამაშობენ პეინტბოლსა და სხვადასხვა ჯარისკაცულ თამაშებს. ჟურნალისტების აზრით, როის პრესკონფერენციებზე დასწრებაც ერთი სიამოვნებაა.

"სანდერლენდს" თავდასხმაში "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი **დუაიტ იორკი** ჰყავს. იორკს მწვრთნელი ფეხბურთელობის დროიდან ახსოვს: *"დამიჯერეთ, ის ძალიან შეიცვალა. ვერცკი იცნობთ, ისეთი მშვიდია იმასთან შედარებით, რაც "იუნაიტედში" ყოფნისას იყო. მისი მიღწევები ფენომენალურია."* ნაიალ ქუინი: *"გაოგნებული ვარ იმით, რასაც როიმ მიაღწია. მისი სამწვრთნელო მეთოდები, მისი ქცევა მოედნის კიდეზე და საერთოდ, მისი დამოკიდებულება საქმისადმი სამაგალითოა. ამ ბიჭს, უბრალოდ, ყველა თვისება აქვს საიმისოდ, რომ დიდი მწვრთნელი გახდეს."*



როი კინი თვის საუკეთესო მწვრთნელის პრიზით

### დარჩება, თუ მარსელი ლიგაში ითამაშებს

**ფრანკ რიბერის** აგენტმა მიმომხილველებს აუწყა, რომ თუ "მარსელი" ჩემპიონთა ლიგაში ვერ გავა, ფეხბურთელი დაუბრკოლებლად დატოვებს კლუბს. 31 ტურის შემდეგ "ოლიმპიკს" 45 ქულა აქვს და მეხუთე ადგილი უკავია. მას მესამეადგილოსანი ლანსისაგან ოთხი ქულა აშორებს. ჩემპიონატის დასრულებამდე კი შვიდი ტურია დარჩენილი. რიბერის ორი ინგლისური გრანდი, "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი" აკვირდება. დაინტერესებულნი არიან "ბაიერნი" და "რეალიც". ფრანგებმა ფეხბურთელი 13.5 მილიონ გირვანქად შეაფასეს, თუმცა აუქციონის გამართვის იმედი აქვთ.

ინტერვიუ ემერსონთან

# გული მიგრძნობს, დიდი ზეიმი გველოდება

## თუ საქმე მოითხოვს, ბრაზილიელი ნახევარმცველი ყველა სიამოვნებაზე უარს იტყვის და საწვრთნელ მოედანზე საძილე ტომარაში დაიძინებს...



ემერსონი რობინიოს გოლს ულოცავს

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ემერსონმა გასულ უქმეებზე "ოსასუნასთან" საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალის" მაისურა მოირგო. მისი და სხვა ვარსკვლავების ძალისხმევით სამეფო კლუბმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა. დედაქალაქელებს "ბარსელონის" მარცხმა ხელი გაუმართა და ახლა ისინი კატალონიურ გიგანტს სულ რაღაც ორი ქულით ჩამორჩებიან. თუ კი ჯერ კიდე ერთი თვის წინ ფაბიო კაპელოს გუნდს განწირულად მიიჩნევდნენ, ახლა მას პრიმერა დივიზიონის უპირველეს ფავორიტად ასახელებენ. ესპანური მედია "რეალის" გაჩემპიონებაში, ფაქტობრივად, 100 პროცენტითაა დარწმუნებული. ოპტიმიზმი ემერსონსაც არ აკლია. სამხრეთამერიკელი ნახევარმცველი გულშემატკივრებს პირობას აძლევს, რომ სეზონის დასრულებამდე დარჩენილ შეხვედრებში თავს არ დაზოგავს და საზოგადოებას კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მოევლინება. აღსანიშნავია, რომ მცირე ხნის წინ ემერსონი ღრმა დეპრესიაში იმყოფებოდა და დაუფარავად აცხადებდა, რომ "რეალში" უბედურად გრძნობდა თავს... მაგრამ ახლა სხვა დროა. ემერსონი შეიცვალა, ის ბედნიერია და ჩემპიონობაზე ოცნებობს.

**- "ბარსელონის", "სევილიისა" და "ვალესიის" წაფორხილების შემდეგ გამარჯვების აუცილებლობა კიდევ უფრო მძაფრად დაინახეთ?**

- ეს გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი გახლდათ. საბედნიეროდ, ჩვენმა კონკურენტებმა ქულები დაკარგეს და ამით დიდად გავიხარეთ. თუ ერთი კვირის წინ ლიდერს ხუთი ქულით ჩამოვრჩებოდით, დღეს განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ ორ ქულას შეადგენს. გესმით, რას ნიშნავს ეს? ორი ქულა არაფერია. ნებისმიერ დროს შეიძლება წინ გავიჭრათ. სასიხარულოა, რომ პრიმერა დივიზიონი ერთ კვირაში არ სრულდება. შანსი აუცილებლად მოგვეცემა. ამიტომ, მზად უნდა ვიყოთ.

**- შეგიძლიათ, სამეფო კლუბის ჩემპიონობაზე თავი დადოთ?**

- მე შემიძლია, თავი დავდო, რომ სეზონის დარჩენილ ყველა თამაშს მოვიგებთ (იცინის). თუ ამას მართლაც შევძლებთ, ჩემპიონობას ვერავინ შეგვეცილება. მოკლედ, ფანტასტიკური შანსი გაგვიჩნდა.

**- ესე იგი, გჯერათ, რომ "ბარსელონა" და "სევილია" მომავალშიც დაკარგავენ ქულებს...**

- როგორ გითხრათ, სხვა გუნდების შედეგებზე ფიქრი გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩვენ საკუთარ საქმეს უნდა მივხედოთ. ვიმეორებ, იმ შემთხვევაში, თუ "რეალი" სეზონის დარჩენილ ნაწილში ქულასაც არ დაკარგავს, ვერავინ დაგვეწევა. როგორც ხედავთ, მჯერა, რომ "ბარსელონა" და "სევილია" სადმე კიდევ წაიფორხილებენ. ერთი სიტყვით, მომავალს გასაოცარი ოპტიმიზმით ვუყურებთ. მთელი გუნდი გახარებული და მოტივირებულია. ერთი სული გვაქვს, კვანძი როდის გაიხსნება. მივხვდით, რომ იმედი იქამდე არ უნდა დაკარგო, სანამ წარმატების თეორიული შანსი მაინც არსებობს.

**- კი მაგრამ მართლა გჯერათ, რომ დარჩენილ ცხრა ტურში ერთ ქულასაც არ დაკარგავთ?**

- იცით რა არის მთავარი? ის, რომ გამარჯვების გარდა არაფერზე ვფიქრობთ. გონებაში საგულდაგულოდ ჩავიბეჭდეთ, რომ სეზონის ბოლოს სიბელესის მოედანზე უნდა გავიდეთ და ფიესტა მოვაწყოთ. დიდი ხანია, "რეალის" ინჩადას არ გაუხარია. ასე რომ, დროა მათზე ვიზრუნოთ. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მართალია, "ბარსელონა" ჯერაც გვისწრებს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს დროებითი მოვლენაა. ლიდერობისთვისაც მზად გახლავართ. ნურავინ იფიქრებს, რომ პირველ პოზიციაზე გადანაცვლებით ეიფორიაში ჩავვარდებით და საქმეს გავაფუჭებთ. შესაძლოა, ბევრი სხვაგვარად ფიქრობდეს, მაგრამ ჩვენ საკმაოდ ძლიერი მენტალიტეტი გვაქვს. საკუთარ შესაძლებლობებში უკლებლივ ყველა 100 პროცენტითაა დარწმუნებული.

**- თქვენ, ალბათ, ორმაგად მოტივირებული ხართ. გასული თვეების განმავლობაში დაუნდობლად გაკრიტიკებდნენ. პრობლემური და რთული სეზონის შემდეგ სიბელესის შადრევანზე თასით ასვლა ფანტასტიკური კომპენსაცია იქნება.**

- სიბელესის ფიესტა არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი გუნდისთვის იქნება კომპენსაცია და გაწეული შრომის დაფასება. ეს სეზონი ემერსონისთვის, ზოგადად მადრიდის "რეალისთვის" ურთულესი აღმოჩნდა. მიუხედავად ყველაფრისა, შევძელით და საჩემპიონო მარათონს დავუბრუნდით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩინებულად ვგრძნობთ თავს. ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ პრობლემები დავძლიეთ. ახლა ერთ მუშტად ვართ შეკრულები.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ "ბარსელონას" "რეალის" შიში გაუჩნდა?**

- არ მგონია, შიში სწორი სიტყვა იყოს. "ბარსელონა" ის გუნდი არ არის, ვინმესი შეეშინდეს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ კატალონიელებისთვის ახლა გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი კოლექტივი გავხდით. ისინი მეტად გვაფასებენ და ფიქრობენ, რომ ჩემპიონობის შანსი გაგვიჩნდა. ამ ყველაფრის მიზეზი კი ის არის, რომ ბოლოს და ბოლოს, ჩვენი რეალური შესაძლებლობები გამოვამჟღავნეთ. "რეალი" პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია.

**- "ოსასუნასთან" მატჩში გულშემატკივართა მხარდაჭერა წამითაც არ მოგკლებიათ. პირველიდან უკანასკნელ წუთამდე ქომაგები თქვენ გვერდით იყვნენ. ისინი მგზნებარე შეძახილებით გამხნევებდნენ. საინტერესოა, რას გრძნობდით, როცა ინჩადა თქვენს გვარს სკანდირებდა?**

- ვგრძნობდი, რომ ხალხს ვუყვარვარ. ტანში ჟრუანტელი მივლიდა და ვფიქრობდი, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდი გუნდის ინტერესებს ვემსახურებოდი. ბედნიერებამ შემიპყრო. არ მინდოდა, ის მატჩი დასრულებულიყო. თანახმა გახლდით, უსასრულოდ მეთამაშა. შემთხვევით ვისარგებლებ და სამეფო კლუბის ყველა ქომაგს გულწრფელ მადლობას გადავუხდი. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ გუნდს დავხმარებოდი. ვფიქრობ, საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. წინააღმდეგ შემთხვევაში, "სანტიაგო ბერნაბეუ" ტაშით არ დამაჯილდოებდა.

**- კატალონიელი გულშემატკივრები მიიჩნევენ, რომ სამეფო კლუბი ჩემპიონობას არ იმსახურებს. მათი აზრით, სეზონის უმეტესი ნაწილი უსახური თამაშებით განვლეთ. გულწრფელად მითხარით, ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- სისულელეა და სხვა არაფერი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საჩემპიონო ტიტულს ჩვენი ინჩადა იმსახურებს. აგერ უკვე სამი წელია, "რეალს" არაფერი მოუგია და ისინიც საოცრად სევდიანები არიან. ტიტულების მოპოვება ჩვენი ვალდებულებაა. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ თამაშობს ამ კლუბში. ნებისმიერ თაობასა და ფეხბურთელს მხოლოდ და მხოლოდ ტიტულების მოხვეჭის ვალდებულება ეკისრება. მერწმუნეთ, ამ მიზნების მისაღწევად ჩვენ თავდაუზოგავად ვშრომობთ. ფაბიო კაპელოს ყველა მითითებას ზედმიწევნით ვასრულებთ. იმედია, ფორტუნა არ გაგვწირავს. გული მიგრძნობს, წინ დიდი ზეიმი გველის!

**- და მაინც, მაოცებს თქვენი თავდაჯერებულობა. ნუთუ, არ ფიქრობთ, რომ ყველაფერი ასე იოლი არ იქნება?**

- ბრაზილიელებს ერთი ტრადიცია გვაქვს. როცა საკვანძო, გადამწყვეტი მომენტი დგება, ვამბობთ, რომ მიზნის მისაღწევად სიცოცხლესაც დავთმობთ. ახლა მთელი "რეალი" სწორედ ასე ფიქრობს. დიახ, ჩვენ მზად ვართ, სიცოცხლეზეც კი ვთქვათ უარი ოღონდ ჩემპიონები გავხდეთ. რა არის ჩვენი სიცოცხლე? ჯანმრთელობა, ოჯახი, შვილი, დედა, მეუღლე, მეგობრები, დასვენება, განტვირთვა, გართობა, უზრუნველობა... თუ ეს ყველაფერი მოგაკლდება, ჯოჯოხეთურ გარემოში აღმოჩნდები და ცხოვრების ხალისიც კი დაგეკარგება. დამეთანხმებით, საშინელი სურათი დავხატე, მაგრამ მერწმუნეთ, თუ საქმე მოითხოვს, ყველა სიამოვნებაზე უარს ვიტყვით და საწვრთნელ მოედანზე საძილე ტომრებს გავშლით. მართლაც ვერავინ წარმოიდგენს, როგორი მოტივირებულები და მონდომებულები ვართ. არ არსებობს დღე, რომელიც სამეფო კლუბზე ფიქრით არ იწყებოდეს და მთავრდებოდეს. ერთიცაა, ესპანეთის ჩემპიონობა არავის ისე არ სჭირდება, როგორც მადრიდის "რეალს". ასე რომ, ტიტულს არავის დავუთმობთ.

**- ეს ესაა 31 წლის გახდით. ნუთუ დაბადების დღეს ელოდით იმისთვის, რომ თქვენი ნამდვილი სახე წარმოგეჩინათ?**

- (იცინის) შესაძლოა, გაგეცინოთ, მაგრამ სადღესასწაულო სუფრაზე მისტიკური რამ მოხდა. ვიგრძენი, რომ გუნდის განუყოფელი ნაწილი ვარ. მსურს, თანაგუნდელებს, ხელმძღვანელობას, ფაბიო კაპელოსა და ჟურნალისტებს მადლობა მოგახსენოთ. მადრიდში ჩამოსვლის შემდეგ ყველაზე ბედნიერი დღეები დამიდგა. მსუბუქად ვგრძნობ თავს. გაღვიძებისას გული აღარ მტკივა. ადრე სულ ასე იყო. როგორც კი თვალს გავაღებდი, უმალ შფოთი მიპყრობდა. მადლობა ღმერთს, დავმშვიდდი. მშვიდ ემერსონს კი ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია. საკუთარ თავს ვუთხარი, ეს შენ არ ხარ, ემერსონი ასეთ ფეხბურთს არასოდეს თამაშობდა-მეთქი. თითქოს თავიდან დავიბადე. ენერგიაც მომემატა. მოკლედ, სულ სხვა კაცი გავხდი.

**- "ოსასუნასთან" მატჩის შემდეგ ერთ-ერთ ფეხბურთელს მაისურა გაუცვალეთ. მას დიდ ხანს შეინახავთ?**

- დიახ. შეხვედრის წინ საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. თუ ცუდად ვითამაშებდი, კიდევ ერთ შანსს, ალბათ, აღარ მომცემდნენ. საბედნიეროდ, ღირსეულად ვიასპარეზე. "ოსასუნის" მაისურს ვინახავ, როგორც ახალი ეტაპის დაწყების სიმბოლოს.

**- ეჭვი არ მეპარება, გოლის გატანის შესაძლებლობა არაერთხელ მოგეცემათ. საინტერესოა, ვის მიუძღვნით მას?**

- ჩემს ქალიშვილს, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს და რომელსაც ვალმერთებ. ასევე იმ მეგობრებს მივუძღვნი, რომლებიც ძნელბედობის ჟამს მამხნევებდნენ და დანებების საშუალებას არ მაძლევდნენ. ისინი შთამაგონებდნენ, რომ ჩემს მატარებელს არ ჩაუვლია, რომ წინ კიდევ რამდენიმე წარმატებული სეზონი მელის.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ლევერკუზენი

# ფიოლერი გადაირია

## ბოხუმთან მარცხის შემდეგ რუდიმ პირდაპირ ეთერში ცოფები ყარა...

უეფას თასის 1/4 ფინალში, "ოსასუნასთან" განცდილ სამარცხვინო ნაგებას (0:3 ბაი-არენაზე) "ლევერკუზენმა" კვირას "ბოხუმთან", ასევე გამანადგურებელი მარცხი მოაყოლა (1:4). "ფარმაცევტებმა" ორ თამაშში (ორივე საკუთარ მოედანზე ჰქონდათ) 7 გოლი გაუშვეს და მხოლოდ 1 გაიტანეს, თანაც ვისთან - "ოსასუნასა" და "ბოხუმთან". არცაა გასაკვირი, კვირას საღამოს ლევერკუზენელთა სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** ტელეკომპანია ZDF-ის პირდაპირ ეთერში ცოფები რომ ყარა. ამ გამოსვლით "რუხმა მგელმა" ყველას 2003 წლის 6 სექტემბრის გამოსვლა მოაგონა, როცა მან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის (0:0 ისლანდიასთან, მაშინ რუდი გერმანიის ნაკრების დამრიგებელი იყო) შემდეგ ყველას ახალი ფიოლერი გააცნო.

*"ეს ყველაფერი აუხსნელია! დღეს "ლევერკუზენის" ფეხბურთელებს მოედანზე ეძინათ, უყურებდნენ, როგორ თამაშობდა მეტოქე, სტანდარტული სიტუაციების დროს ამთქნარებდნენ და ბოხუმელებს გოლები აჩუქეს. ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელი ასეთ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს. დღეს მეც სიამოვნებით ვიქნებოდი "ბოხუმის" თავდამსხმელი და კიდევ მინიმუმ ორ გოლს გავუტანდი "ბაიერს". ასეთ დროს ფეხბურთელს უნდა უყვირო, იმიტომ, რომ ჩვენი გუნდი საბავშვო ბაღი არაა. როცა შეცდომას დავუშვებ, შეცდომას, რომელიც გუნდს წაგების ფასად დაუჯდება, მეორე დღეს ვარჯიშის შემდეგ ბაზაზე დავრჩები და ინდივიდუალურად ვივარჯიშებ. როგორც მიხვდით, კარიმ ჰაგის ვგულისხმობ, რომელმაც დღეს ყველაზე ამაზრზენი პასი გააკეთა იმ პასებს შორის, რაც კი ოდესმე მინახავს. ბევრისთვის მიპატიება, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერავის ვერაფერს ვაპატიებ. როცა ფეხბურთელი ვიყავი, არც მე მპატიობდნენ შეცდომებს,"* - განრისხებული გახლდათ ფიოლერი. მისი გაბრაზება სავსებით გასაგებია - 4 დღეში "ლევერკუზენი" საკუთარ კედლებში 2-ჯერ შერცხვა...

### კამენი მილანში?

"მილანი" კარლოს კამენით დაინტერესდა. "დიარიო სპორტის" ცნობით, "ესპანიოლის" კარის დარაჯი კარლოს დიდას შემცვლელად განიხილება. კატალონიური კლუბი კამერუნელი ლეგიონერის სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას ითხოვს. იანვრის ტრანსფერებისას კამენის მოსკოვის ცსკა ეპატიჟებოდა, მაგრამ "ესპანიოლმა" რუსების შეთავაზება შორს დაიჭირა. ვნახოთ, რითი დასრულდება მოლაპარაკებები იტალიურ ფრონტზე.

### ხანძარი სტად ჟერლანზე

კვირას, ლიონის "სტად ჟერლანზე" ხანძარმა იფეთქა. იმ დღეს საფრანგეთის ჩემპიონები სტუმრად ვალანსთან თამაშობდნენ (0:0). მეხანძრეებმა ცეცხლი დროულად ჩააქრეს. პირველადი დათვალიერებით, სტადიონს განსაკუთრებული ზიანი არ მისდგომია, მაგრამ უსაფრთხოების თანამშრომლები ხანძრის შედეგებს დეტალურად შეისწავლიან. ისინი საგულდაგულოდ შეამოწმებენ სახურავის საყრდენ კონსტრუქციებსა და ელექტროგაყვანილობებს. მთლიანად შეიცვლება პლასტმასის დაზიანებული სკამები. ინციდენტს იძიებს პოლიცია. ერთ-ერთ ვერსიად ცეცხლის განზრახ გაჩენა განიხილება.

საქართველო

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წყალოსნობა



გიორგი გევორქიანი და ჭოლა ჭანტურია მელბურნში

წყალხტომა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ

# წლეულს ვიხვეწებით, გაისად ვიბრძოლებთ

**ქართველმა მოცურავეებმა და წყალმხტომელებმა ახლახან ავსტრალიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზეს. მართალია, კარგი შედეგები არ უჩვენებიათ, მაგრამ როგორც წყალმხტომელთა ნაკრების მწვრთნელი, წყალოსნობის სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია ამბობს, მათი ასაკიდან გამომდინარე, ამას არც გეგმავდნენ. ორივე სახეობის სპორტსმენებთან მიმდინარეობს გეგმაზომიერი მუშაობა, რამაც პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე უნდა მიგვიყვანოს.**

- დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოცურავეთა და წყალმხტომელთა გუნდებით წავედით. თავიდანვე ვამბობდი - მსოფლიო ჩემპიონატზე შედეგებს არ ველით მეთქი. უბრალოდ, საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ გამოგვიყო მიზნობრივი გრანტი, რომლის წყალობითაც საშუალება გვქონდა, 15-დან 31 მარტამდე, მელბურნში იდეალურ პირობებში გვეცხოვრა, გვევარჯიშა და მსოფლიო ჩემპიონატზე გვეასპარეზა. აღსანიშნავია, რომ ასეთი გრანტი საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებული 180 ქვეყნიდან მხოლოდ 28 ქვეყანას ერგო. 4 სპორტსმენის, მოცურავეთა მწვრთნელ ირინა მინჟულინასა და ჩემი ავსტრალიაში ამდენი ხნით წასვლა მხოლოდ 6000 ლარი დაჯდა. აბა, ასეთი შანსი ხელიდან როგორ გაგვეშვა? მოკლედ, მსოფლიო ჩემპიონატს განვიხილავდით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოსამზადებელ ეტაპად და რაც გვსურდა, სრულიად განვახორციელეთ.

დავიწყოთ ცურვით, სადაც **ირაკლი რევიშვილი** დღითიდღე პროგრესირებს და ეს მსოფლიო ჩემპიონატმაც დაგვანახა. შარშან, წლის ბოლოს, მისი საუკეთესო პირადი მაჩვენებელი 400 მეტრზე იყო 4.07 წუთი, რასაც ნელ-ნელა აუმჯობესებდა და ავსტრალიაში აჩვენა 4.05.14. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, პეკინის ოლიმპიადაზე მასობრივ სახეობებში მონაწილეთა რაოდენობა მცირდება, გართულდება ნორმატივები. ზაფხულში ირაკლისგან უკვე ველოდებით ძველი ოლიმპიური ნორმატივის შესრულებას, ხოლო პეკინის ოლიმპიადამდე ახალ ნორმას უნდა მიაღწიოს, 3.58.90 აჩვენოს. ეს სავსებით რეალური გვეჩვენება, ირაკლიც საკმაოდ მონდომებულია, ოლიმპიურ ჩემპიონ სალნიკოვის მეთოდით ვარჯიშობს და მისი ძალიან გვეიმედება.

რევიშვილისგან განსხვავებით, მსოფლიო ჩემპიონატზე იმედები ვერ გაგვიმართლა **ანა სალნიკოვამ**, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე ჩამოვწერეთ. საერთოდ, ცურვაში პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ბევრი ტურნირი გაიმართება. ჯერჯერობით, არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ყველაზე წავიდეთ. ვნახოთ, გადავხედავთ შესაძლებლობებს.

გვეზრდებიან კარგი ბავშვებიც. მათ ჯერ სტამბოლში გავუშვებთ ათათურქის სახელობის ბავშვთა მსოფლიო თასზე, მერე კი შავი ზღვის თამაშებზე. ივლისში, ამ ბავშვებიდან საუკეთესოებს დავუმატებთ ირაკლი რევიშვილს და ბელგიაში წავალთ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც უკვე შედეგებიც უნდა ვაჩვენოთ. 2012 წლის ოლიმპიადისთვის კვე კარგი გუნდი უნდა გვყავდეს. თუმცა ამისთვის სათანადო პირობებიც აუცილებელია. იქნება პირობები? - იქნება შედეგიც, ამის გარანტიას ნამდვილად მოგცემთ. აუზებს, შეკრებებს და საერთაშორისო შეჯიბრებებს რომ თავი დავანებოთ, სათანადო დაფინანსებაც აუცილებელია. მაგალითად, წლეულს საკმაოდ მწირი ბიუჯეტი გვაქვს - ცურვაში 20 000 ლარი და წყალხტომაში 30 000, საიდანაც 3-3 ათასი უკვე დავხარჯეთ. ასეთი ბიუჯეტით არსებობა ნამდვილად ძალიან რთულია.

რაც შეეხება წყალხტომას, აქაც დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა და დიდი იმედი გვაქვს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე მოვხვდებით. **ჭოლა ჭანტურიასა და გიორგი გევორქიანს** 4 ნახტომის შემდეგ ურიგო შედეგი არ ჰქონიათ, მაგრამ მეხუთე ნახტომისას უხეშად შეცდნენ, რამაც ბევრი ქულა დაგვაკლო. ამ ბიჭების ნახვის შემდეგ, უცხოელმა სპეციალისტებმა გვითხრეს რომ წლეულს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მათგან მედლებს ელიან.

ჭანტურიასა და გევორქიანის გარდა, პეკინში მოხვედრის კანდიდატად მიიჩნევა **შოთა კორახაშვილიც**, რომელიც სალიცენზიოდ საჭირო 6 ხტომიდან ოთხს კარგად ასრულებს და აქვს კიდევ უფრო მომატების საშუალება. ამ მსოფლიო ჩემპიონატზე 12 ლიცენზია გათამაშდა, დარჩენილი საგზურები კი 2008 წლის თებერვალში, პეკინშივე დარიგდება მსოფლიო თასზე. იქ უკვე ლიცენზიამოპოვებული 12 საუკეთესო უკონკურსოდ იასპარეზებს, ხოლო ლიცენზიები დანარჩენებში გათამაშდება - ამ სიაში მოხვედრა უკვე რეალურია. მითუმეტეს, რომ 2008 წლის თებერვლამდე თითქმის ერთი წელია დარჩენილი და სამუშაოდ დრო საკმაოდ გვაქვს.

მოკლედ, 2007 ერთგვარი ძიებისა და სპორტსმენთა ოსტატობა-ტექნიკის ამაღლებისა და დახვეწის წლად გვინდა გამოვიყენოთ, რაც ოლიმპიური ლიცენზიით უნდა დავაგვირგვინოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი სპორტსმენები ჯერ 16-17 წლიანი არიან...

**კობა ხატისაშვილი**

## ბატუტზე ხტომა

მსოფლიო თასი

# ოცდამეექვსედან მეხუთემდე!

## პეკინის იმედი კვებეკიდან

კანადის ქალაქ კვებეკში დასრულდა მსოფლიო თასის ეტაპი, სადაც საკმაოდ წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ბატუტზე მხტომელებმა. განსაკუთრებით გვეიმედებოდა ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ **ლუბა გოლოვინასი**, რომელმაც იმედები არ გაგვიცრუა და უფროსებში ასპარეზობაც წარმატებით დაიწყო. კანადამდე გოლოვინას დებიუტი შედგა ამერიკულ ლეიკ პლესიდში, სადაც ფინალს მიღმა დარჩა და საბოლოოდ 26-ე ადგილი დაიკავა. ლუბას სულ რამდენიმე დღე დასჭირდა თავისი კლასის დასამტკიცებლად.



ლუბა გოლოვინა

კვებეკში გოლოვინამ ბრწყინვალედ შეასრულა სავალდებულო პროგრამა და რვა ფინალისტში მეორე შედეგით შევიდა. გაჩნდა იმედი, რომ მედალსაც მოიპოვებდა, მაგრამ თავისუფალ პროგრამაში ცოტა გაუჭირდა და საბოლოოდ, მეხუთე ადგილს დასჯერდა. თუმცა, ასეთ ასაკში, ასეთი დონის შეჯიბრებაზე მეხუთე ადგილიც ნამდვილად კარგი შედეგია. ნოემბერში, კვებეკშივე გაიმართება პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატი და, ვიმედოვნებთ, ლუბა იქაც მინიმუმ, ასეთ შედეგს აჩვენებს, რაც სავსებით საკმარისი იქნება პეკინში მოსახვედრად.

იმედი მოგვცა **თენგიზ კოშკაძის** გამოსვლამაც, რომელმაც კვებეკში პეკინში მოსახვედრი შედეგი აჩვენა. დეტალებზე საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **რუსუდან ხოფერია** გვესაუბრება.

- მსოფლიო თასის ეტაპზე ლუბა გოლოვინას წარმატებულმა გამოსვლამ დიდად გაგვახარა და დაგვაიმედა. გვჯერა, ეს უნიჭიერესი გოგონა მომავალში კიდევ უფრო მოუმატებს და პეკინის ოლიმპიადაზე აუცილებლად მოხვდება. სავალდებულო პროგრამაში ლუბამ მეორე შედეგი აჩვენა. საერთოდ, იგი ყოველთვის ჩინებულად, სრულყოფილად აჩვენებს სავალდებულო პროგრამისთვის აუცილებელ ტექნიკურ ილეთებს. სწორედ ამის ხარჯზე მოახერხა ბრწყინვალე პროგრამის წარმოდგენა და მიუხედავად იმისა, რომ კანადაში ჩვენი მსაჯი არ გვყავდა, კარგი ქულები დაიმსახურა. რაც შეეხება ფინალს, თავისუფალ პროგრამაში ცოტა უარესი ქულები მიიღო და საბოლოოდ, მეხუთე ადგილზე გავიდა. თუმცა, ესეც მშვენიერი შედეგია. გოლოვინა მხოლოდ მეორე შეჯიბრებას ატარებდა უფროსებში და არც ველოდით, თუ ასეთ წარმატებას მიაღწევდა.

**- ვაჟებზე რას იტყვით?**

- კარგად გამოვიდა თენგიზ კოშკაძეც. 60 მონაწილეს შორის, მე-18 ადგილი, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე შედეგი არაა, მაგრამ რაც მთავარია, მომავალში საკმარისი იქნება პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის. ეს შეჯიბრება სალიცენზიო რომ ყოფილიყო, კოშკაძე ოლიმპიადის საგზურს გაინაღდებდა.

რაც შეეხება **ზურაბ ჭყონიას**, მან შეჯიბრებამდე ორი დღით ადრე, ტრავმა მიიღო და ამის გამო, სრულყოფილად გამოსვლა გაუჭირდა. საბოლოოდ, მან 38-ე ადგილი დაიკავა. ისიც აღსანიშნავია, რომ სავიზო პრობლემების გამო, ჩემს გარდა, თბილისში დარჩა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი.** შესაბამისად, ამერიკაშიც და კანადაშიც ბატუტისტებს მხოლოდ ლუბა გოლოვინას მამა **ვლადიმერ გოლოვინი** ახლდათ. იგი ლუბას პირადი მწვრთნელია და, მართალია, ბიჭებსაც არ აკლებდა ყურადღებას, მაგრამ მათ უფრო სულაშვილის კონსულტაციები წაადგებოდათ.

**კობა ხატისაშვილი**

**მსოფლიო თასის ეტაპი**

კვებეკი, კანადა

| | |
|---|---|
| 1. ირინა კარავაევა (რუსეთი) | 39,00 |
| 2. ჰუანგ შანშანი (ჩინეთი) | 38,40 |
| 3. კარენ კოკბერნი (კანადა) | 38,00 |
| 4. ნატალია ჩერნოვა (რუსეთი) | 37,60 |
| **5. ლუბა გოლოვინა (საქართველო)** | **36,60** |
| 6. კლაირ რაიტი (ინგლისი) | 36,50 |
| 7. ანა რენტე (პორტუგალია) | 36,10 |
| 8. იულია დომჩევსკა (უკრაინა) | 35,70 |

## თარიღი

**გიორგი კანდელაკი.** დაიბადა 10.04.1974, ვარიანი, გორი. კრივი (91, +91 კგ). მოყვარულთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი (1997) და მორე პრიზიორი (1993), ევროპის ჩემპიონი (1993), მსოფლიოს თასის გათამაშების მესამე პრიზიორი (1994), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1992). 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (პირველი ორი ბრძოლის მოგების შემდეგ მესამე წრეში კუბელ ფელიქს სავონთან დამარცხდა). 1998 წელს პროფესიონალურ კრივში გადავიდა. მსოფლიოს ჩემპიონი WBU-ის ვერსიით (2002, 03). პროფესიონალურ რინგზე გამართა 24 ბრძოლა და ყველა მოიგო (18 - ნოკაუტით). საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1997). საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი (2002-იდან). პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტი (2005 წლიდან) ღირსების ორდენის კავალერი.

**გურამ ჯოხაძე.** დაიბადა 10.04.1932, თბილისი. ველოსპორტი. საქართველოს 22-გზის ჩემპიონი სხვადასხვა დისტანციაზე, სსრკ ნაკრების წევრი (1954-56). იყო ველოტრეკზე მოასპარეზე სსრკ-ისა (1966-69, 72, 78-81) და საქართველოს (1966-69) ნაკრების უფროსი მწვრთნელი. სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ომარ ფხაკაძის პირადი მწვრთნელი. მის გარდა აღზარდა 6 საერთაშორისო კლასისა და 49 სსრკ სპორტის ოსტატი.

**ბორის ტახტაროვი.** 10.04.1908, თბილისი - 19.05.1972, იქვე. მძლეოსნობა, მწვრთნელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მისი აღზრდილია ოლიმპიური თამაშების ორგზის მესამე პრიზიორი ნადეჟდა დვალიშვილ-ხნიკინა.

**ვალერი პარუნაშვილი.** დაიბადა 11.04.1968, თბილისი. სამბო, ძიუდო (+100 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1991), მეორე (1993) და მესამე (1995) პრიზიორი ძიუდოში, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სამბოში (1993). სსრკ ჩემპიონატის მეორე (1990) და მესამე (1989) პრიზიორი ძიუდოში, საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1995). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

## კალათბურთი

# აჭარული ოლ სტარი და გახსოვდეს ბასკო!

7 აპრილს ბათუმის საკალათბურთო დარბაზში ყოფილი ბასკოელები შეიკრიბნენ. დღეს საქართველოს ყოფილი ჩემპიონის მოთამაშეები საქართველოს სხვადასხვა გუნდებში თამაშობენ. ზოგიერთს უფრო გაულიმა ბედმა და კარიერას საზღვარგარეთ აგრძელებს - **ნიკა ჩხატარაშვილი** კვიპროსის „ენადის" ღირსებას იცავს, **გიორგი დოლიძე** ირანულ „აზოდში" გამოდიოდა, **დავით იმნაძე** კი ისრაელშია. დანარჩენები საქართველოს პირველობაზე ბურთაობენ.

თავად აქცია, რომელსაც კალათბურთელებმა ხუმრობით „აჭარული ოლ სტარი" დაარქვეს, აჭარის კალათბურთის ფედერაციის ინიციატივით გაიმართა. *„გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ საზოგადოებას, რომ ბათუმში კარგი გუნდის ყოლა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. ამის დასტური კი ამ ბიჭების თამაშია"*, - გვითხრა აჭარის კალათბურთის ფედერაციის თავკაცმა **ბადრი შამილაძემ**.

საბოლოოდ, **ალეკო გოგოტიშვილის** გუნდმა 102:96 სძლია **გარიკ არონიანის** გუნდს. შესვენებაზე კალათბურთელები თავდაპირველად ჩატენვაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ყველაზე მარჯვედ სლემდანქი **გიორგი დოლიძემ** შეასრულა. სამქულიან ტყორცნებში **ლაშა კემელავას** გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფინალში მას **აჩიკო ბოლქვაძემ** მოუგო. საინტერესო იყო პაექრობა მაყურებელთა შორის. შორი მანძილიდან ბურთს კალათში ვინც ჩააგდებდა, ფედერაციის მიერ დაწესებული 50 ლარით დასაჩუქრდებოდა. ფედერაცია ისედაც მწირი ბიუჯეტის კიდევ უფრო შემცირებას გადაურჩა. ბოლოს მატჩის საუკეთესო მოთამაშეებიც დაასახელეს - **ნიკა ჩხატარაშვილი** და **ვანო მაისურაძე**.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ლეგიონერები

# კლერმონი ლიდერის კვალში




ტარბი-ტულონი. გიორგი კუთარაშვილი გამარჯვებას ზეიმობს

**საფრანგეთში** რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. საფლეიოფო ოთხეულში მოხვედრისათვის ბრძოლას მხოლოდ ხუთი გუნდი აგრძელებს. გარანტირებული, არავის არაფერი აქვს, მაგრამ დანარჩენებზე უკეთესი მდგომარეობა "სტად ფრანსესა" და ქართველი მორაგბეების კლუბს, "კლერმონს" აქვს.

**დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "კლერმონს" საჩემპიონო ამბიცია ნელ-ნელა ეზრდება. 21-ე ტურში "ვულკანებმა" საკუთარ მოედანზე ერთერთი აუტსაიდერი, "ბაიონი" მიიღეს და დიდი ანგარიშით, 61:24 დაამარცხეს. ზირაქაშვილი და შველიძე ტრავმირებულნი არიან და არ უთამაშიათ.

სატურნირო ცხრილის ფსკერს დაალწია თავი **მამუკა გორგოძის** "მონპელიემ". საქართველოს ნაკრების მეორეხაზელის გუნდმა შინ **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი გიორგაძის** "ბურგუენი" დაამარცხა 19:7. გორგოძე ტრავმირებულია, ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ირაკლი გიორგაძემ კი ბორჯღალოსნების რიგებში ჩეხების რბევაში მიიღო მონაწილეობა.

საკუთარ მოედანზე გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტ "ტულუზთან" დამარცხდა **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრი" - 19:35. აქვსენტიმ 53-ე წუთზე ზელანდიელი **კარლ ჰოფტი** შეცვალა.

სტუმრად ფრეს მიაღწია ბასკურ "ბიარიცთან" **ავთო კოპალიანის** "მონტობანმა" 9:9. კოპალიანი საქართველოს ნაკრებში თამაშობდა.

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XXI ტური. მონპელიე-ბურგუენი 19:7, სტად ფრანსე-ბრივი 18:13, კასტრი-ტულუზი 19:35, აჟენი-ნარბონი 19:26, კლერმონი-ბაიონი 61:24, პერპინიანი-ალბი 20:3, ბიარიცი-მონტობანი 9:9**

1. სტად ფრანსე-71 ქულა, **2. კლერმონი-69**, 3. ტულუზი-63, 4. პერპინიანი-61 / 5. ბიარიცი-58, 6. მონტობანი-48, 7. ბურგუენი-47, 8. აჟენი-42, 9. კასტრი-40, 10. ალბი-40, 11. ნარბონი-39, 12. მონპელიე-37 / 13. ბაიონი-36, 14. ბრივი-35

მეორე დივიზიონში გამარჯვებულის ვინაობა უკვე ცნობილია. **ილია ზედგინიძის** "ოში" უკვე პირველდივიზიონელია. გასკონელებმა 26-ე ტურის მატჩში საკუთარ მოედანზე **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლი" დაამარცხა 19:12. ზედგინიძე და ღვაბერიძე ტრავმირებულები არიან.

სტუმრად "ტარბთან" გამარჯვებით 19:12 ფლეიოფისკენ წინ ნაბიჯი გადადგა **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა". ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, კუთარაშვილი **ჟანჟაკ კრენკამ** 51-ე წუთზე შეცვალა, მანამდე კი 28-ე წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო.

შინ "ლა როშელთან" წააგო **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგმა" 20:33. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს. მაგრაქველიძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

საკუთარ მოედანზე "ოიონაქსთან" დიდი ანგარიშით, 51:12 გაიმარჯვა **მერაბ კვირიკაშვილის** "პომ" და მნიშვნელოვნად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა. მეკო საქართველოს ნაკრებში იყო.

სტუმრად უშუალო კონკურენტი "ლიონი" დაამარცხა ფლეიოფში გასვლისთვის მებრძოლმა **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიემ" 26:24. ლანგედოკელთა რიგებში მაჩხანელს ტრავმის გამო არ უთამაშია.

**II დივიზიონი, XXVI ტური. პო-ოიონაქსი 51:12, მეტრო რასინგი-ლა როშელი 20:33, ოში-გრენობლი 19:12, ლიმოჟი-დაქსი 34:62, ტარბი-ტულონი 12:19, მონ დე მარსანი-ბორდო 19:13, ლიონი-ბეზიე 24:26, გაიაკი-კოლომიე 20:20**

1. ოში-96 ქულა / 2. ლა როშელი-79, 3. დაქსი-78, 4. ბეზიე-78, 5. ტულონი-73 / 6. ლიონი-69, 7. ოიონაქსი-61, 8. პო-54, 9. გაიაკი-54, 10. მეტრო რასინგი-53, 11. ბორდო-53, 12. მონ დე მარსანი-53, 13. გრენობლი-50, 14. ტარბი-48 / 15. ლიმოჟი-40, 16. კოლომიე-35

**ბესიკ ჯანგავაძე**



ზე-14

# გეშინოდეთ კრუსეიდერზის!

სამხრეთ ნახევარსფეროში რეგულარული სეზონის დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა. ზე-14-ის ლიდერმა, ზელანდიურმა "ბლუზმა" იოლად სძლია "ჩიტაზს", რომელსაც ყველაფერში სჯობდა. ერთი ეგაა, ლიდერმა ბონუსქულის მომტანი მეოთხე ლელო ვერაფრით გაიტანა, არადა ამისთვის თითქმის ნახევარი საათი ჰქონდა. ქვინზთაუნში "ჰაილენდერსმა" და "ჩიფსმა" 5-5 ლელო გაიტანეს, თუმცა სტუმართა **სტივენ დონალდმა** ყველა გარდასახვა გაიტანა და "ზელადებს" ამით გაამარჯვებინა. ამ მოგებით "ჩიფსმა" ცხრილში მეთერთმეტედან მეხუთე ადგილზე ისკუპა.

ჩემპიონმა "კრუსეიდერზმა" სათამაშო ფორმა აკრიფა, ახლა ამ გუნდს ველარავინ აჩერებს. ქრაისტჩერჩს საფლეიოფო საგზურის რეალური კანდიდატი, ავსტრალიური "ფორსი" ეწვია და მწვანე კონტინენტზე შერცხვენილი გაბრუნდა - 0:53. ზელანდიელებმა რვა ლელო გაიტანეს. მთლად ხელიდან წავიდა ავსტრალიური ქვინზლენდის "რედსი", ბრისბენში "შარქსმა" მეტოქეს იოლად გადაუარა - 59:16, თან ცხრა ლელო გაუტანა. ავსტრალიურ დერბიში "ბრამბიზმა" "ვორათაზს" აჯობა, საოცარია, მაგრამ ფაქტია - "ბრამბიზმა" მატჩში მეოთხე ლელო პირველად გაიტანა, შესაბამისად, მეტი ლელოსთვის პრემია პირველად მიითვალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### მეათე ტური

**ბლუზი-ჩიტაზი 26:8**

ბლუზი (ზელ): 3ლ (დივაინი, ჰაულიტი, ტუიტავაკე), გ,3ს (ნატევა)
ჩიტაზი (აფრ): ლ (ფანდერ მერვე), ს (კრუგერი)

**ჰაილენდერზი -ჩიფსი 34:38**

ჰაილენდერზი (ზელ): 5ლ (მულიპოლა, ოლივიე, ვაქასედუადუა, სონდერსი, მორლენდი), 3გ (ევანსი 2, ორი), ს (ევანსი)
ჩიფსი (ზელ): 5ლ (ტაუსო, სივივატუ 2, მასაგა 2), 5გ,ს (დონალდი)

**კრუსეიდ.-ვესტერნ ფორსი 53:0**

კრუსეიდერზი (ზელ): 8ლ (გიარი, ტუალიკი, რიდი 2, ფილიპო 3, მაკქოუ), 5გ,ს (კარტერი)

**რედსი-შარქსი 16:59**

რედსი (ავს): ლ (როუ), გ, 3ს (შიფკოვსკი)
შარქსი (აფრ): 9ლ (ფენტერი 2, პიტერსენი 2, ბოუტსი, ბარიტი, მარეი, დუპლესი, დენიელი), 7გ (პინარი 5, შტეინი 2)

**სტორმერსი-ლაიონზი 30:8**

სტორმერსი (აფრ): 3ლ (გრანტი, ბერი, ოლივიე), 3გ, 3ს (გრანტი)
ლაიონზი (აფრ): 1 ლ (ფური), 1 ს (პრეტორიუსი)

**ბრამბიზი-ვორათაზი 36:10**

ბრამბიზი (ავს): 5ლ (ჯერარდი 2, ლარქემი 2, ტავაკე), 4გ (ჰაქსლი 2, ჯერარდი 2), ს (ჰაქსლი)
ვორათაზი(ავს): ლ (ელსომი), გ, ს (ჰიუეტი)

ჰარიკენზი და ბულზი ისვენებდნენ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პრ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბლუზი | 9 | 8 | 0 | 1 | 258-124 | 4 | 36 |
| კრუსეიდერზი | 9 | 6 | 0 | 3 | 291-174 | 8 | 32 |
| შარქსი | 9 | 7 | 0 | 2 | 227-141 | 2 | 30 |
| ფორსი | 9 | 5 | 1 | 3 | 177-164 | 3 | 25 |
| ჩიფსი | 9 | 3 | 1 | 5 | 216-211 | 8 | 22 |
| ბრამბიზი | 10 | 6 | 0 | 4 | 176-145 | 3 | 27 |
| ბულზი | 9 | 5 | 0 | 4 | 176-182 | 2 | 22 |
| ჰაილენდერზი | 9 | 4 | 0 | 5 | 175-187 | 6 | 22 |
| ლაიონზი | 10 | 5 | 0 | 5 | 155-204 | 1 | 21 |
| ჩიტაზი | 9 | 3 | 1 | 5 | 204-227 | 4 | 18 |
| სტორმერსი | 9 | 4 | 0 | 5 | 157-197 | 2 | 18 |
| ჰარიკენზი | 9 | 4 | 0 | 5 | 161-203 | 2 | 18 |
| ვორათაზი | 9 | 1 | 1 | 7 | 154-236 | 4 | 10 |
| რედსი | 9 | 1 | 0 | 8 | 138-270 | 3 | 7 |

## საალდგომო ლელობურთი



# ფეხბურთელის საფლავზე

**კვირას,** ლანჩხუთში, სოფელ შუხუთის ცენტრში ყოველწლიური სააღდგომო ლელობურთი გაიმართა. ზუსტად 5 საათზე სოფლის ცენტრში ავარდა ბურთი და თამაშობა თითქმის სამ საათს გაგრძელდა. ქვემოურებმა ბოლო წლების ტრადიცია არ დაარღვიეს და არცთუ იოლ გამარჯვებას მიაღწიეს, თუმცა ამჯერად საჭინკიეს ლელის გადალახვა შორი გზის გავლით მოუხდათ.

გამარჯვებულებმა ბურთი, რომელიც 17 კილოგრამს იწონიდა, რამდენიმე წლის წინ, გარდაცვლილი ლელობურთელის ვატული იმნაიშვილის სახლში მიიტანეს. ლელობურთის ტრადიციის თანახმად, ამის შემდეგ გამარჯვებულებს ბურთი იმის საფლავზე მიაქვთ, ვისმა დაღუპვამაც წინა წელს ყველაზე მეტად დასწყვიტათ გული. „გურიის“ ახალგაზრდა ფეხბურთელის, თორნიკე იმნაიშვილის ტრაგიკული დაღუპვიდან სულ რაღაც ორი თვეა გასული და ბურთი სწორედ თორნიკესა და წინა წელს გარდაცვლილი მისი მამის, თემურ იმნაიშვილის საფლავზე აიტანეს. გადამწყვეტ მომენტში ლელეზე ბურთით თორნიკეს ძმამ, „გურიის“ კაპიტანმა, ალექსანდრე იმნაიშვილმა გადაიტანა. შარშან თორნიკე თავად მონაწილეობდა თამაშობაში და ქვემოურების მოგებაში დიდი წვლილიც შეიტანა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

## ჩოგბურთი

# ლადო ქორის წინააღმდეგ

**შვედეთის** ქალაქ ნორჩოპინგში დაიწყო ფიუჩერსის სერიის საჩოგბურთო ტურნირი (10 ათასი დოლარი), რომელშიც მე-4 ნომრად განთესილია საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე**. პირველ წრეში ლადოს მეტოქე ნორვეგიელი **სტიან ბორეტი** (595) იყო. პირველი სეტის დასრულებას არაფერი უკლდა, როცა ბორეტიმ ტრავმის გამო წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა, იმ დროისთვის ლადო 5:3-ს იგებდა. ნორჩოპინგის ტურნირის მერვედფინალში ჩიხლაძე ბრიტანელ **ედვარდ ქორის** (1299) შეხვდება, რომელმაც საკვალიფიკაციო ტურნირიდან გააღწია მეორე წრეში. წესით, ლადოს არ უნდა გაუჭირდეს 18 წლის ქორის დამარცხება.

# მელიქიშვილი ჯექსონში მოხვდა

**19 წლის სოფიო მელიქიშვილი** ბედს ჯექსონის (აშშ) ქალ ჩოგბურთელთა ტურნირში (25 ათასი დოლარი) ცდიდა. სოფიო მსოფლიოს 344-ე ჩოგანია, რაც ძირითად ბადეში თამაშის უფლებას არ იძლეოდა. მელიქიშვილმა მთავარ ბადეში მოსახვედრად ორი საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა. პირველ წრეში მას გამოუცდელი ამერიკელი ჩოგბურთელი შეხვდა და სოფიოს გამარჯვებაც არ იყო მოულოდნელი, მეორეში კი მეტოქედ შეხვდა ვეტერანი ბულგარელი **სვეტლანა კრივენჩევა** (556), რომელიც წლების წინ მსოფლიოს საუკეთესო ასეულის სიახლოებს იმყოფებოდა. მელიქიშვილმა კრივენჩევესაც იოლად მოუგო - 6:1, 6:3. ქართველი ძირითად ბადეშია, თუმცა პირველივე წრეში სერიოზული მეტოქე ჰყავს - მე-3 ნომრად განთესილი ზელანდიელი **მარინა ერაკოვიჩი** (161). ერაკოვიჩიც 19 წლისაა, თუმცა ის ახალგაზრდულ ასპარეზზე ორი წლის წინათ მეხუთე ჩოგანი იყო.

გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტიც. გოგონებში



16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** მსოფლიოს 35-ე ჩოგანია. ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილის** 43-ე პოზიცია უკავია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონაგარი. გიორგი ცინცაძე

# ნდობა

გასულ კვირას მანუჩარ მარკოიშვილის წლევანდელ საევროტურნირო მონაგარზე გესაუბრეთ. დღეს გიორგი ცინცაძეზე შევჩერდებით. ისევე, როგორც მანუ, ბუც (ცინცაძის მეტსახელია) ორ საგარეო შეჯიბრებაში მონაწილეობდა - ფიბას თასსა და ბალტიის ლიგაზე.

პირველი ტურნირიდან ცინცაძის "როკი" დეკემბერში გამოვარდა, ხოლო ბალტიის თასზე გამოსვლა ყველასათვის მოულოდნელად წინა კვირას დაასრულა.

## როკი

იკითხავთ - რატომ მოულოდნელად? ამ კითხვაზე პასუხს ერთი აბზაცი დასჭირდება:

"ტარტუ როკმა" ბალტიის თასის პირველ ჯგუფურ ეტაპზე სამეულში ვერ შეაღწია და მეორე ჯგუფში განაგრძო ასპარეზობა, საიდანაც ლიგის ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსი მხოლოდ ცხრილის თავში მოქცეულ 2 კლუბს ეძლეოდა. ცინცაძის თანაგუნდელებმა მეორე ეტაპი ალმაფრენით დაიწყეს. მოგებას მოგება მიაყოლეს და 9 ტურის შემდეგ 9 გამარჯვებით ცხრილს სათავეში მოექცნენ.

ეს პირველი ნაბიჯი იყო ფლეი ოფისკენ. მომდევნო წრეში გასასვლელად საკმარისი იყო დარჩენილ 5 ტურში თუნდაც ერთი მოგება. მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად "როკერებმა" ეს ვერ შეძლეს, შესაბამისად, ესტონურ "კალევსა" და ლატვიურ "ლიეპაიას" გადასწრების უფლება მისცეს. ნებისმიერ ქომაგს დაებადებოდა კითხვა - რა დაემართა "ტარტუ როკს"? პასუხისთვის გიორგი ცინცაძესთან დაკავშირება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ესტონურ ინტერნეტ-სივრცეში კი არც გუნდიდან რომელიმე ლიდერის წასვლაზე საუბრობენ, არც ფინანსურ კრიზისზე...

უნდა ვივარაუდოთ, რომ "როკს", უბრალოდ, ჩავარდნა" აქვს. იმედი დავიტოვოთ, რომ იგი თვეზე მეტ ხანს არ გაგრძელდება და ესტონეთის ჩემპიონატის ფლეი ოფებს ისევე დამაჯერებლად ჩაატარებს, როგორც ჩემპიონატი დაიწყო.

აქვე გეტყვით, რომ "როკის" მთავარი კონკურენტი "კალევი" იქნება, რომელსაც ტარტუელებმა ამ სეზონში 5 მატჩიდან 4 მოუგეს. ესტონეთის პირველობის გეგმებზე გიორგი ცინცაძეც თამამად ლაპარაკობს: *"კლუბის ხელმძღვანელობაც გვთხოვს და კალათბურთელებიც კარგად ვხვდებით, რომ ესტონეთის ჩემპიონობა შეგვიძლია. რეალურად, აქ "როკზე" ძლიერი გუნდი არ არის. ღირსეულ კონკურენციას, ალბათ "კალევი" გაგვიწევს".*

## როკერი

**გეხსომებათ, რომ მანუჩარ მარკოიშვილის გამოსვლა ორ ეტაპად იყოფოდა - იანვრამდე იგი რიგითი ოლიმპიელი იყო, ხოლო გუნდიდან ლიდერების მარკო მილიჩის და ენდერ არსლანის წასვლის შემდეგ "ოლიმპიას" ლიდერად იქცა. გიორგი ცინცაძის წლევანდელი თამაშიც ორი ეტაპისგან შედგება.**

პირველი სექტემბერ-ნოემბერს მოიცავს. სამითვის განმავლობაში ქართველი გამთამაშებელი "ტარტუ როკის" ლიდერი იყო, გუნდსაც ათამაშებდა და თავადაც მეტისმეტი სიზუსტით ისროდა. ამის დასტურად თუნდაც ოქტომბრის მონაგარი გამოდგება: ბალტიის თასზე გამართულ 6 მატჩში საშუალოდ 18.3 ქულას აგროვებდა. სხვათა შორის, ოქტომბერში ყველაზე მეტი, 27 ქულა "ლიეტუვოს რიტასს" ჩაუგდო. ის მატჩი "როკმა" 77:79 დათმო.

ნოემბრიდან მეორე ეტაპი დაიწყო - მწვრთნელის მითითებით ბუმ სროლას მოუკლო და მეტი ყურადღება თანაგუნდელთა პასებით მომარაგებას დაუთმო. ამ ცვლილებაში უარყოფითს არც თავად ცინცაძე ხედავდა: *"როკში" ესტონეთის საუკეთესო კალათბურთელები არიან თავმოყრილნი (გერტ კულმიაეს ბადალი მსროლელი ჯერ არ მინახავს). ამიტომ მწვრთნელის მითითებით ვცდილობთ, გუნდური კალათბურთი ვითამაშოთ და შეტევითი ფუნქციები თანაბრად გადავინაწილოთ. იმასაც დავძენ, რომ სროლებისას არავინ მზღუდავს, როცა საჭიროა, ტყორცნას არ ვაყოვნებ".*

გუნდურმა კალათბურთმა ცინცაძის მონაგარს მცირედით დაატყო ხელი, თუმცა არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ბალტიის ლიგაში მისი საშუალო ქულებრივი მაჩვენებელი 18.3-დან 10.6-მდე შემცირდა. ამაზეც ბუ მოგვითხრობს:

*"სეზონის დასაწყისში ბალტიელები არ მიცნობდნენ. შესაბამისად 20 წლის ბიჭს მეტოქეები დიდ ყურადღებასაც არ მაქცევდნენ და თავისუფლადაც ვთამაშობდი. ხოლო, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ სროლა შემიძლია ხშირად მესმის - 5 ნომერი აიყვანეთ, არ გაგექცეთო".*

"როკზე" საუბრისას არაფერი გვითქვამს ფიბას თასზე. სალაპარაკო ბევრი არცაა, რადგან ტარტუელებმა ვერაფერი გააწყვეს რუსულ და უკრაინულ კლუბებთან - "სამარასთან" (რომელმაც მოგვიანებით ფიბას თასი მოიგო) და "ჩერკასთან". ამ შეჯიბრებაში ყველაზე საინტერესო ცინცაძის სამარელებთან დაპირისპირება იყო. იგი ერთი წლის წინათ, "სამარიდან" განაყენებული წამოვიდა - მწვრთნელი არ ენდობოდა. რუსეთში გამართულ მატჩში ბუმ დაუმტკიცა, რომ იმსახურებდა - როკერთა შორის საუკეთესო იყო (17 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი).

დაბოლოს, ცინცაძემ მოსკოვის ცსკა-სა და "დინამოში" ვარჯიშებზე ნასწავლს პრაქტიკაში ამ სეზონში ახორციელებს. ასე რომ, სანაკრებოდ არც სათამაშო პრაქტიკა დააკლდება და არც გამოცდილება.

... იმედია, არც მწვრთნელის ნდობა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



### ბალტიის თასი 2006/07

როკი (ესტონეთი)

| I ჯგუფური ეტაპი | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როკი-ნევეჟისი 77:71 | 32 | 10 | 5/8 | 0/6 | 0/1 | 5 | 8 | 3 | 0 | 2 | 4 | 14 |
| ვენტსპილსი-როკი 80:65 | 37 | 17 | 0/4 | 5/11 | 2/4 | 4 | 3 | 3 | 0 | 5 | 0 | 10 |
| როკი-პანევეჟისი 83:74 | 35 | 18 | 2/4 | 4/9 | 2/2 | 4 | 5 | 4 | 0 | 5 | 3 | 19 |
| რიგა-როკი 75:70 | 36 | 14 | 3/4 | 2/5 | 2/2 | 8 | 11 | 2 | 0 | 5 | 2 | 26 |
| ატლეტასი-როკი 94:79 | 30 | 20 | 5/9 | 2/7 | 4/8 | 2 | 1 | 2 | 0 | 4 | 3 | 8 |
| როკი-რიტასი 77:79 | 39 | 27 | 5/11 | 3/11 | 8/12 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 14 |
| როკი-ატლეტასი 106:69 | 21 | 8 | 2/2 | 1/2 | 1/1 | 6 | 5 | 5 | 0 | 4 | 0 | 20 |
| როკი-რიგა 72:70 | 38 | 9 | 1/2 | 0/2 | 7/8 | 5 | 1 | 2 | 0 | 7 | 2 | 6 |
| როკი-ვენტსპილსი 86:77 | 29 | 5 | 0/1 | 1/3 | 2/2 | 2 | 6 | 0 | 0 | 1 | 4 | 9 |
| პანევეჟისი-როკი 70:80 | 25 | 5 | 1/2 | 0/0 | 3/4 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 13 |
| რიტასი-როკი 91:62 | 23 | 10 | 1/2 | 1/3 | 5/5 | 0 | 2 | 0 | 0 | 5 | 4 | 4 |
| ნევეჟისი-როკი 98:90 | 30 | 9 | 3/3 | 1/2 | 0/0 | 3 | 7 | 2 | 0 | 3 | 5 | 17 |
| **II ჯგუფური ეტაპი** | **წთ** | **ქ** | **2ქ** | **3ქ** | **1ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **შ** | **ფ** | **მქკ** |
| როკი-ნევეჟისი 83:74 | 30 | 7 | 3/3 | 0/3 | 1/3 | 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 4 | 12 |
| როკი-ლიეპაია 110:80 | 31 | 19 | 4/4 | 3/4 | 2/3 | 4 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 27 |
| ატლეტასი-როკი 91:94 | 27 | 10 | 3/4 | 0/0 | 4/4 | 6 | 6 | 1 | 0 | 6 | 2 | 16 |
| როკი-საკალაი 95:81 | 19 | 2 | 1/3 | 0/0 | 0/0 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 4 | 6 |
| კალევი-როკი 74:85 | 33 | 13 | 3/5 | 2/3 | 1/2 | 2 | 2 | 1 | 0 | 2 | 4 | |
| როკი-პანევეჟისი 81:74 | 32 | 3 | 1/1 | 0/1 | 1/2 | 1 | 5 | 1 | 0 | 3 | 0 | 5 |
| როკი-ნეპტუნასი 100:78 | 18 | 10 | 2/2 | 2/2 | 0/0 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 | 2 | 12 |
| საკალაი-როკი 78:87 | 15 | 5 | 2/2 | 0/2 | 1/1 | 3 | 3 | 3 | 0 | 2 | 3 | 10 |
| ნევეჟისი-როკი 74:66 | 32 | 8 | 4/4 | 0/5 | 0/0 | 2 | 3 | 2 | 0 | 2 | 4 | 8 |
| როკი-ლიეპაია 84:92 | 11 | 0 | 0/3 | 0/1 | 0/0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | -3 |
| როკი-კალევი 71:77 | 20 | 9 | 3/5 | 0/1 | 3/4 | 3 | 2 | 2 | 0 | 3 | 2 | 9 |
| ნეპტუნასი-როკი 104:81 | 25 | 17 | 6/9 | 0/1 | 5/8 | 1 | 3 | 3 | 0 | 2 | 3 | 15 |
| **ჯამი** | **668** | **255** | **60/97** | **27/83** | **54/76** | **75** | **97** | **44** | **4** | **71** | **62** | **289** |
| **საშუალო** | **27.8** | **10.6** | **61.9%** | **32.5%** | **71.1%** | **3.1** | **4** | **1.8** | **0.2** | **3** | **2.6** | **12** |

### მიღწევები

| | | |
|---|---|---|
| ქულა | 27 | როკი-რიტასი 77:79 |
| მოხსნა | 8 | რიგა-როკი 75:70 |
| პასი | 11 | რიგა-როკი 75:70 |
| მქკ | 27 | როკი-ლიეპაია 110:80 |

### ფიბას თასი 2006-07

როკი (ესტონეთი)

| | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩერკასი-როკი 87:75 | 32 | 12 | 3\3 | 2\2 | 0 | 4 | 7 | 2 | 0 | 2 | 3 |
| როკი-სამარა 78:89 | 37 | 6 | 3\6 | 0\2 | 0 | 4 | 7 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ნორდავიკი-როკი 78:82 | 29 | 13 | 2\6 | 1\3 | 6\8 | 1 | 7 | 1 | 0 | 2 | 2 |
| როკი-ჩერკასი 99:74 | 32 | 5 | 1\2 | 0\2 | 3\3 | 1 | 4 | 1 | 0 | 4 | 3 |
| სამარა-როკი 81:74 | 29 | 17 | 5\8 | 1\4 | 4\4 | 7 | 4 | 0 | 0 | 3 | 5 |
| როკი-ნორდავიკი 100:88 | 29 | 4 | 2\3 | 0\1 | 0 | 7 | 0 | 2 | 0 | 4 | 3 |
| **საშუალო** | **31.3** | **9.5** | **57.1%** | **28.6%** | **86.7%** | **4** | **4.8** | **1** | **0** | **2.7** | **3.2** |

### ულების თასი 2005/06

დინამო (მოსკოვი)

| თამაში | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი-დინამო 87:83 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| დინამო-სკაილაინერსი 75:61 | 30 | 10 | 4\4 | 0\1 | 2\5 | 1 | 3 | 1 | 0 | 3 | 3 | 8 |
| შარლერუა-დინამო 76:81 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | -3 |
| დინამო-შარლერუა 87:63 | 9 | 4 | 1\1 | 0 | 2\2 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 4 |
| დინამო-ცრვენა ზვეზდა 86:65 | 6 | 1 | 0 | 0\1 | 1\2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ჰაპოელი-დინამო 83:84 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **ჯამი** | **6** | **51** | **5\5** | **0\2** | **5\9** | **2** | **4** | **2** | **0** | **8** | **5** | **10** |
| **საშუალო** | **6** | **8.3** | **100%** | **0%** | **55.6%** | **0.3** | **0.7** | **0.3** | **0** | **1.3** | **0.8** | **1.7** |

### ევროლიგა 2005-2006

ცსკა (მოსკოვი)

| | წთ | ქ | 2ქ | 3 ქ | 1 ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი-ცსკა | 10 | 0 | 0 | 0\2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 |

*შენიშვნა: თ-თამაში; წთ-წუთი; ქ-ქულა; 2ქ-ორქულიანები; 3ქ-სამქულიანები; 1ქ-საჯარიმოები; მ-მოხსნა; პ-პასი; ჩ-ჩაჭრა; დ-დაფარება; შ-შეცდომა; ფ-ფოლი; მქკ-მარგი ქმედების კოეფიციენტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NHL. რეგულარული ჩემპიონატი ციფრებში

## საბოლოო მდგომარეობა

### აღმოსავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ბაფალო | 82 | 53 | 22 | 7 | 113 |
| 2. y-ნიუ ჯერსი | 82 | 49 | 24 | 9 | 107 |
| 3. y-ატლანტა | 82 | 43 | 28 | 11 | 97 |
| 4. x-ოტავა | 82 | 48 | 25 | 9 | 105 |
| 5. x-პიტსბურგი | 82 | 47 | 24 | 11 | 105 |
| 6. x-რეინჯერსი | 82 | 42 | 30 | 10 | 94 |
| 7. x-ტამპა ბეი | 82 | 44 | 33 | 5 | 93 |
| 8. x-აილენდერსი | 82 | 40 | 30 | 12 | 92 |
| 9. ტორონტო | 82 | 40 | 31 | 11 | 91 |
| 10. მონრეალი | 82 | 42 | 34 | 6 | 90 |
| 11. კაროლინა | 82 | 40 | 34 | 8 | 88 |
| 12. ფლორიდა | 82 | 35 | 31 | 16 | 86 |
| 13. ბოსტონი | 82 | 35 | 41 | 6 | 76 |
| 14. ვაშინგტონი | 82 | 28 | 40 | 14 | 70 |
| 15. ფილადელფია | 82 | 22 | 48 | 12 | 56 |

### დასავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-დეტროიტი | 82 | 50 | 19 | 13 | 113 |
| 2. y-ანაჰაიმი | 82 | 48 | 20 | 14 | 110 |
| 3. y-ვანკუვერი | 82 | 49 | 26 | 7 | 105 |
| 4. x-ნეშვილი | 82 | 51 | 23 | 8 | 110 |
| 5. x-სან ხოსე | 82 | 51 | 26 | 5 | 107 |
| 6. x-დალასი | 82 | 50 | 25 | 7 | 107 |
| 7. x-მინესოტა | 82 | 48 | 26 | 8 | 104 |
| 8. x-კალგარი | 82 | 43 | 29 | 10 | 96 |
| 9. კოლორადო | 82 | 44 | 31 | 7 | 95 |
| 10. სტ. ლუისი | 82 | 34 | 35 | 13 | 81 |
| 11. კოლამბუსი | 82 | 33 | 42 | 7 | 73 |
| 12. ედმონტონი | 82 | 32 | 43 | 7 | 71 |
| 13. ჩიკაგო | 82 | 31 | 42 | 9 | 71 |
| 14. ლოს ანჯელესი | 82 | 27 | 41 | 14 | 68 |
| 15. ფინიქსი | 82 | 31 | 46 | 5 | 67 |

*შენიშვნა*: ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); z - კონფერენციის ჩემპიონი; y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გაინაღდა ფლეი ოფის საგზური

### ბომბარდირები (გოლი+პასი)

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 120 (36+84) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 114 (22+92) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 108 (52+56) |
| ჰიტლი (ოტა) | 105 (50+55) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 102 (43+59) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 100 (43+57) |
| საკიკი (კოლ) | 100 (36+64) |
| იაგრი (რეინ) | 96 (30+66) |
| სავარი (ბოს) | 96 (22+74) |
| ბრიერი (ბაფ) | 95 (32+63) |

### გოლეადორები

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 52 |
| ჰიტლი (ოტა) | 50 |
| სელიანე (ანა) | 48 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 46 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 43 |
| ვანეკი (ბაფ) | 43 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 43 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 42 |
| განიე (ფილ) | 41 |
| ჯ. ბლეიკი (აილ) | 40 |

### ასისტენტები

| | |
|---|---|
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 92 |
| კროსბი (პიტ) | 84 |
| სავარი (ბოს) | 74 |
| ჰ. სედინი (ვან) | 71 |
| იაგრი (რეინ) | 66 |
| საკიკი (კოლ) | 64 |
| ბრიერი (ბაფ) | 63 |
| დაციუკი (დეტ) | 60 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 59 |
| ტანგეი (კალ) | 59 |

### გოლები (რიცხ. უპირატესობა)

| | |
|---|---|
| სელიანე (ანა) | 25 |
| სურეი (მონ) | 19 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 18 |
| რაიდერი (მონ) | 17 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 17 |
| ჰიტლი (ოტა) | 17 |
| დრური (ბაფ) | 17 |
| სიომინი (ვაშ) | 17 |

### გოლები (რიცხ. უმცირესობა)

| | |
|---|---|
| ჯ. სტაალი (პიტ) | 7 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 5 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 5 |
| დრეიპერი (ტ-ბეი) | 5 |
| ტელბოტი (პიტ) | 4 |
| კ. კლარკი (ვაშ) | 4 |
| მ. რიჩარდსი (ფილ) | 4 |
| სმოლინსკი (ვან) | 4 |
| ლომბარდი (კალ) | 4 |

## მცველები

### ბომბარდირები (გოლი+პასი)

| | |
|---|---|
| ს. ნიდერმაიერი (ანა) | 69 (15+54) |
| გონჩარი (პიტ) | 67 (13+54) |
| სურეი (მონ) | 64 (26+38) |
| ბოილი (ტ-ბეი) | 63 (20+43) |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 62 (13+49) |
| რაიან უიტნი (პიტ) | 59 (14+45) |
| პრონგერი (ანა) | 59 (13+46) |
| ვიშნოვსკი (ლ-ანჯ) | 58 (18+40) |
| ტ. კაბერლე (ტორ) | 58 (11+47) |
| მაკეიბი (ტორ) | 57 (15+42) |

### გოლეადორები

| | |
|---|---|
| სურეი (მონ) | 26 |
| ბოილი (ტ-ბეი) | 20 |
| ბუშე (დალ) | 19 |
| ვიშნოვსკი (ლ-ანჯ) | 18 |
| ფანოფი (კალ) | 17 |
| შ. უებერი (ნეშ) | 17 |
| მაკეიბი (ტორ) | 15 |
| კუბა (ტ-ბეი) | 15 |
| ს. ნიდერმაიერი (ანა) | 15 |

### ასისტენტები

| | |
|---|---|
| ს. ნიდერმაიერი (ანა) | 54 |
| გონჩარი (პიტ) | 54 |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 49 |
| ტ. კაბერლე (ტორ) | 47 |
| რაფალსკი (ნ-ჯერ) | 47 |
| პრონგერი (ანა) | 46 |
| რაიან უიტნი (პიტ) | 45 |
| ბოილი (ტ-ბეი) | 43 |
| ა. მარკოვი (მონ) | 43 |

## მეკარეები

### მოგებები

| | თ | მ |
|---|---|---|
| ბროდო (ნ-ჯერ) | 78 | 48 |
| ლუონგო (ვან) | 76 | 47 |
| ფლერი (პიტ) | 67 | 40 |
| მილერი (ბაფ) | 63 | 40 |
| კიპრუსოფი (კალ) | 74 | 40 |
| ჰაშეკი (დეტ) | 56 | 38 |
| ტურკო (დალ) | 67 | 38 |
| რეიკროფტი (ტორ) | 72 | 37 |
| ლუნდკვისტი (რეინ) | 70 | 37 |
| ჟიგერი (ანა) | 56 | 36 |

### გაშვებული შაიბები (საშ)

| | თ | საშ |
|---|---|---|
| ბექსტრიომი (მინ) | 41 | 1.97 |
| ჰაშეკი (დეტ) | 56 | 2.05 |
| ბროდო (ნ-ჯერ) | 78 | 2.18 |
| ტურკო (დალ) | 67 | 2.23 |
| ჟიგერი (ანა) | 56 | 2.26 |
| ლუონგო (ვან) | 76 | 2.28 |
| ნაბოკოვი (ს-ხოს) | 50 | 2.29 |
| ლუნდკვისტი (რეინ) | 70 | 2.34 |
| ტოსკალა (ს-ხოს) | 38 | 2.35 |
| მეისონი (ნეშ) | 40 | 2.38 |

### მოგერიება (%)

| | თ | % |
|---|---|---|
| ბექსტრიომი (მინ) | 41 | 95.5 |
| მეისონი (ნეშ) | 40 | 92.5 |
| ბროდო (ნ-ჯერ) | 78 | 92.2 |
| ლუონგო (ვან) | 76 | 92.1 |
| ვოკოუნი (ნეშ) | 44 | 92.0 |
| დიპიეტრო (აილ) | 62 | 91.9 |
| ჟიგერი (ანა) | 56 | 91.8 |
| ემერი (ოტა) | 58 | 91.8 |
| ლუნდკვისტი (რეინ) | 70 | 91.7 |
| კიპრუსოფი (კალ) | 74 | 91.7 |

### შატაუტები

| | თ | მ |
|---|---|---|
| ბროდო (ნ-ჯერ) | 78 | 12 |
| ჰაშეკი (დეტ) | 56 | 8 |
| კიპრუსოფი (კალ) | 74 | 7 |
| ნაბოკოვი (ს-ხოს) | 50 | 7 |
| ტურკო (დალ) | 67 | 6 |
| ლუონგო (ვან) | 76 | 5 |
| მეისონი (ნეშ) | 40 | 5 |
| დიპიეტრო (აილ) | 62 | 5 |
| ფლერი (პიტ) | 67 | 5 |
| ლუნდკვისტი (რეინ) | 70 | 5 |
| ვოკოუნი (ნეშ) | 44 | 5 |
| ლეგასი (ს-ლუის) | 45 | 5 |
| ემერი (ოტა) | 58 | 5 |
| ბექსტრიომი (მინ) | 41 | 5 |



ჯო საკიკი

## ლიდერები კლუბების მიხედვით

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ბაფალო | **ქულა:** ბრიერი - 95 (32+63); **გოლი:** ვანეკი - 43; **პასი:** ბრიერი - 63 |
| ნიუ ჯერსი | **ქულა:** ელიაში - 69 (21+48); **გოლი:** პარიზე - 31; **პასი:** ელიაში - 48 |
| ატლანტა | **ქულა:** მარიან ჰოსა - 100 (43+57); **გოლი:** მარიან ჰოსა - 43; **პასი:** მარიან ჰოსა - 57 |
| ოტავა | **ქულა:** ჰიტლი - 105 (50+55); **გოლი:** ჰიტლი - 50; **პასი:** ალფრედსონი - 58 |
| პიტსბურგი | **ქულა:** კროსბი - 120 (36+84); **გოლი:** კროსბი - 36; **პასი:** კროსბი - 84 |
| რეინჯერსი | **ქულა:** იაგრი - 96 (30+66); **გოლი:** იაგრი - 30; **პასი:** იაგრი - 66 |
| ტამპა ბეი | **ქულა:** ლეკავალიე - 108 (52+56); **გოლი:** ლეკავალიე - 52; **პასი:** სენტ ლუისი - 59 |
| აილენდერსი | **ქულა:** ჯ. ბლეიკი - 69 (40+29); **გოლი:** ჯ. ბლეიკი - 40; **პასი:** პოტი - 38 |
| ტორონტო | **ქულა:** სუნდინი - 76 (27+49); **გოლი:** სუნდინი - 27; **პასი:** სუნდინი - 49 |
| მონრეალი | **ქულა:** ს. კოივუ - 75 (22+53); **გოლი:** რაიდერი - 30; **პასი:** ს. კოივუ - 53 |
| კაროლინა | **ქულა:** რეი უიტნი - 83 (32+51); **გოლი:** ჯასტინ უილიამსი - 33; **პასი:** ბრინდამორი - 56 |
| ფლორიდა | **ქულა:** ო. იოკინენი - 91 (39+52); **გოლი:** ო. იოკინენი - 39; **პასი:** ო. იოკინენი - 52 |
| ბოსტონი | **ქულა:** სავარი - 96 (22+74); **გოლი:** გ. მიურეი - 28; **პასი:** სავარი - 74 |
| ვაშინგტონი | **ქულა:** ოვეჩკინი - 92 (46+46); **გოლი:** ოვეჩკინი - 46; **პასი:** ოვეჩკინი - 46 |
| ფილადელფია | **ქულა:** განიე - 68 (41+27); **გოლი:** განიე - 41; **პასი:** პიტკანენი - 39 |

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| დეტროიტი | **ქულა:** დაციუკი - 87 (27+60); **გოლი:** ზეტერბერგი - 33; **პასი:** დაციუკი - 60 |
| ანაჰაიმი | **ქულა:** სელიანე - 94 (48+46); **გოლი:** სელიანე - 48; **პასი:** ს. ნიდერმაიერი - 54 |
| ვანკუვერი | **ქულა:** დ. სედინი - 84 (36+48); **გოლი:** დ. სედინი - 36; **პასი:** ჰ. სედინი - 71 |
| ნეშვილი | **ქულა:** კარია - 76 (24+52); **გოლი:** ლეგვანდი, არნოტი - 27; **პასი:** კარია - 52 |
| სან ხოსე | **ქულა:** ჯ. ტორნტონი - 114 (22+92); **გოლი:** ჩიჩუ - 37; **პასი:** ჯ. ტორნტონი - 92 |
| დალასი | **ქულა:** რიბეირო - 59 (18+41); **გოლი:** ი. ლეჰტინენი - 26; **პასი:** ზუბოვი - 42 |
| მინესოტა | **ქულა:** როლსტონი - 64 (31+33), დემიტრა - 64 (25+39); **გოლი:** როსლტონი - 31; **პასი:** დემიტრა - 39 |
| კალგარი | **ქულა:** იგინლა - 94 (39+55); **გოლი:** იგინლა - 39; **პასი:** ტანგეი- 59 |
| კოლორადო | **ქულა:** საკიკი - 100 (36+64); **გოლი:** საკიკი - 36; **პასი:** საკიკი - 64 |
| სტ. ლუისი | **ქულა:** უეიტი - 59 (16+43); **გოლი:** გერინი - 28; **პასი:** უეიტი - 43 |
| კოლამბუსი | **ქულა:** ვიბორნი - 64 (16+48); **გოლი:** ნეში - 27; **პასი:** ვიბორნი - 48 |
| ედმონტონი | **ქულა:** რ. სმიტი - 53 (31+22), სიკორა - 53 (22+31), ჰემსკი - 53 (13+40); **გოლი:** რ. სმიტი - 31; **პასი:** ჰემსკი - 40 |
| ჩიკაგო | **ქულა:** ჰავლატი - 57 (25+32); **გოლი:** ჰავლატი - 25; **პასი:** ჰავლატი -32 |
| ლ. ანჯელეს | **ქულა:** კამალერი - 80 (34+46); **გოლი:** ფროლოვი - 35; **პასი:** კამალერი -46 |
| ფინიქსი | **ქულა:** დოენი - 55 (27+28); **გოლი:** დოენი - 27; **პასი:** ნადი -33 |

## ფლეი ოფის კალენდარი

### აღმოსავლეთი

**ბაფალო (1)-აილენდერსი (8)**

12 აპრილი
ბაფალო-აილენდერსი
14 აპრილი
ბაფალო-აილენდერსი
16 აპრილი
აილენდერსი-ბაფალო
18 აპრილი
აილენდერსი-ბაფალო
20 აპრილი
ბაფალო-აილენდერსი*
22 აპრილი
აილენდერსი-ბაფალო*
24 აპრილი
ბაფალო-აილენდერსი*

**ნიუ ჯერსი (2)-ტამპა ბეი (7)**

12 აპრილი
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
14 აპრილი
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
16 აპრილი
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
18 აპრილი
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
20 აპრილი
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი*
22 აპრილი
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი*
24 აპრილი
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი*

**ატლანტა (3)-რეინჯერსი (6)**

12 აპრილი
ატლანტა-რეინჯერსი
14 აპრილი
ატლანტა-რეინჯერსი
17 აპრილი
რეინჯერსი-ატლანტა
18 აპრილი
რეინჯერსი-ატლანტა
20 აპრილი
ატლანტა-რეინჯერსი*
22 აპრილი
რეინჯერსი-ატლანტა*
23 აპრილი
ატლანტა-რეინჯერსი*

**ოტავა (4)-პიტსბურგი (5)**

11 აპრილი
ოტავა-პიტსბურგი
14 აპრილი
ოტავა-პიტსბურგი
15 აპრილი
პიტსბურგი-ოტავა
17 აპრილი
პიტსბურგი-ოტავა
19 აპრილი
ოტავა-პიტსბურგი*
22 აპრილი
პიტსბურგი-ოტავა*
24 აპრილი
ოტავა-პიტსბურგი*

### დასავლეთი

**დეტროიტი (1)-კალგარი (8)**

12 აპრილი
დეტროიტი-კალგარი
15 აპრილი
დეტროიტი-კალგარი
17 აპრილი
კალგარი-დეტროიტი
19 აპრილი
კალგარი-დეტროიტი
21 აპრილი
დეტროიტი-კალგარი*
22 აპრილი
კალგარი-დეტროიტი*
24 აპრილი
დეტროიტი-კალგარი*

**ანაჰაიმი (2)-მინესოტა (7)**

11 აპრილი
ანაჰაიმი-მინესოტა
13 აპრილი
ანაჰაიმი-მინესოტა
15 აპრილი
მინესოტა-ანაჰაიმი
17 აპრილი
მინესოტა-ანაჰაიმი
19 აპრილი
ანაჰაიმი-მინესოტა*
21 აპრილი
მინესოტა-ანაჰაიმი*
23 აპრილი
ანაჰაიმი-მინესოტა*

**ვანკუვერი (3)-დალასი (6)**

11 აპრილი
ვანკუვერი-დალასი
13 აპრილი
ვანკუვერი-დალასი
15 აპრილი
დალასი-ვანკუვერი
17 აპრილი
დალასი-ვანკუვერი
19 აპრილი
ვანკუვერი-დალასი*
21 აპრილი
დალასი-ვანკუვერი*
23 აპრილი
ვანკუვერი-დალასი*

**ნეშვილი (4)-სან ხოსე (5)**

11 აპრილი
ნეშვილი-სან ხოსე
13 აპრილი
ნეშვილი-სან ხოსე
16 აპრილი
სან ხოსე-ნეშვილი
18 აპრილი
სან ხოსე-ნეშვილი
20 აპრილი
ნეშვილი-სან ხოსე*
22 აპრილი
სან ხოსე-ნეშვილი*
24 აპრილი
ნეშვილი-სან ხოსე*

*სერია 4 მოგებამდე მიმდინარეობს; * - საჭიროების შემთხვევაში*

## საკიკი კოლორადოში რჩება

"კოლორადო ეველანშის" ვეტერანმა ფორვარდმა **ჯო საკიკმა** კლუბთან ახალ, ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რომ ამ გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. მაგრამ სანდო წყაროებით გახდა ცნობილი, რომ გაისად, 37 წლის თავდამსხმელი 6.75 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამ სეზონში, საკიკი რეგულარული ჩემპიონატის მე-7 ბომბარდირი გახდა. მან კარიერაში მეექვსედ დააგროვა 100 ქულა. ჯომ ამ ზღვარს 37 წლის ასაკში მიაღწია. თავის დროზე, მხოლოდ ლეგენდარულმა **გორდი ჰოუმ** შეძლო სეზონში 100 ქულის დაგროვება უფრო ხანდაზმულ ასაკში, 40 წლისამ გააკეთა.

გარდა ამისა, საკიკმა კარიერაში მეთოთხმეტედ შეძლო 50-ზე მეტი შედეგიანი პასის გაკეთება და ამ მაჩვენებლით **მარსელ დიონსა** და **პოლ კოფის** დაეწია. ეს სამეული მხოლოდ **უეინ გრეცკისა** (18 სეზონი 50 და მეტი პასით) და **რონ ფრენსისს** (16) ჩამორჩება.

ლიგის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში საკიკი მე-9 ადგილს იკავებს - მის ანგარიშზეა 1589 ქულა (610 გოლი+979 პასი).

## ბელფური გალოთდა

სეზონის დასრულება სხვადასხვაგვარად შეიძლება აღნიშნო. არის საშუალება ეროვნულ ნაკრებს შეუერთდე და მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. შეიძლება ოჯახურ გარემოში მშვიდი საღამო გაატარო ან ზღვაზე წახვიდე დასასვენებლად. ცნობილ მეკარე **ედ ბელფურს** ეს ვარიანტები არ აწყობს.

41 წლის ჰოკეისტმა ფლორიდელი თანაგუნდელი - **ვილე პელტონენი** შეიამხანაგა. მაიამის ბარში ორივენი ისე დათვრნენ, რომ ბარის თანამშრომლებმა პოლიციას გამოუძახეს - ეს ლოთები თავიდან მოგვაშორეთო. ბელფურმა შენობის დატოვება არ ისურვა, მაგრამ ის ბარიდან ძალით გამოაგდეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეკარემ ჩხუბი აუტეხა პოლიციის ოფიცერს.

საბოლოოდ, ედის ბრალი წაუყენეს მთვრალ მდგომარეობაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და პოლიციის წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. პელტონენი კი იმის გამო დააპატიმრეს, რომ მან იქვე მდგომ სახანძრო მანქანას რაღაც დეტალი მოატეხა.

ედ ბელფურისთვის მსგავსი სიტუაცია ახალი არ არის. 2000 წელს, მას პატარა ხულიგნობისთვის 2-წლიანი პირობითი პატიმრობა და 3 ათასი დოლარის ჯარიმა დააკისრეს. ფინელ ფორვარდს კი, ამ განხრით დებიუტი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ველოსპორტი

პრო ტური

# ბალანის პირველი კლასიკური ტრიუმფი

იტალიელი **ალესანდრო ბალანის** გამარჯვებით დასრულდა პრო ტურის სერიის მეოთხე ეტაპი - ფლანდრიის კლასიკური ტური, რომლის ფინალშიც მან ბელგიელ **ლაიფ ჰოსტეს** აჯობა. ჰოსტე ზედიზედ მეორედ დასჯერდა მეორე ადგილს - შარშან მან თანაგუნდელ **ტომ ბოონენთან** პაექრობა დათმო.

ბოონენს დისტანციის პირველ ნახევარში ავარია მოუვიდა, რის გამოც პირველობისთვის ბრძოლა ველარ შეძლო, თუმცა სერიოზული ტრავმის გარეშე, ფინიშს მაინც უწია.

როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი გამოდგა ბოლო სამთო მონაკვეთი, რომელიც მურ დე გრამონის სახელითაა ცნობილი და ფინიშიდან 16 კილომეტრში მდებარეობს. ამ ალმართზე ბალანმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო. ერთადერთი, ვინც მისი ტემპის აყოლა შეძლო, ჰოსტე იყო.

ბოლო კილომეტრზე ორივემ საგრძნობლად გაზარდა ტემპი, მერე კი იტალიელი ოდნავ შენელდა, ბელგიელმა კი ამით ისარგებლა და გადამწყვეტი სპურტი წამოიწყო. თითქოს, ფინიშთან პირველი ის უნდა მისულიყო, მაგრამ 1.90 მეტრი სიმაღლის იტალიელმა გიგანტმა ბოლო ძალები მოიკრიბა, ჯერ მეტოქის ბორბალზე "დაეკიდა", შემდეგ კი, ფინიშამდე სამი ათეული მეტრი



ალესანდრო ბალანი

რომ რჩებოდა, კიდევ უფრო გაზარდა ტემპი და გამარჯვებაც მოიპოვა.

*"ჰოსტე ბელგიელია და ბელგიურ გუნდში გამოდის. ჰოდა, რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ ძალიან უნდოდა ბელგიური რბოლის მოგება. მას შემდეგ, რაც მდევრები უკან მოვიტოვეთ, ერთად ძალიან კარგად ვიმუშავეთ - ლიდერობაში ვენაცვლებოდით ერთმანეთს. ბოლო კილომეტრზე კი გავრისკე - ცოტა სულის მოთქმა გადვწყვიტე, თორემ არაქათი აღარ შემრჩა. მან კი ტემპი გაზარდა. ამიტომ იყო, რომ თავიდან აყოლა გამიჭირდა. მაგრამ ის მალე დაიღალა, მე კი ბოლო მეტრებზე სპურტი შევძელი და ამით მოვიგე კიდეც. მინდა, ეს გამარჯვება ჩემს ოჯახსა და მამის ხსოვნას მივუძღვნა, რომელიც ათი წლის წინათ გარდამეცვალა. დარწმუნებული ვარ, ის ზეციდან უყურებდა ამ რბოლას და ძალიანაც გაიხარა"*, - განაცხადა ნაფინიშევს 27 წლის ბალანმა, ვისთვისაც ეს პირველი დიდი გამარჯვებაა პროფესიულ სპორტში და ვინც, როგორც წესი, თანაგუნდელ **დანიელე ბენატის** დამხმარეს მოვალეობას ასრულებს ხოლმე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ფლანდრიის წრე (ბელგია). 259 კმ

**1. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 6:10.15 (41.97 კმ/სთ); 2. ლაიფ ჰოსტე (ბელგია, პრედიქტორ-ლოტო) იგივე დროში; 3. ლუკა პაოლინი (იტალია, ლიკიგაზი) 0.05; 4. კარსტენ კროონი (ჰოლანდია, ტიმ CSC) 0.05; 5. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.05; 6. ტომას ვაიტკუსი (ლიტვა, დისქავერი ჩენელი) 0.13; 7. ნიკ ნუიენსი (ბელგია, კოფიდისი) 0.13; 8. დმიტრი მურავიოვი (ყაზახეთი, ასტანა) 0.13; 9. მიხაელ ბოოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.13; 10. სტიუარტ ო'გრეიდი (ავსტრალია, ტიმ CSC) 0.35...**

# ჩოგბურთი

## ტურნირები

### ATP

**U.S. Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 416 000 დოლარი

**I წრე**

**ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ, 6) 7:5, 7:6 (3); **ხუან მონაკო (არგ, 8)**-იან-მაიკლ გემბილი 7:5, 6:4; **ნიკოლა დევილდერი (საფ)**-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:2, 6:3; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-მარტინ ფერკერკი (ჰოლ) 6:4, 6:4.

**Open de Tenis Comunidad**

ვალენსია (ესპანეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 332 800 დოლარი

**I წრე**

**ჟილ სიმონი (საფ, 5)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 4:6, 6:3, 6:2; **სტეფან კუბეკი (ავსტრია)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 7:6 (5), 6:4; **სერხიო როიტმანი (არგ)**-იან ჰერნიჩი (ჩეხ) 7:5, 7:6 (7).

### WTA

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 1 640 000 დოლარი

**I წრე**

**ვერა ზვონარევა (რუს, 9)**-ნატალი დეში (საფ) 6:4, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 13)**-შენაი პერი (აშშ) 5:7, 6:4, 6:1; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ვანია კინგი (აშშ) 6:1, 6:4; **ეშლი ჰარკლროუდი (აშშ)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 2:6, 7:5, 6:2; **მეილენ ტუ (აშშ)**-ფლავია პენეტა (იტა) 7:5, 6:4; **ნიკოლ პრატი (ავსტრია)**-ვარვარა ლეპჩენკო (უზბ) 2:6, 6:2, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-ბარბარა სტრიჩოვა (ჩეხ) 7:5, 6:1; **ვასილისა ბარდინა (რუს)**-ელენა ვესნინა (რუს) 1:6, 6:3, 6:1; **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:4, 6:7 (5), 7:5; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 6:4, 6:0; **იუნ-იან ჩანი (ტაივ)**-სევერინ ბრემონი (საფ) 6:2, 6:3; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ) 7:6 (3), 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 6:4, 6:1; **არავან რეზაი (საფ)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:1, 7:5.

## რეიტინგები

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3994 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3388 |
| 3(3). ამელი მორესმო (საფ) | 2776 |
| 4(4). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2699 |
| 5(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2667 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2294 |
| 7(7). ნადია პეტროვა (რუს) | 2168 |
| 8(8). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1957 |
| 9(9). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1882 |
| 10(10). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1847 |
| 11(11). სერენა უილიამსი (აშშ) | 1769 |
| 12(13). დინარა საფინა (რუს) | 1638 |
| 13(12). ელენა დემენტიევა (რუს) | 1635 |
| 14(14). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1616 |
| 15(15). შაარ პეერი (ისრ) | 1508 |
| 16(16). პატი შნიდერი (შვეიც) | 1505 |
| 17(17). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1495 |
| 18(18). ნა ლი (ჩინ) | 1388 |
| 19(20). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1281 |
| 20(19). ვერა ზვონარევა (რუს) | 1083 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1530 |
| 2. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1050 |
| 3. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1036 |
| 4. მარია შარაპოვა (რუს) | 1030 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1000 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 985 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 937 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 936 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 850 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 850 |
| 11. შაარ პეერი (ისრ) | 826 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 825 |
| 13. ნადია პეტროვა (რუს) | 816 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერ) | 756 |
| 15. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 755 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 682 |
| 17. დინარა საფინა (რუს) | 551 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 540 |
| 19. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 540 |
| 20. ტატიანა გარბინი (იტა) | 456 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 777 664 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 745 440 |
| 3. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 724 805 |
| 4. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 590 483 |
| 5. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 528 238 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 511 195 |
| 7. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 491 810 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 462 063 |
| 9. შაარ პეერი (ისრ) | 381 161 |
| 10. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 372 912 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 366 193 |
| 12. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 346 528 |
| 13. ამელი მორესმო (საფ) | 340 373 |
| 14. კარა ბლეკი (ზიმ) | 331 598 |
| 15. სამანტა სტოსური (ავტრა) | 303 678 |
| 16. ნადია პეტროვა (რუს) | 297 915 |
| 17. ნა ლი (ჩინ) | 290 701 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 252 193 |
| 19. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 241 043 |
| 20. ანა ივანოვიჩი (სერ) | 229 870 |

# TV სპორტი

**11 აპრილი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

**22:00** საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-მილანი (LIVE).
**01:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ეინდჰოვენი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ჩელსი.
**14:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:20** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:35** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**17:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:10** პირდაპირი ხაზი.
**19:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-რომა.
**22:35** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-მილანი (LIVE).
**00:35** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ეინდჰოვენი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.
**08:50** სპორტის ისტორია.
**09:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ჩელსი.
**11:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერი-რომა.
**12:40** სპორტის სახეები.
**13:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ემპოლი.
**15:50** ფიტნესი.
**16:15** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ტაუგრესი-ოლიმპიაკოსი.
**18:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**18:30** სპორტინფორმი.
**18:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ჩელსი.
**20:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**21:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის წინ (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ეინდჰოვენი (LIVE).
**00:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**01:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ნიურნბერგი.
**03:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ჩელსი.
**05:20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ემპოლი.

**EUROSPORT**

**09:30** ექსტრემალური სპორტი.
**10:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**10:45** მულტისპორტი.
**11:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
**12:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სევილია-ტოტენჰემი.
**13:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ალკმაარი-ვერდერი.
**14:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**15:00** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბასკეთის ტური. II ეტაპი.
**15:30** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. გენტი-ვეველგემი (LIVE).
**17:45** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბასკეთის ტური. III ეტაპი (LIVE).
**19:00** სნუკერი.
**20:00** აფროსნობა.
**20:05** მულტისპორტი.
**20:10** ცხენოსნობა.
**20:15** გოლფი. US PGA-ს ტური.
**21:15** გოლფი. ევროპის ტური.
**21:20** აფროსნობა.
**21:25** მულტისპორტი.
**21:30** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**22:00** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. გალა-წარმოდგენა. ტოკიო. იაპონია.
**00:00** კიკ-ბოქსინგი.
**01:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა.

**EUROSPORT-2**

**08:30** ახალი ამბები.
**11:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
**12:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ფინალი. რეალი (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი (ლიტვა).
**13:00** ახალი ამბები.
**15:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლისაბონი. პორტუგალია.
**16:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ალკმაარი-ვერდერი.
**17:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა.
**18:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ფინალი. რეალი (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი (ლიტვა).
**19:00** ახალი ამბები.
**19:30** ექსტრემალური სპორტი.
**20:30** ახალი ამბები.
**20:45** მულტისპორტი.
**21:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლისაბონი. პორტუგალია.
**22:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. მოსკოვი. რუსეთი.
**22:30** მულტისპორტი.
**23:00** რესტლინგი.
**00:30** მულტისპორტი.
**01:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| იორკი-რაშდენი | 3:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| იუვენტუსი-ნაპოლი | 2:0 |
| ბრეშია-ტრიესტინა | 2:0 |
| ტრევიზო-პესკარა | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტაბეკი-ბრანი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| გაის-ჰამარბიუ | 1:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| კორონა-პლოცკი | 3:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ULEB-ის თასი** | |
| **ფინალი** | |
| რეალი-ლეტუვოს რიტასი | 87:75 |
| **ჰოკეი** | |
| **რუსეთი** | |
| მეტალურგი (მ)-აკ ბარსი | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-კერპეტი | 2:4 |
| **შვედეთი** | |
| მოდო-ლინჩოპინგი | 5:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| პეია-მონტანიესი | 3:6, 2:6 |
| საბალეტა-სვიტინგი | 6:0, 7:6 |
| ვემიჩი-რამირეს იდალგო | 6:3, 6:0 |
| ფიში-ვასალო არგელო | 5:7, 6:2, 7:5 |
| რასელი-გოლდსტეინი | 6:2, 6:0 |
| დელიჩი-კენდრიკი | 6:3, 1:6, 7:5 |
| **ATP. ვალენსია** | |
| ალმაგრო-ჰაიეკი | 6:2, 6:1 |
| ანდრეევი-ვოლანდრი | 4:6, 6:7 |
| ჟენსი-უორდი | 6:7, 6:4, 6:3 |
| გრეული-ანდუხარი | 2:6, 4:6 |
| დი მაურო-ფორნელი | 6:4, 6:7, 6:3 |
| კორრლიოვი-გ. ლოპესი | 6:3, 1:6, 6:3 |
| მაიერი-ვენტურა | 3:6, 3:6 |
| პლესი-გრანოლერსი | 6:2, 3:6, 3:6 |
| ფერერო-გულბისი | 6:3, 6:1 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| დულკო-შრუფი | 1:6, 6:4, 6:4 |
| რაზანო-შონესი | 6:3, 6:4 |
| სკიავონე-რუანო პასკუალი | 6:2, 6:0 |
| სრებოტნიკი-ვაკულენკო | 1:6, 6:2, 6:4 |
| ბამერი-მოლიკი | 6:3, 6:1 |
| გოლოვინი-ციბულკოვა | 6:4, 6:1 |
| ოპრანდი-დანილიდუ | 6:3, 6:7, 4:6 |
| სანტანჯელო-ტანასუგარნი | 7:5, 6:1 |
| მედინა გარიგესი-მიულერი | 6:3, 7:6 |
| ვ. უილიამსი-სტოსური | 6:2, 6:2 |
| ვაიდიშოვა-კრაიჩეკი | 6:4, 4:6, 3:6 |

# ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**მანჩესტერი-რომა 7:1 (1:2)**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ო'ში (52. ევრა), ბრაუნი, ფერდინანდი, ჰაინცე, ქერიკი (73. რიჩარდსონი), ფლეტჩერი, კრისტიანო რონალდო, გიგზი (61. სოლსკიაერი), რუნი, სმიტი.

**რომა:** დონი, კასეტი, მექსე, კივუ, პანუჩი, დე როსი (86. ფატი), პისარო, ვილჰელმსონი (88. როზი), ვუჩინიჩი, მანსინი (90. ოკაკა ჩუკა), ტოტი.

**გოლები:** 1:0 ქერიკი (11), 2:0 სმიტი (17), 3:0 რუნი (19), 4:0 კრისტიანო რონალდო (44), 5:0 კრისტიანო რონალდო (49), 6:0 ქერიკი (60), 6:1 დე როსი (69), 7:1 ევრა (81)

**მაყურებელი:** 76 568

**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** მანჩესტერი
**პირველი ჯარიმა:** რომა
**პირველი კუთხური:** მანჩესტერი
**პირველი გაფრთხილება:** მანჩესტერი

| მანჩესტერი | | რომა |
|---|---|---|
| 22 (15) | **დარტყმა** | 22 (8) |
| 20 | **ჯარიმა** | 15 |
| 3 | **კუთხური** | 2 |
| 2 | **გაფრთხილება** | 2 |
| 46% | **ბურთის ფლობა** | 54% |

**ვალენსია-ჩელსი 1:2 (1:1)**

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, ალბიოლი (72. უგო ვიანა), სილვა, ვილია, მორიენტესი (65. ანგულო).

**ჩელსი:** ჩეხი, დიარა (46. ჯ. კოული), რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, ესიენი, ობი მიკელი, ბალაკი, ლემპარდი (90. მაკელელე), დროგბა, შევჩენკო (90. კალუ).

**გოლები:** 1:0 მორიენტესი (32), 1:1 შევჩენკო (52), 1:2 ესიენი (90)

**მაყურებელი:** 51 000

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ვალენსია
**პირველი ჯარიმა:** ჩელსი
**პირველი კუთხური:** ვალენსია
**პირველი გაფრთხილება:** ჩელსი

| ვალენსია | | ჩელსი |
|---|---|---|
| 8 (4) | **დარტყმა** | 18 (6) |
| 22 | **ჯარიმა** | 9 |
| 4 | **კუთხური** | 8 |
| 4 | **გაფრთხილება** | 2 |
| 40% | **ბურთის ფლობა** | 60% |



ჰოკეი

## აიზერმანს დიდი არჩევანი აქვს

მას შემდეგ, რაც სტენლის თასის მოქმედი ჩემპიონი - "კაროლინა ჰარიკეინზი" ფლეი ოფში ვერ გაეიდა, კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერის - **სტივ აიზერმანის** კანდიდატთა სია შესამჩნევად გაიზარდა. მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების პრეტენდენტთა რიცხვს შეემატნენ ფორვარდები - **ერიკ სტაალი, ჯასტინ უილიამსი, როდ ბრინდამორი** და **რეი უიტნი**. ყველა მათგანს გააჩნია ევროპულ არენებზე თამაშის გამოცდილება.

კანადური პრესის ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ კანადის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშოს "კოლორადოს" ლიდერმა **ჯო საკიკმა**. აიზერმანი სწორედ ამ ვეტერანს მოიაზრებს ნაკრების კაპიტნად.

კალათბურთი

## მარბერიმ სეზონი დაამთავრა

"ნიუ იორკ ნიქსის" მცველი **სტეფონ მარბერი** რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. ამ კალათბურთელმა "მინესოტასთან" მატჩში ფეხის თითი დაიზიანა და უკვე გამოტოვა "მილუოკისთან" შეხვედრა.

ექიმების ვარაუდით, მარბერი წელს ველარ შეძლებს მოედანზე გასვლას.

## უელსს თამაში აღარ უნდა

"ჰიუსტონ როკეტსის" მცველმა **ბონზი უელსმა** ორშაბათს, გუნდის ვარჯიში გააცდინა. კალათბურთელი არ გამოცხადდა აგრეთვე "სიეტლთან" მატჩში სათამაშოდ.

თამაშის დაწყებიდან ორსაათნახევრით ადრე, უელსმა შეტყობინება დატოვა კლუბის ერთ-ერთი მწვრთნელის ავტომოპასუხეზე, სადაც ის აცხადებდა, რომ თავისი თამაშით, მხოლოდ ვნებს "ჰიუსტონს".

"როკეტსის" მთავარი მწვრთნელი **ჯეფ ვან განდი** ამაოდ ცდილობს კალათბურთელთან დაკავშირებას. *"არც კი ვიცი სად იმყოფება. რამდენჯერმე ვცადე მასთან დარეკვა, მაგრამ უშედეგოდ. სანამ რაიმე სანქციებს გამოვიტან, მინდა გავიგო, რა დაემართა უელსს"*, - ამბობს "ჰიუსტონის" დამრიგებელი.

## ოლდრიჯს პარკინსონი აქვს?

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" დებიუტანტი **ლამარკუს ოლდრიჯი** წელს ველარ შეძლებს თამაშს. როგორც სააგენტო AP იუწყება, კალათბურთელს პარკინსონის დაავადების ნიშნები ეტყობა. ასეთი დიაგნოზი დასვეს ექიმებმა პირველადი ტესტების შემდეგ.

ოლდრიჯს ამ ავადმყოფობის ნიშნები, პირველად 31 მარტს შეამჩნიეს, როცა "კლიპერსთან" მატჩის შემდეგ, სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მიუხედავად ასეთი მძიმე დიაგნოზისა, ექიმები ირწმუნებიან, რომ უკვე ამ ზაფხულს კალათბურთელი განიკურნება და ვარჯიშების განახლებასაც შეძლებს.

## ჯოშ სმიტი გინებისთვის დაისაჯა

"ატლანტა ჰოქსმა" ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა თავისი ფორვარდი - **ჯოშ სმიტი**. ეს მკაცრი სასჯელი იმით არის განპირობებული, რომ კალათბურთელმა "ფილადელფიასთან" მატჩის შემდეგ, "ატლანტის" მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

*"ამ სასჯელს ვიმსახურებდი, რადგან იმ ეპიზოდში არ ვიყავი მართალი. ახლა რამდენიმე დღე მაქვს იმისთვის, გონს მოვიდე და მომავალი უიქ-ენდის მატჩებისთვის მოვემზადო"*, - ამბობს სმიტი.

## რედს დასვენება ურჩიეს

სეზონის დარჩენილ ექვს მატჩში მონაწილეობას კიდევ ერთი კალათბურთელი ვერ მიიღებს.

"მილუოკის" ლიდერ **მაიკლ რედს** ტრავმა არ აწუხებს, მაგრამ ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რედს დასვენებისა და მუხლის ტრავმის ბოლომდე მოშუშების საშუალება მისცეს.

ჩოგბურთი

## როდიკი ისევ ტრავმირებულია

ამერიკული **ენდი როდიკი** მონაწილეობას არ მიიღებს ჰიუსტონის ტურნირში, რომელმაც გუშინ აიღო სტარტი.

როდიკის უარი იმ ტრავმამ განაპირობა, რომელიც ჩოგბურთელმა დევისის თასზე, ესპანეთის ნაკრებთან თამაშისას მიიღო. როგორც იცით, დევისის თასზე როდიკის გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, მაგრამ ამერიკელმა გარისკა და კორტზე გავიდა, რითაც ძველი ტრავმა გაიმიზეზა.

ენდის ადგილს ტურნირის ბადეში ავსტრიელი **ალექსანდრ პეია** დაიკავებს.

ფორმულა 1

## ჰონდა როს ბრაუნს იწვევს

"ჰონდასთვის" ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყო. ამის გამო, ამ საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ახალი ტექნიკური დირექტორის მიწვევა გადაწყვიტა. შარშან, ამ პოსტზე მომუშავე **ჯეფ უილისი სუპეი ნაკამოტომ** შეცვალა, რომლის სპეციალიზაციაა - ძრავები და მოტორბოლები.

ამჯერად, "ჰონდას" შეფების ყურადღება **როს ბრაუნზე** შეჩერდა, რომელსაც ამ წლის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი "ფერარისთან". თუ ჭორებს დავუჯერებთ, "ჰონდა" და ბრაუნი უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს, თუმცა, ამასთან დაკავშირებით კომენტარებისგან ჯერ თავს იკავებენ.

ოლიმპიზმი

## ბაქო ბრძოლას იწყებს

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ქალაქი ბაქო 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის იწყებს ბრძოლას.

ბაქოდან 240 კილომეტრზე მდებარე ქალაქ მასალში, ახალი სპორტული კომპლექსის გახსნის დროს, ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანი პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველი ქვეყანაა, რომელიც სერიოზულად არის დაინტერესებული ზაფხულის ოლიმპიადის ჩატარებით.

*"რამდენიმე წლის წინ, ამაზე ვერც ვიოცნებებდით, მაგრამ ახლა, ქვეყნის სპორტული და ეკონომიკური პოტენციალი საგრძნობლად გაიზარდა და ჩვენც სრულიად ლოგიკურად გადავდგით ეს ნაბიჯი"*, - თქვა პრეზიდენტმა. მანვე ისიც დაამატა, რომ 2000 წლიდან ქვეყანაში 11 ოლიმპიური არენა აშენდა და კიდევ 14-ის აშენებაა დაგეგმილი.

კანდიდატი ქალაქების განაცხადების შეტანის ბოლოს ვადაა 15 სექტემბერი. 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელს 2009 წელს გამოავლენენ.

## 250 მილიონი შვარცენეგერს

ლოს ანჯელესის დეპუტატებმა გადაწყვიტეს 250 მილიონი დოლარი გამოყონ იმ შემთხვევისთვის, თუ ეს ქალაქი 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას მიიღებს. ასე რომ, კალიფორნიის შტატის გუბერნატორ **არნოლდ შვარცენეგერს** უფლება აქვს ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, შტატი და სახელმწიფო პასუხისმგებლები იქნებიან იმ შემთხვევისთვის, თუ ოლიმპიადაში ჩადებული ინვესტიციები წამგებიანი იქნება.

14 აპრილს, ამერიკის ოლიმპიური კომიტეტი ლოს ანჯელესისა და ჩიკაგოს წარმომადგენლებს შეხვდება, სადაც გაირკვევა, თუ რომელი ქალაქი წარმოადგენს აშშ-ს წინასაარჩევნო კამპანიაში.





შეტევაშია კობი ბრაიანტი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გარნეტის გულში სევდა და ოდენია

ფლეი ოფს ვუახლოვდებით და წინა სეზონებისგან განსხვავებით, რამდენიმე დამაინტრიგებელი დაპირისპირება, იქნებ დამქანცველი მარათონის ბოლომდეც კი გაგრძელდეს. კერძოდ, შეინარჩუნებს თუ არა "ფინიქსი" დასავლეთში მეორე ადგილს, თუ ძალიან მაგარ ფორმაში მყოფ "სპურს" დაუთმობს მეორე წრესა და ურთიერთჯახში მოედნის უპირატესობას? გაიყვანს თუ არა ქარიზმატული **დონ ნელსონი** რვა უძლიერეს გუნდში "გოლდენ სტეიტს" (1994 წლის მერე პირველად), თუ კალიფორნიულ დერბიში **ელტონ ბრენდის** "კლიპერსი" დარჩება გამარჯვებული? როგორ გადანაწილდება ადგილები აღმოსავლეთში, სადაც არავის სურს მეხუთეზე გასვლა და პირველივე წრეში მოქმედ ჩემპიონ "მაიამისთან" დაპირისპირება? ამ ეტაპზე, **ბენ უოლასის** "ბულზი" პირად მატჩებში უკეთესი მაჩვენებლით უსწრებს **ლებრონ ჯეიმსის** "კავალიერსს", თუმცა დასკვნების გაკეთება ჯერ მაინც ადრეა.

"მინესოტას" კი ერთადერთი კითხვა და შესაბამისად, მასზე პასუხი აინტერესებს – დაეშვება თუ არა **კევინ გარნეტის** გუნდი ფსკერზე, რათა დრაფტის კენჭისყრისას, პირველივე წრეში **გრეგ ოდენი** დაიმაოს? გარნეტმა ბოლო მატჩში 23 "ცოცხალი" სროლიდან მხოლოდ 7 გამოიყენა, მისი გუნდი კი, მიმდინარე სეზონში უკვე მესამედ შერცხვა იმ საშინაო შეხვედრაში, რომელშიც მეტოქეს მატჩის მსვლელობისას 15 და მეტ ქულას უგებდა. 27 მარტს "მგლებმა" შინ **რეი ალენის** "სიეტლთან" 27-ქულიანი (!) უპირატესობა გაატანეს ქარს და 106:114 დამარცხდნენ, ხოლო **ჯერალდ უოლასის** "შარლოტთან" კი, 21 თებერვალს 17 ქულას იგებდნენ და საბოლოოდ 95:100 წააგეს. "მგლებთან" ჯახში **ხოსე კალდერონმა** ბოლო მეოთხედში 11 ქულა გააკეთა.

შეერგება თუ არა **ჯორჯ კარლის** "დენვერს" სეზონის ბოლოს აკრეფილი სუპერფორმა? უფრო სწორად, უღირთ თუ არა კოლორადოელებს სატურნირო ცხრილში "ლეიკერსის" გადასწრება და მეექვსე ნომრად განთესვა? მეექვსე ნომერი ხომ პირველ წრეში მესამეს დაეჯახება, ასეთი კი დასავლეთში **ტიმ დანკანის** დაუნდობელი მანქანაა. გუშინ, პირად დაპირისპირებაში, "დენვერმა" "ლეიკერსს" სამი კაცის ფენომენალური გამოსვლით აჯობა.

**კარმელო ენტონიმ** თავისი წილი ქულები აკრიფა, **ალენ აივერსონი** დაცვაში უჩვეულოდ მოტივირებული იყო და **კობი ბრაიანტს** 30 სროლიდან ოდენ 9 შეასრულებინა ზუსტად (ბრაიანტმა ამ სეზონში უკვე მესამედ დაასრულა მატჩი 30-დან 9 და ნაკლები ზუსტი სროლით), თუმცა ყველაზე მეტად მაინც **მარკუს კემბის** გამოვარჩევთ.

სვირინგების ფანმა და მეგობარი გოგონების რისხვა მარკუსმა (უკვე მეოთხე მანდილოსანი უჩივის კემბის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო) 22 (!) მოხსნა მოიმკო და მატჩი 7 დაფარებით ჩაამთავრა, რაც ბოლოს 2005 წლის 13 ნოემბერს მომხდარა. მაშინდელი რეკორდის ავტორიც მარკუსი იყო და იგი გახდა პირველი მოთამაშე, რომელმაც გარნეტს ერთ მატჩში 5-ჯერ დაუფარა.

ბოლოს კი, ამ მოკლე მიმოხილვაში **იაო მინსაც** შევეხოთ, რომელმაც ამ სეზონში უკვე მეორედ გამოიყენა უშეცდომოდ 10 და მეტი საჯარიმო. ჩინელმა გიგანტმა "სიეტლთან" 11-ვე ერთქულიანი ჩაასრიალა კალათში, ხოლო 4 ნოემბერს კი, მის ანგარიშზე 12 უშეცდომო იდენტური ტყორცნა გახლდათ.

**ზურაბ თალაკვაძე**

**გ. სტეიტი–იუტა 126:102**

**26:27, 37:20, 36:28, 27:27**

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (28 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (19 ქ. 8 პ. 2 დ), მ. ელისი (16 ქ. 4 ჩ), ბარნსი (16 ქ. 2 ჩ), ელ ჰარინგტონი (15 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (11 ქ. 6 მ. 4 პ. 2 დ).

**იუტა:** ბრიუერი (21 ქ), ბუზერი (17 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჰარპრინგი (17 ქ. 8 მ), ოქური (14 ქ), ფიშერი (10 ქ. 5 პ. 2 ჩ).

**ს. ანტონიო–პორტლენდი 112:96**

**32:19, 22:29, 29:28, 29:20**

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (30 ქ. 5 მ. 4 პ), დანკანი (15 ქ. 4 მ. 4 პ. 3 დ), ჯინობილი (12 ქ), ბ. ბოუენი (10 ქ).

**პორტლენდი:** ჯეკი (19 ქ. 8 პ), მაგლოირი (19 ქ. 5 მ), როი (15 ქ. 5 მ. 4 პ), ლაფრენცი (10 ქ).

**ნიუ იორკი–დეტროიტი 83:91**

**23:24, 15:21, 30:18, 15:28**

**ნიუ იორკი:** კარი (24 ქ. 5 მ), ნ. რობინსონი (24 ქ. 5 მ), ფრაი (11 ქ. 5 მ), მ. კოლინზი (10 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (22 ქ. 6 პ), რ. ჰამილტონი (19 ქ. 7 მ), პრინსი (12 ქ. 8 . 3 პ), მაკდაიესი (11 ქ. 13 მ. 3 ჩ. 3 დ).

**მილუოკი–ორლანდო 94:117**

**23:28, 29:31, 15:29, 27:29**

**მილუოკი:** ილიასოვა (18 ქ. 5 მ), მო უილიამსი (13 ქ), ჩ. ბელი (13 ქ), ბიკინსი (12 ქ. 4 პ), ლ. გრირი (!2 ქ. 4 პ), რაინერი (8 ქ. 10 მ. 3 ჩ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (25 ქ. 6 პ), არიზა (16 ქ), დ. ჰოვარდი (15 ქ. 11 მ. 2 დ), ნელსონი (12 ქ. 9 პ. 4 მ. 2 ჩ), მილიჩიჩი (11 ქ. 9 მ. 4 პ).

**მინესოტა–ტორონტო 100:111**

**27:25, 25:23, 27:25, 21:38**

**მინესოტა:** რ. დევისი (28 ქ. 8 პ), გარნეტი (17 ქ. 10 მ. 6 პ), კ. სმიტი (17 ქ), მ. ჯეიმსი (11 ქ), მაკკენტსი (11 ქ).

**ტორონტო:** ე. პარკერი (24 ქ. 4 მ. 4 პ), ტი. ჯეი. ფორდი (17 ქ. 10 პ. 4 მ. 2 ჩ), ბოში (16 ქ. 13 მ. 2 დ), დიქსონი (13 ქ), კალდერონი (12 ქ. 7 პ), ნესტეროვიჩი (12 ქ. 7 მ), ჯ. გრემი (10 ქ. 2 ჩ).

**დალასი–კლიპერსი 96:86**

**30:27, 22:18, 28:22, 16:19**

**დალასი:** ნოვიცკი (26 ქ. 6 მ), სტექჰაუზი (18 ქ), ჯოშ ჰოვარდი (16 ქ. 6 მ. 4 პ. 4 ჩ), დ. ჰარისი (14 ქ), ჯორჯი (11 ქ. 3 ჩ).

**კლიპერსი:** მაგეტი (24 ქ. 5 მ), ბრენდი (20 ქ. 6 მ. 4 პ. 2 დ), ჰარტი (14 ქ. 8 პ. 5 ჩ), მობლი (10 ქ), სინგლტონი (3 ქ. 10 მ).

**დენვერი–ლეიკერსი 115:111**

**32:23, 33:35, 27:24, 23:29**

**დენვერი:** ენტონი (33 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), აივერსონი (24 ქ. 5 პ), კლეიზა (17 ქ), ნახერა (14 ქ. 9 მ. 3 ჩ), კემბი (3 ქ. 22 მ. 7 დ. 3 პ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (23 ქ. 10 პ. 5 მ), უოლტონი (19 ქ. 6 მ. 5 პ), ოდომი (18 ქ. 5 მ), ბინუმი (16 ქ. 7 მ), კუკი (10 ქ).

**სიეტლი–ჰიუსტონი 90:95**

**20:23, 22:27, 28:26, 20:19**

**სიეტლი:** რ. ლიუისი (20 ქ. 7 მ. 3 პ), უილკოქსი (13 ქ. 7 მ. 2 ჩ), უილკინსი (13 ქ. 4 მ), ჟელაბალი (13 ქ. 6 მ), კოლისონი (12 ქ. 13 მ), უილქსი (11 ქ. 8 პ. 6 მ).

**ჰიუსტონი:** მინი (31 ქ. 7 მ. 2 დ), მაკგრეიდი (27 ქ. 5 მ. 5 პ. 3 ჩ), ალსტონი (16 ქ. 6 მ. 2 ჩ), ჰედი (12 ქ. 3 მ), მუტომბო (1 ქ. 10 მ).


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა